ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ივლისი **შაბათი** 2011

№ 159 (13456) ფასი 80 თეთრი

ასეთი WOW სხვაგან სად არის?

ბანანცთან გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩის წინ მეტალურგს პატრონიც გარდამავალი ჰყავდა

ცხოვრებაში ყოველთვის ვერ იტყვი: ოკეი

2

10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო

ვაჟთა ჩოგბურთში აღარ ვართ

მარჯვნივ დავით თარგამაძე

თარგამაძემ პოლტავა აიღო

იმ ქვეყნებიდან, რომელთა ჩემპიონატები შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ტარდება, პირველი უკრაინამ დაიწყო სეზონი და იქაური პრემიერლიჰის 21-ე გათამაშებაში პირველი გოლი ქართული გავიდა! ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ წინა სეზონში ათამდე ქართველმა ლეგიონერმა ერთი გოლიც ვერ გაიტანა. პირველს კიდევ ერთხელ ვახსენებთ - ეს იყო 21 წლის **დავით თარგამაძის** პირველი მატჩი პრემიერლიჰაში. ის უკრაინაში ბუნდესლიგური „ფრაიბურგიდან“ გადავიდა და ყველამ უკანგადადგმულ ნაბიჯად ჩავუთვალეთ მას ეს ტრანსფერი, მაგრამ დათომ სლავთა პირველ ლიგაში ძალიან კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი და 8 გოლის გატანაც მოასწრო. როგორც უკვე გითხარით, შემტევმა ნახევარმცველმა სადებიუტო მატჩშივე გაიტანა და თანაც ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა, მისმა „ოლექსანდრიამ“ სტუმრად 1:0 მოუგო „ვორსკლას“.

ქართველმა 50-ე წუთზე შეაგდო, ტუნისელმა **მოჰამედ არურიმ** მარცხენა ფრთაზე გააბითურა რამდენიმე მასპინძელი და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც დასრებაზე თარგამაძემ ივარგა. ჩვენებური 84-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე მან 2-3-ჯერ კიდევ დაარტყა კარისკენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე



წუხელ დიდი, პარსკვლავური ფრე იყო

კოპას ამბები 8

ინციდენტი წუხანდელ მატჩში

ჩვენი მოულოდნელი კაცი შვეიცარიაში

შვეიცარიის სუპერლიგის მკვიდრი ნოიშატელის „ქსამაქსი“ ამ ზაფხულს ერთობ გააქტიურდა სატრანსფერო ბაზარზე: ესპანეთიდან ბარსელონელი **ვიქტორ სანჩესი** დაიმატა, რომელიც შარშან იჯარით „ხეტაფეში“ თამაშობდა, შეიმატა „ვალენსიას“ მცველი **დავიდ ნავაროც**. სწორედ ამ ესპანელთა ნაკვალევზე ძალიან საინტერესო და მოულოდნელი რამ აღმოვაჩინეთ - გუშინ „ქსამაქსი“ ფრანგულ „არლს“ ამხანაგურად გაეჯიბრა და 1:0 მოუგო. ვიქტორ სანჩესი შესვენებისას... **ირაკლი ჩირიკაშვილმა** შეცვალა, ბოლნისის „სიონის“ ყოფილმა ნახევარმცველმა. მას ერთხელ კარშიც დაურტყამს, თუმცა ფრანგთა მეკარეს უყორაღია. „ქსამაქსის“ ოფიციალური საიტის ცნობით, ირაკლი ახლახან დამატებულთა სიაშია და მას 31-ე ნომერი აქვს მინიჭებული. მოკლედ, შვეიცარიაში ლეგიონერი გვყოლია და არ ვიცოდით...

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მეტალურგი — ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი — მეტოქე

რა უცნაურია ცხოვრება



ჯოზეფ კეი

აგერ, სულ ახლახან რეპრეზენტინგი, პრეზენტაცია, გეგმები, ლაპარაკი პერსპექტივაზე... გუშინწინ კი...

რეპატრონიზაცია

რუსთავის მეტალურგის პრეზიდენტი ჯოზეფ კეი მეტალურგიული კომბინატის მფლობელი აღარ არის

რუსთაველები ახალ პატრონს ელიან

ევროპის ლიგაზე "მეტალურგისა" და ერევნის "ბანანცის" მატჩის დასრულებისას გავრცელდა ცნობა, "მეტალურგის" მეპატრონე **ჯოზეფ კეი** აღარ იქნება, მეტალურგიულ კომბინატთან დაკავშირებით პრობლემები აქვს და გუნდს აღარ უპატრონებსო.

კომენტარისთვის რუსთავის "ოლიმპის" ("მეტალურგის" წინამორბედი) დამფუძნებელ **მამუკა გუგეშაშვილს** დავუკავშირდით:

- ნამდვილად არ ვიცი, რა ცვლილებებია ქარხანაში და ვინ გახდა მისი მეპატრონე, ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება. მხოლოდ ის ვიცი, რომ კლუბი "ირტიშთან" ევროპის ლიგის შეხვედრებისთვის ჩვეული რეჟიმით ემზადება, ქალაქი და ქვემო ქართლის გუბერნია "მეტალურგს" უპატრონოდ არ მიაგდებენ და მის არსებობას საფრთხე არ შეექმნება. ეს არის მთავარი.

ვარაუდი, რომ "მეტალურგი" მეპატრონის გარეშე რჩება, არ დასტურდება. „ქართულ ფოლადში" პრობლემები კი არ არის, მას მეპატრონე შეეცვალა - ჯოზეფ კეის ნაცვლად სხვა უპატრონებს.

ვითარებაში გასარკვევად ქვემო ქართლის გუბერნატორ **დავით კირკიტაძეს** დავუკავშირდით:

- გამორიცხულია, რომ "მეტალურგს" დაუბრუნდეთ და კვლავ მიხედოთ?

- მე ჩემი საქმეებიც მრავლად მაქვს და გუნდისთვის ნამდვილად ვერ მოვიცლი. თუ უპატრონოდ დარჩა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივხედავთ.

- კომბინატი ჯოზეფ კეის აღარ ეკუთვნის და მეპატრონე შეეცვალაო.

- მეპატრონე კი შეეცვალა, მაგრამ ეს გუნდის უპატრონოდ დატოვებას არ ნიშნავს.

- ვინ არის ქარხნის ახალი მეპატრონე?

- მე როგორც ვიცი, გუნდს მიხედავენ, მთავარი კი ეს არის.

როგორც ჩანს, ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახმა ხელისუფლებასთან დავა მორიგებით დაასრულა. ოჯახის საგანგებო განცხადებაში წერია, რომ მათ გადაწყვიტეს მორიგებით დაასრულონ დავა საქართველოს ხელისუფლებასთან, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟში 3 ნელი გრძელდებოდა და ოჯახისათვის მთაწმინდის პარკისა და სამაუწყებლო კომპანია „იმედის" დაკარგვასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურებას ეხებოდა.

როგორც ჩანს, მორიგება უფრო მასშტაბურია და, რადგან მხარეებმა გადაწყვიტეს საქმეს წერტილი დაუსვან, ამ გარიგებით ოდესღაც პატარკაციშვილების კუთვნილი ქარხნის ბედიც გადაწყდა.

ევროპის ლიგაზე პოლონეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან "იაგელონიასთან" სტუმრად წაგებული 0:1-ის შემდეგ ყაზახურმა პავლოდარის "ირტიშმა" შინ 2:0 მოიგო და რუსთავის "მეტალურგთან" 14 და 21 ივლისს შეხვედრები დაიბევა.

პოლონელებთან "ირტიშმა" **მამუტუ კულიბალისა** და **გლებ მალცევის** გოლებით გაიმარჯვა. ყაზახური ინტერნეტგაზეთი "სპორტს"-ი წერს, რომ პავლოდარელთა მთავარმა მწვრთნელმა **ტალგატ ბაისუფინოვმა** შემადგენლობა არ შეცვალა. "იაგელონიასთან" მოედნის ცენტრში კარგად ითამაშეს **სერგეი ივანოვმა, კონსტანტინ ზარეჩნიმ**, აგრეთვე სერბმა **პრედრაგ გოვედარიცამ** და **ედუარდ სერგეენკომ**.

როგორც ჩანს, პავლოდარელებს დაცვიდან შეტევაში სწრაფი გადასვლა ახასიათებთ, ყაზახური მედია წერს, პოლონელებს ამის წყალობით მოუგესო.

თუმცა, გოლი თამაშიდან რომ ვერ გაიტანეს, სტანდარტულების გამოყენებას შეეცადნენ: 37-ე წუთზე მცველმა კულიბალიმ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაახვედრა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში რამდენჯერმე სცადეს კარის აღება შორეული დარტყმებით ზარეჩნიმ, **ალექსანდრ დანაევმა,** მალცევმა.

საინტერესო დეტალი რუსთაველებისთვის – მათი მეტოქე საკმაოდ აგრესიული და ემოციებს ამყოლი გუნდია - 1:0-სას, როცა ეს ანგარიში ხელს არ აძლევდათ, ყაზახები პოლონელებს ხშირად ეკამათებოდნენ და სასურველი შედეგის მიღწევას ყველანაირად ცდილობდნენ, გოლი კი მალცევმა კონტრშეტევაზე გაიტანა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეტევით გართული ირტიშელები ზურგს, ანუ დაცვას ხშირად აშიშვლებდნენ, მაგრამ პოლონელებმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს .

მე ადრე ტრაქტორი ვიყავი

გუნდი 1965 წელს დაარსდა და მაშინაც "ირტიში" ერქვა, მაგრამ 1968 წლიდან "კეთილხმოვან" "ტრაქტორად" გადანათლეს და 1992 წლამდე საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში ამ სახელით ასპარეზობდა, 1993-95 წლებში „ანსატი" დაარქვეს, ძველი სახელი "ირტიში" კი 1996 წელს დაუბრუნეს.

საბჭოთა კავშირის "ბ" კლასში 6 სეზონი ჩაატარა, მეორე ლიგაში – 18, პირველში – 2. სულ საბჭოთა პერიოდში 952 მატჩიდან 454 მოიგო, 206 ფრედ დაასრულა და 292 წააგო, ბურთების შეფარდება - 1931-928.

ყაზახეთის ჩემპიონატის ხუთგზის გამარჯვებული (1993, 1997, 1999, 2002, 2003), სამგზის ვერცხლის (1994, 1996, 2004), ოთხჯერ ბრინჯაოს მედლების (1992, 1998 , 2000, 2008) მფლობელი. 2008 წელს მოიპოვა ყაზახეთის თასი.

"ირტიში" პავლოდარის ცენტრალურ სტადიონზე თამაშობს, რომელიც 12 ათასამდე მაყურებელს იტევს. გუნდი დღესაც რუსული ფეხბურთის მიმდევარია.

ევროთასებზე მესამედ ასპარეზობს - 2003-04 წლების ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კვიპროსულ "ომონიასთან" დამარცხდა (0:0, 1:2), 2009-10 სეზონში - ევროპის ლიგაზე უნგრულ "ჰალადაშთან" (0:1, 2:1). შემდეგ ეტაპზე გასვლა მხოლოდ წლეულს, "იაგელონიასთან" მოგებით (0:1, 2:0) მოახერხა.

დაჩაგრული ლორია და ისევ ის ტლეშევი

გუნდის მეკარე წარმოშობით ქართველი, ყაზახეთის ნაკრების ყოფილი წევრი **დავით ლორიაა**. ის ნაკრებიდან მამის, ყარაღანდის "შახტიორის" პრეზიდენტ **გრიგოლ ლორიას** ფეხბურთის ფედერაციასთან დაპირისპირების გამო მოკვეთეს. ლორიას ამჟამად აქილევსის მყესი აქვს დაზიანებული და გერმანიაში მკურნალობს, მან ვერც პოლონელებთან ითამაშა და "ირტიშს" ვერც ქართველებთან დაეხმარება. მის ნაცვლად მეორე მეკარე **ანტონ ტიშინი** თამაშობს.

გუნდში 6 ლეგიონერია – მალეი მცველი მამუტუ კულიბალი, სერბი ნახევარმცველები **მარკო ბლაჟიჩი**, პრედრაგ გოვედარიცა, **მილან ნიკოლიჩი**, ბულგარელი ფორვარდი **გიორგი დასკალოვი** და ბრაზილიელი **რობერტო.** თუმცა ამ უკანასკნელსა და ბლაჟიჩს წლეულს ერთი მატჩიც არ ჩაუტარებიათ.

პავლოდარულ გუნდშია **მურატ ტლეშევი**, რომელმაც რუსთავში წინა ევროსეზონშიც ითამაშა – მაშინ ის მეორე ყაზახური კლუბის, "აქტობეს" ღირსებას იცავდა. ტლეშევი "ირტიშში" ორჯერ გახდა ყაზახეთის ჩემპიონატის ბომბარდირი – 2005 და 2008 წლებში. თუმცა 31 წლის ტლეშევის კარიერაში უკვე დაღმავალი პერიოდია – წლეულს პავლოდარელებმა 18 მატჩში მხოლოდ 8-ჯერ ათამაშეს და ერთხელაც ვერ გაიტანა. მთავარი დამრტყმელი ძალა კი 29 წლის ბულგარელი დასკალოვია, რომელმაც 17 მატჩში 6-ჯერ გაიტანა. შედარებით შედეგიანად თამაშობენ ადგილობრივი გლებ მალცევი (16 მატჩი, 4 გოლი), **პაველ შაბალინი** (10 მატჩი, 3 გოლი), შედეგიანია ნახევარმცველი გოვედარიცაც (16 მატჩი, 3 გოლი).

ფული? ოხრად!

შარშან გუნდის ბიუჯეტი დაახლოებით 25 მილიონი დოლარი იყო, მთავარმა მწვრთნელმა **ტალგატ ბაისუფინოვმა** კი განაცხადა, რომ 2011 წელს კლუბს დაფინანსება გაეზარდა. ან რა გასაკვირია – "ირტიშის" პრეზიდენტი პავლოდარის ოლქის აკიმის (ანუ გუბერნატორის) მოადგილე **რომან სკლიარია**, ეს მხარე საქართველოზე ორჯერ დიდია, მაგრამ სულ რაღაც 748 ათასი მოსახლეა, ციმბირს ესაზღვრება და ცუდი კლიმატითაა ცნობილი, მაგრამ ბუნებრივი რესურსებით უმდიდრეს ყაზახეთშიც კი ერთ-ერთი გამორჩეულია – იქ მოიპოვებენ ქვანახშირს, ოქროს, ვერცხლს, სხვა წიაღისეულს...

"ირტიშს" უმსხვილესი და უმდიდრესი დამფინანსებელი ჰყავს - "ევრაზიის ბუნებრივი რესურსების კორპორაცია", რომელიც მინერალური რესურსების მოპოვება-გადამუშავებაში მსოფლიოში ერთ-ერთი მონინავე კომპანიაა, ფლობს რამდენიმე დიდ სანარმოს, მათ შორის, ენერგეტიკულს და ლოჯისტიკურს. 2010 წელს კომპანიის საქონელბრუნვა 6,605 მილიარდ დოლარს შეადგენდა, წმინდა მოგება კი - 2,197 მილიარდ დოლარს.

ასეთი მდიდარი პატრონისა და სოლიდური დაფინანსების მიუხედავად, უმდიდრესი კლუბი ყაზახეთის 12-გუნდიან პრემიერლიგაში 27 ქულით (8 მოგება, 3 ფრე, 7 წაგება, ბურთები 29-12) მეოთხეადგილოსან ყარაღანდის "შახტიორს" 9 ქულით ჩამორჩება, მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს "ტობოლთან", მეშვიდეადგილოსან "ორდაბასის" კი ქულით უსწრებს, ბოლო ხუთ მატჩში სამჯერ დამარცხდა, თითო-თითოჯერ კი ფრეს და გამარჯვებას მიაღწია. მოკლედ, წლეულს კლუბი დამაჯერებლად ვერ თამაშობს.

რუსთავი უფრო იოლია

"ირტიშის" სერბმა ნახევარმცველმა მილან ნიკოლიჩმა ასე ახსნა საკმაოდ ძლიერ პოლონურ გუნდთან გამარჯვება: "პოლონელები ფიზიკურად სასურველ კონდიციებში ჯერ არც იყვნენ., სეზონი არ დაუწყიათ და, შესაძლოა, ეს იყო მიზეზი. ფაქტია, რომ ამ ეტაპზე ჩვენ უფრო ძლიერები აღმოვჩნდით."

მან კომენტარი რუსთავის "მეტალურგთან" მომავალ მატჩზეც გააკეთა. კითხვა ასეთი იყო:" რუსთავის "მეტალურგთან" მატჩები გელით, რომელიც, ალბათ, "იაგელონიაზე" უფრო იოლი მეტოქეა".

„ქართულ ფეხბურთზე, ფაქტობრივად, არაფერი ვიცი. კარგია, რომ პირველ მატჩს სტუმრად ვატარებთ. განმეორებითში მე-12 მოთამაშე, ჩვენი გულშემატკივარი დაგვეხმარება. გამარჯვების უნდა გვჯეროდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქვს აზრი იმას, რომელი ქვეყნის გუნდს ვხვდებით – პოლონეთის თუ საქართველოს".

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

დავით ლორია

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ალექს გარსია

კოტო

ხისკო

იაგუე

ახალი დინამოს ძველი სტაჟესი

ესპანური ექსპანსია

მართლაც გასახარად გვაქვს საქმე: რუსთავის „მეტალურგმაც“ და თბილისის „დინამომაც“ წარმატებით დაძლიეს ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. დღეს „დინამოზე“ ვისაუბრებთ და საგანგებოდ გვინდა გავუსვათ ხაზი ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის წარმატებას: **ალექს გარსიას** გუნდმა ორი მატჩის ჯამში მოლდოვურ „მილსამის“ 5:1 აჯობა!

... როცა ევროტურნირების კენჭისყრა მოეწყო, მაშინაც აღვნიშნეთ, რომ „დინამოსა“ და „მილსამის“ წყვილში ფავორიტის სტატუსი ქართულ გუნდს უნდა ჰქონოდა. ერთადერთი, რასაც ცოტა ვუფრთხოდით, „დინამოს“ ფეხბურთელთა ერთმანეთში შეუთამაშებლობა უნდა ყოფილიყო; ჰო, არავისთვის იყო გასაკვირი, რომ „დინამოს“, ფაქტობრივად, ახალი გუნდით უნდა ეასპარეზა ამ ევროტურნირებზე (თანაც, საკადრო ცვლილებები ხომ ფეხბურთელების გარდა, სამწვრთნელო შტაბსაც შეეხო). ასე თუ ისე, ფაქტობრივად, ერთი თვის წინათ „შექმნილმა“ გუნდმა ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია და „დინამოს“ ახალ მწვრთნელს ალექს გარსიას წარმატებული დებიუტიც უნდა მივულოცოთ: ესპანელი სპეციალისტის დამოძღვრილმა გუნდმა ორივე ოფიციალური მატჩი მოიგო!

... როგორც „დინამოს“ პრესატაშემ **გიგა გვენცაძემ** გვითხრა, „დინამოს“ მოლდოვაში მშვენიერი დახვედრა ჰქონია: ჩვენი გუნდი კიშინიოვის ცენტრში კეთილმოწყობილ სასტუმროში დაბინავდა და იქ ყოფნის განმავლობაში ჩვენები მასპინძელთაგან მხოლოდ კეთილგანწყობას გრძნობდნენ. ანალოგიური სიტუაცია ყოფილა პატარა ქალაქ ორხეის კოხტა სტადიონზეც, — მოლდოველმა ქომაგებმა ობიექტურად შეაფასეს მეტოქის სიძლიერე. სხვათა შორის, ორხეელებისათვის „დინამოსთან“ შეხვედრა მართლაც გამორჩეული მნიშვნელობის იყო: ამ პატარა ქალაქის გუნდი ევროტურნირების ისტორიაში პირველ საშინაო მატჩს ატარებდა და სტადიონზეც (ჩინებული მინდვრის საფარით რომ თავს იწონებდა) სრული ანშლაგი ყოფილა. პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ალექს გარსიას შეგირდებს სანერვიულო არაფერი ჰქონდათ და პირველი ტაიმიც ჩვენთვის სასურველი თამაშის სცენარით წარმართა; მოკლედ, „დინამოს“ გასარისკი არაფერი ჰქონდა, მაშინ როცა მასპინძლებს ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მართებდათ. ჰოდა, მეორე ტაიმში თამაშიც „გაიხსნა“, რითაც სწორი ტაქტიკით მოასპარეზე დინამოელებმა იხეირეს და „დინამოს“ კაპიტანმა, 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძემ** ეფექტური გოლით, ფაქტობრივად, ამ წყვილში საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია. მოვლენების ასეთ განვითარებას მასპინძლებიც შეეგუენ, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებზე ორხეის სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა... სამი გოლი იხილეს! სასიამოვნოა, რომ „დუბლით“ გამოირჩა 23 წლის **რობერტინიო**, მაგრამ თბილისური მატჩის მსგავსად, ბრაზილიელმა განმეორებით შეხვედრაშიც გაფრთხილება მიიღო და მეორე ეტაპზე უელსურ „ლანელისთან“ პირველ მატჩს გამოტოვებს. „დინამოს“ ქომაგები იმასაც შეამჩნევდნენ, რომ „დინამოს“ შემადგენლობაში პირველი მატჩისგან განსხვავებით ალექს გარსიამ მოლდოვაში ორი ცვლილება განახორციელა: ძირითადში დაიწყეს თამაში 27 წლის **გოგა ბერაიამ** და 29 წლის **ლადო ახალაიამ.** სხვათა შორის, გარკვეული პაუზის მერე „დინამოში“ დაბრუნებულმა ახალაიამ „მილსამისთან“ განმეორებით მატჩში ბევრი იბრძოლა და ვიდრე მოედანზე იქნებოდა, მეტოქის მცველებს მუდამ პრობლემას უქმნიდა.

„დინამო“ სამშობლოში გუშინ ნაშუადღევს ჩამოფრინდა და... 18 საათზე გუნდს უკვე ვარჯიშიც ელოდა! რა თქმა უნდა, დასვენებაც კარგია (მით უფრო, სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ), მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ექვს დღეში „დინამოს“ მომდევნო რაუნდის მატჩი ელოდება; შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას „დინამო“ სტუმრად უელსურ „ლანელისთან“ ჩაატარებს. ჩვენი გუნდი თბილისიდან, სავარაუდოდ, სამშაბათს გამთენიისას გაემგზავრება: ჯერ სტამბოლში ჩაფრინდება, იქიდან ლონდონში და ამის შემდეგ ავტობუსით გეზს უელსისკენ აიღებს. ადრეც ვთქვით და კვლავაც გავიმეორებთ, რომ „დინამოს“ რეალურად ხელენიფება „ლანელის“ ბარიერის დაძლევა; თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ალექს გარსიას უკვე შეეძლება თანამემამულე ფეხბურთელების ევროტურნირების განაცხადში შეყვანა და „დინამოს“ ქომაგებიც 30 წლის **ხისკოს**, 26 წლის **იაგუესა** და 23 წლის **კოტოს** დებიუტის მოლოდინში არიან. დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა „დინამოს“ ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელს, 26 წლის **ლევან ხმალაძეს** და ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბში მართლაც სერიოზული კონკურენციაა მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობაში კი არა, 18-კაციან განაცხადში ვინ მოხვდება, ამის გამოცნობაა ძნელი...

რა შუაშია კეტრინ ზეტა-ჯონსი?

მარად მწვანე წითელი ბებრეები



უელსური „ლანელი“, როგორც ბრიტანული გუნდების უმრავლესობა, ძალიან ძველი კლუბია - 1896 წელს არის დაარსებული. საშინაო მატჩებს გუნდი „სტებუნჰეტ პარკზე“ ატარებს, 3700 მაყურებელს რომ იტევს. კლუბის პრეზიდენტი **ნიტინ პარეკი** გახლავთ, მეპატრონე კი **რობერტ ჯონსი,** - ცნობილი კინოვარსკვლავის, **კეტრინ ზეტა-ჯონსის** ბიძა!

„ლანელი“ უელსის ხუთგზის ჩემპიონია (ბოლო ტიტული 2008 წელს მოიპოვა), არაერთხელ დაუკავებია საპრიზო ადგილი, ხოლო თასის გათამაშებაში სამჯერ გაუმარჯვია. უელსის ლიგის თასის წლევანდელ ფინალში „ლანელი“ ძალიან ახლოს იყო ტიტულის მოპოვებასთან, მაგრამ მართლაც დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა ბოლო წლების უელსის საუკეთესო გუნდ „ლანტსანფრეიდთან“ (3:4 - დამატებით დროში). სამაგიეროდ, წლეულს 8 მაისს გუნდმა თავის ტიტულებს უელსის თასი მიუმატა: ქვეყნის ჩემპიონი „ბანგორი“ დიდი ანგარიშით 4:1დაამარცხა. რაც შეეხება უელსურ პრემიერლიგას, გუნდი ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს: „ლანელი“ 2008 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მომდევნო ორ სეზონში მეორე ადგილზე გადიოდა, წლეულს კი გათამაშება მეოთხე ადგილზე დაასრულა.

„ლანელის“ შემადგენლობაში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა 38 წლის **სტივ ჯენკინსის,** 32 წლის **უინ ტომასის,** 35 წლის **რიჩარდ აპლების,** 31 წლის **კრის ჰოლოვეისა** და 31 წლის **კრის ლეველინის** სახელ-გვარი ფეხბურთის ქართველი ქომაგისათვის ბევრს არაფერს წარმოადგენს. იმავეს თქმა შეიძლება გუნდის ერთ-ერთ ლიდერზე, 31 წლის **რის გრიფიტსზე,** რომელმაც ნინა სეზონში უელსის ჩემპიონატში 28 მატჩში 25 გოლი გაიტანა. „ლანელის“ შემადგენლობაში ყველაზე „ცნობადი სახე“ გუნდის კიდევ ერთი ვეტერანი, 38 წლის ნახევარმცველი **ჯეისონ ბოუენი** გახლავთ; ბოუენს სხვადასხვა დროს ინგლისური „ბირმინგემისა“ და „რედინგის“, აგრეთვე უელსურ გრანდებში „კარდიფსა“ და „სუონსიში“ უთამაშია და ინგლისის პირველ და მეორე დივიზიონებში, საერთო ჯამში 500-მდე მატჩიც ჩაუტარებია! ეგ კი არა, 1997 წელს „საუთჰემპტონის“ შემადგენლობაში 3 შეხვედრა ინგლისურ პრემიერლიგაშიც ჩაატარა, ხოლო ორჯერ უელსის ნაკრებში აქვს ნათამაშები. ბოუენზე არანაკლებ შთამბეჭდავი კარიერა აქვს გუნდის მოთამაშე-მწვრთნელს, 44 წლის **ენდი ლეგს,** ვისაც კარიერის განმავლობაში უთამაშია: „სუონსიში“, „ნოთს ქაუნთში“, „ბირმინგემში“, „იფსვიჩში“, „რედინგში“, „პეტერბოროში“, „კარდიფ სიტიში“, 2007 წლიდან კი „ლანელიშია“. ენდი ლეგი 1996-2001 წლებში უელსის ნაკრებში თამაშობდა და 6 მატჩიც ჩაატარა; 2009 წლიდან კი „წითლების“ მოთამაშე-მწვრთნელია და არ არის გამორიცხული, რომ 44 წლის ლეგი „დინამოსთან“ მატჩშიც ვიხილოთ. ცნობისათვის: უელსის ბოლო ჩემპიონატში ლეგმა 18 შეხვედრა ჩაატარა (აქედან 9 - ძირითადში) და ერთხელ მოედნიდან გააძევეს...

ბოლოს იმასაც ვიტყვით, რომ „ლანელის“ ევროტურნირებზე ოთხჯერ უასპარეზია და პირველი ეტაპი... არც ერთხელ გადაულახავს!..

გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა

ლანელის წლევანდელი სათასო ტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. გაგრას მეტოქე

თემურ ქეცბაია და ჟოზე მოურინიო

ინტერნაციონალური კლუბი, რომელიც ქეცბაიათი ამაყობს

რეგორც საქართველოს თასის მფლობელი, "გაგრა" ევროპის ლიგაზე მეორე ეტაპიდან დაუშვეს, სადაც წილისყრისას განუთესავი იყო და ხელნამოსაკრავ მეტოქეს ვერ გადაეყრებოდა. "ანორთოსისი" დღეს ვეღარაა ისეთი ძლიერი გუნდი, **თემურ ქეცბაიას** მწვრთნელობისას რომ იყო, მაგრამ ქართველებთან დაპირისპირებაში მაინც ფავორიტად მიიჩნევა. ამის მიუხედავად, დიდი იმედი გვაქვს, რომ **ანატოლი პისკოვეცის** გუნდი ამჯერადაც გამოაჩენს მებრძოლ ხასიათს და კვიპროსული ბარიერის გადასალახად ბოლომდე იბრძოლებს.

1911 წელს დაარსებულ "ანორთოსისს" ტიტულები არ აკლია – კვიპროსის 13-გზის ჩემპიონი, 10-გზის თასისა და 7-გზის სუპერთასის მფლობელია. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონობაცა და თასიც გუნდს ბოლოს ქეცბაიამ მოაპოვებინა – შესაბამისად, 2008 და 2007 წლებში.

ბევრს არ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რას ნიშნავს თემური ამ კლუბისთვის. იგი "ანორთოსისის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული და მისი კუთვნილი 14-ნომრიანი მაისურა გუნდში აღარავის აცვია.

ზედმეტია იმის შეხსენებაც, რომ "ანორთოსისმა" ევროსარბიელზე ყველაზე დიდ წარმატებას ასევე საქართველოს ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი თავკაცის წყალობით მიაღწია – 2008 წელს ქეცბაიამ ფამაგუსტელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა და იმის მიუხედავად, რომ "ანორთოსისმა" იქ ბოლო ადგილი დაიკავა, თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. ყველაზე გამორჩეული, ალბათ, **ჟოზე მოურინიოს** "ინტერთან" საშინაო დაპირისპირება იყო, რომელიც 3:3 დასრულდა.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ "ანორთოსისისა" და "გაგრას" დაპირისპირება უპრეცედენტო ამბავია. ცხადია, არა საფეხბურთო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით – ორივე ხომ უცხო ქვეყნისგან ოკუპირებული ქალაქის კლუბია და იძულებით აქვთ შეცვლილი დისლოკაციის ადგილი. "ანორთოსისი" ფამაგუსტადან ლარნაკაში გადაბარგდა, "გაგრა" კი დროებით თბილისშია დაბინავებული.

ქეცბაია ერთადერთი ქართველი არ არის, ვისაც "ანორთოსისში" უთამაშია. მის გარდა, გუნდის ღირსებას იცავდნენ **გიორგი ქინქლაძე, კლიმენტი წიტაიშვილი** და **გოჩა ხოჯავა**.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში მხოლოდ ერთხელ უთამაშია, მაგრამ ევროთასებზე ქართულ კლუბებზე უკეთეს შედეგს "ანორთოსისი" მაინც ხშირად აჩვენებს. თუნდაც შარშანდელი სეზონი გავიხსენოთ, როცა ფამაგუსტელებმა ევროპის ლიგაზე სამი ეტაპი გადალახეს: ჯერ სომხურ "ბანანცს" აჯობეს (3:0, 1:0), მერე ხორვატიულ "შიბენიკს" სძლიეს (0:2, 3:0) და ბელგიურ "სერკლ ბრიუგესაც" გასცდნენ (3:1, 0:1), ჯგუფში შესასვლელ პლეი ოფში კი მოსკოვის ცსკა-სთან ველარაფერს გახდნენ – შინ 1:2 დამარცხდნენ, სტუმრად კი 0:4 განადგურდნენ.

ევროტურნირებზე "ანორთოსისს" სულ 92 მატჩი აქვს ჩატარებული, საიდანაც 29 მოიგო, 15 ფრედ დაასრულა და 48-ში დამარცხდა.

კვიპროსის გასულ ჩემპიონატში "ანორთოსისმა" მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონ აპოელ-ს მთელი 17 ქულით ჩამორჩა, მეორეადგილოსან "ომონიას" კი – 5-ით.

"გაგრას" მეტოქეს, რომელიც საშინაო მატჩებს 12-ათასიან "ანტონის პაპადოპულოსზე" ატარებს, შემადგენლობა ნამდვილად არ დაენუნება. გუნდს ბულგარეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი **სტანიმირ სტოილოვი** წვრთნის, შემადგენლობაში კი კვიპროსელები უმცირესობაში არიან. "ანორთოსისის" საუკეთესო ბომბარდირი გასულ სეზონში პორტუგალიელი თავდამსხმელი **კაფუ** გახდა, ლეგიონერები კი ფამაგუსტელებს საიდან აღარ ჰყავთ – საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან, სლოვენიიდან, პოლონეთიდან, ნიგერიიდან, შოტლანდიიდან, პორტუგალიიდან, კოლუმბიიდან, ესპანეთიდან, არგენტინიდან, ჰოლანდიიდან და ჰოლანდიის ანტილებიდანაც კი.

ლევან ჯანეზაშვილი

● ჩემპიონთა ლიგა. დებიუტის წინ

ზესტაფონური განაცხადი უკვე ნიონშია

ალადაშვილი კი, ჯერჯერობით თამაშგარეშე...

"ზესტაფონმა" უეფაში საჩემპიონთალიგო განაცხადი გაგზავნა. როგორც მოსალოდნელი იყო, სიაში ის ფეხბურთელები მოხვდნენ, რომლებიც საქართველოს ჩემპიონთა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ავსტრიულ შეკრებაზე იახლა.

ჯერაც გასარკვევია **კახა ალადაშვილის** საკითხი. "დაჩიასთან" პირველ მატჩამდე "ზესტაფონს" განაცხადში ერთი ფეხბურთელის დამატების უფლება აქვს და ის ერთი, შესაძლოა, სწორედ ალადაშვილი აღმოჩნდეს. არც ის არის გამორიცხული, კლუბმა ამ უფლებით საერთოდ არ ისარგებლოს.

მოლდოვური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში კი ზესტაფონელებს განაცხადში კიდევ ორი ახალი მოთამაშის შეყვანის უფლება ექნებათ.

"ზესტაფონის" განაცხადში ახალსა და მოულოდნელს ვერაფერს აღმოაჩენთ, მხოლოდ იმას შენიშნავთ, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა მაღალი ნომერი აირჩია – ასე, მაგალითად: **როინ კვასხვაძემ** 1-იანი 89-ზე გაცვალა, **თორნიკე აფციაური** კი მომავალი სეზონიდან 18-ის ნაცვლად 55 ნომრით ითამაშებს.

ფეროელები ჩემპიონთა ლიგის დებიუტისთვის ზესტაფონში ემზადებიან, სადაც დღეს ამხანაგურად წყალტუბოს "სამგურალს" უმასპინძლებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

N	სახელი, გვარი	ასაკი
	მეკარეები	
12.	ზურაბ მამალაძე	29
89.	როინ კვასხვაძე	22
90.	კახაბერ მეშველიანი	19
	მცველები	
2.	თეიმურაზ ლონღაძე	25
4.	გიორგი ონიანი	27
5.	მამუკა კობახიძე	18
16.	გიორგი ხიდეშელი	23
20.	ზაალ ელიავა	26
30.	მალხაზ გაგოშიძე	18
	ნახევარმცველები	
7.	ალექსი გენაშვილი	22
8.	მურთაზ დაუშვილი	22
10.	ირაკლი ძარია	22
13.	შოთა გრიგალაშვილი	25
17.	თორნიკე გორგიაშვილი	23
21.	მიხეილ სარდალიშვილი	18
22.	გიორგი ჭანკოტაძე	20
27.	შოთა გაგუნაშვილი	30
55.	თორნიკე აფციური	31
77.	როსტომ გეწაძე	19
	თავდამსხმელები	
9.	ნიკოლოზ გელაშვილი	26
11.	ჯაგა დვალი	26
37.	რატი წინამძღვრიშვილი	23
99.	საგა ლომია	21

გია გეგუჩაძე

● ზესტაფონის მეტოქე

დაჩიამ ტირასპოლში უჭართველებოდ მოიგო

წლეულს დაჩიას დავით გამეზარდაშვილმაც (მარჯვნივ) უკაპიტნა

გუშინ ტირასპოლში მოლდოვის სუპერთასისთვის ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი "დაჩია" და თასის მფლობელი "ისკრა-სტალი" დაუპირისპირდნენ. "ზესტაფონის" საჩემპიონთალიგო მეტოქემ **ვასილი პავლოვის** მიერ მე-12 წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვა და სუპერთასი პირველად მოიპოვა.

როგორც ჩანს, "დაჩიას" სამწვრთნელო შტაბი კვლავ ბევრ რამეს ასაიდუმლოებს და ამიტომაც იყო, კიშინიოველებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით რომ ითამაშეს. გუნდის რამდენიმე ლიდერმა (მათ შორის **ლევან კორღალიძემ** და **დავით გამეზარდაშვილმა**) თამაშს ტრიბუნიდან უყურა.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერები

ადამია და სამეული მეორე რაუნდში

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გასულ ხუთშაბათს რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა, რომელთაგანაც მეორე რაუნდში მხოლოდ ყარაბახელმა **გიორგი ადამიამ** გააღწია. მისმა გუნდმა ჯერ სტუმრად 4:0 გაანადგურა ლიტვური "ბანგა", შემდეგ შინ 3:0 გაიმარჯვა და მეორე ეტაპზე საქმეს, ალბათ, კიდევ უფრო სუსტ გუნდთან, ფარერულ "სტრეიმურთან" დაიჭერს. "ბანგასთან" განმეორებით შეხვედრაში ადამიამ სრულად ითამაშა, მაგრამ გოლი ვერც ამჯერად გაიტანა.

მეტოქის კარი დალაშქრა ლატვიური "დაუგავას" ქართველმა თავდამსხმელმა **მამუკა ღონღაძემ**, მაგრამ ეს მისი გუნდისთვის დიდი ვერაფერი შეღავათი აღმოჩნდა. "დაუგავამ", რომელიც წინა ხუთშაბათს შინ 0:5 განადგურდა ნორვეგიულ "ტრომსოსთან", სტუმრად 1:2 წააგო. ღონღაძემ პირველ ტაიმში ანგარიში გაათანაბრა, მეორეში კი დაუგაველმა **ბიძინა ცინცაძემ** ავტოგოლი გაიტანა. ღონღაძემაც, ცინცაძემაც და **გიორგი ჩიხრაძემაც** შეუცვლელად ითამაშეს.

სომხურმა "ულისმა" "ფერენცვაროშთან" სტუმრად წაგებული 0:3-ის შემდეგ უნგრელებს წინააღმდეგობა ვერც ერევანში გაუწია და 0:2 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში **გიორგი კრასოვსკიმ** და **შოთა ჯიქიამ** სრულად ითამაშეს, **თენგიზ უგრეხელიძე** 86-ე წუთზე შეცვალეს, **ლევან აკობია** კი სათადარიგო იყო.

"ყარაბახისგან" განსხვავებით, პირველი ეტაპი ვერ დასძლია მეორე აზერბაიჯანულმა კლუბმა აზალ-მა, რომელიც ბელარუსში "მინსკთან" 1:2 წაგების შემდეგ შინ 1:1-ს დასჯერდა. აზალ-ის შემადგენლობაში **ნუგზარ კვირტიამ** შეუცვლელად ითამაშა.

ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე კიდევ რამდენიმე ჩვენებური ითამაშებს. **აკაკი ხუბუტიას** "გაზ მეთანი" ფინურ "კუოპიოს" დაუპირისპირდება, **გიორგი მერებაშვილის** "ვოივიდონას" მეტოქე ლიხტენშტაინური "ვადუცი" იქნება, **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფი" კი ბოსნიურ "ჟელეზნიჩარს" შეხვდება.

ლევან ჯანეზაშვილი

არზიანი ვოლგაში?

თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი**, შესაძლოა, მალე ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ჩაირიცხოს. ინფორმაცია რუსულმა ინტერნეტგაზეთმა "სპორტს.რუმ" გამოაქვეყნა, რომელიც იუწყება, რომ არზიანი ავსტრიაში შეკრებაზე გამგზავრებულ ნიჟნელებს შეუერთდა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტ "კოპენჰაგენთან" საკონტროლო შეხვედრაში მოედანზე 75-ე წუთზე გამოჩნდა.

მატჩი დანიელებმა 1:0 მოიგეს, ძირითადში ითამაშეს **ლაშა სალუქვაძემ** და **გია გრიგალავამ, გოგიტა გოგუა** თამაშში 31-ე წუთიდან ჩაერთო, ისევე, როგორც **მათე ვაწაძე**. 75-ე წუთზე ორივე შეცვალეს - გოგუას ნაცვლად მოედანზე **გოჩა ხოჯავა** გამოჩნდა.

როგორც გაირკვა, არზიანის ტრანსფერი დღემდე მახაჩყალის "ანჟის" ეკუთვნის და ის თბილისის "დინამოში" იჯარით თამაშობდა.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი - "სპორტს.რუ"-ს ინფორმაციით, შესაძლოა, სანკტ-პეტერბურგის "ზენიტმა" წარმოშობით ქართველი მცველი **იგორ ჩემინავა** იჯარით სამარის "კრილია სოვეტოვში" გაუშვას.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ.

ჟორდან აიუს გზა სრულყოფილებისკენ

წინა სეზონის ტრიუმფულად დასრულების შემდეგ ჟორდან აიუ ახლისთვის ემზადება, რომელიც შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს მის კარიერაში. მისივე თქმით, ურჩევნია, მომავლის ჭვრეტას და იქ ბედის ძიებას, ბევრი იშრომოს და პროგრესს ასე მიაღწიოს. ჟორდანი იუმორით დაჯილდოებული ბიჭია. მუდმივად იღიმის და დადებით აურას ქმნის. 19 წლისა ის უკვე ფლობს საოცარ თვითრწმენას, რომელიც არანაკლებ ახასიათებს მის ძმა ანდრესაც.

- ჟორდან, შეკრების პირველივე დღეებში მშვენივრად გამოიყურებით.

- დიახ, თავს მშვენივრად ვგრძნობ. შვებულებისას კარგად დავისვენე, მერე რა, რომ ჩვეულებრივზე ცოტა ხანი მომიხდა უქმობა? სამაგიეროდ კარგ ფორმაში ვარ.

- ფიზიკური დატვირთვები ძალიან მძიმე ხომ არ არის?

- დიახ, დატვირთვა დიდია, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია. ჩემთვის ეს მეორე სრულფასოვანი მოსამზადებელი შეკრებაა გუნდთან ერთად და ნელ-ნელა ყველაფერს ვეჩვევი. დამიჯერეთ, ფიზიკურ დატვირთვებს აკადემიაშიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ ასეთი ინტენსიური არ ყოფილა.

- შარშანდელი სადებიუტო სეზონიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

- ჩემი პროგრესი ყველა მხრივ. თუმცა ეს არ არის საუკეთესო სეზონი, მე ბევრად უკეთაც შემიძლია თამაში. თითქმის 20 წლის ვარ და აშკარაა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუმატებ. შარშანაც ასე იყო, როცა მინდორზე გავდიოდი, თავს არასოდეს ვზოგავდი.

- რა მხრივ გსურთ ყველაზე მეტი პროგრესის მიღწევა მომდევნო საფეხბურთო წელს?

- თავით და მარცხენა ფეხით თამაში ყველაზე მეტად საჭიროებს დახვეწას, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მხრივ პროგრესის წინააღმდეგი ვარ. მე ჯერ კიდევ უამრავი ნაბიჯი მაქვს გადასადგმელი წინ, რადგან იდეალისტი ვარ და სრულყოფილებისკენ სწრაფვა მინდა. ყველაფერს გავიღებ, რომ მიზანს მივაღწიო.

ჟორდან აიუ დიდიე დეშამის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ემზადება

- თუ მიგაჩნიათ, რომ ბოლო თვეებში თქვენმა სტატუსმა მოიმატა?

- არა, რადგან მე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვარ ამისთვის. მე არ შევცვლილვარ. ყოველდღიურ რუტინაში ძველებურად ვარ ჩაფლული და ბევრს ვსწავლობ ჩემი თანაგუნდელებისგან.

- რას იტყვით თქვენი ძმის ანდრეს მიერ ჩატარებულ ბოლო სეზონზე?

- ვიღაცას შეიძლება გაუკვირდა, როცა ის ამ სიმაღლეზე დაინახა, მაგრამ მე მათ შორის ნამდვილად არ ვყოფილვარ. მისგან ზუსტად მსგავს ასპარეზობას და ასეთ აღმატებულ კომპლიმენტებს ველოდი მისი თამაშის მისამართით.

- "ნიცასთან" "ველოდრომზე" (4:2 მასპინძელთა სასარგებლოდ, 3 ანდრემ გაიტანა, 1 ჟორდანმა) ძმებმა მატჩი ლამის მარტოებმა მოიგეთ. ეს საუკეთესო მოგონებაა, რაც "ოლიმპიკთან" გაკავშირებთ?

- ეს მატჩი სამუდამოდ დარჩება ჩემს მახსოვრობაში. ძალიან მინდოდა სწორედ ამ შეხვედრაში გატანა, რადგან ბოლო გოლის მერე ძალიან ბევრი დრო იყო გასული. უამრავი მომენტი შემექმნა, მაგრამ კარში ერთი ძლივს გადავგზავნე. ის გოლი იყო ჩემთვის მთავარი პრიზი მთელი სეზონის განმავლობაში თავაუღებელი შრომისთვის. მართალია, სხვა მშვენიერი დღეებიც მახსენდება, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებული იყო.

- რა მიზნებისთვის გსურთ ბრძოლა მომდევნო სეზონში?

- მსურს, რომ რაც შეიძლება უკეთ ავთამაშდე, ამისთვის კი უფრო მეტი სათამაშო დრო მჭირდება, ვიდრე მქონდა. რა თქმა უნდა, მეორე წუთში რა მოხდება არავინ იცის, მაგრამ მე მაინც ყველაფერს გავაკეთებ, რათა დასახულ მიზნებს მივაღწიო.

- თუ დაისახეთ რაიმე კონკრეტული გეგმა, რომ ამდენს და ამდენს გაიტანთ?

- დიახ, მე თამასა უკვე გავდე, მაგრამ არ გეტყვით, რადგან საიდუმლოა (იღიმის).

- ძირითადში დამკვიდრება თუ არის თქვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი?

- არ მოგატყუებთ და არ გეტყვით, რომ ეს ჩემი თვითმიზანია. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შეუცვლელი ფიგურა გავხდე, შეიძლება უფრო იშვიათადაც ვითამაშო.

- თქვენ უნივერსალური ფორვარდი კი ხართ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სად გიყვართ გარჯა?

- ჩემთვის სულ ერთია, სად ვითამაშებ, მე უბრალოდ თამაში მიყვარს, მინდორზე სირბილი და თავის მთლიანად მიძღვნა მატჩისთვის. ამის საშუალებას კი თავდასხმაში ნებისმიერი პოზიცია მაძლევს.

- აფრიკის თასზე განის ნაკრებში თამაშის იმედი თუ გაქვთ?

- მე განის ეროვნულ გუნდში უკვე ორჯერ ვითამაშე. აფრიკის თასზე თამაში, რასაკვირველია, ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. დიდიე დეშამთან ამაზე ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ ვიცი, რომ ეროვნულ გუნდში აუცილებლად გამომიძახებენ, თუ საკლუბო დონეზე თავს კარგად წარმოვაჩენ.

ამბები

50 მილიონი ბეილის სანაცვლოდ

ვეგგვერდი გოლ.კომი ექსკლუზიურად მოპოვებულ ინფორმაციას ავრცელებს. საიტის მტკიცებით, "ბარსელონა" "ტოტენჰემს" უელსელ მარცხენა მცველ **გარეთ ბეილში** 50 მილიონ ევროს სთავაზობს. თუკი ტრანსფერი მართლა შედგა, მაშინ გამოვა, რომ "ბარსელონა" ამით ბრიტანელი ფეხბურთელებში გადახდილ რეკორდულ თანხას გადაფარავს. პრეზიდენტ **სანდრო როსელს** იმედი აქვს, რომ "ბარსას" მიერ ბოლო წლებში მოპოვებული ავტორიტეტი უელსელზეც დიდ გავლენას იქონიებს და ის "ინტერსა" და "რეალს" სწორედ "კამპ ნოუს" არჩევს.

რასინგი გაკოტრების პირას

სანტანდერის "რასინგის" ხელმძღვანელობამ ესპანურ სასამართლოს მიმართა, რათა მან კლუბს სპეციალური მმართველი დაუნიშნოს, რადგან მას, როგორც ორგანიზაციას, აღარ შეუძლია მასზე რიცხული დავალიანებების გასტუმრება. საერთო ჯამში, ვალი 48 მილიონ დოლარს აღწევს. *"ძალიან ცუდი დღეა კლუბის ისტორიაში,* - ამბობს "რასინგის" პრეზიდენტი **ფრანსისკო პერინა**. *– ჩვენ მოგვიწევს ავუხსნათ ყოველივე ეს კლუბის მუშაკებსა და ფეხბურთელებს. სწორედ "რასინგის" ინტერესებიდან გამოვდივართ და იმედია, ფინანსური პრობლემების გამო სეგუნდა დივი ზიონში გავარდნას თავს ავარიდებთ. ჩვენ სერიოზული პრობლემები გვაქვს, რომლის მოგვარებას არა ერთი და ორი თვე დასჭირდება".*

მთავარი პრობლემები კლუბში იანვარში მას მერე დაიწყო, რაც "რასინგი" ინდოელმა ბიზნესმენმა **აჰსან ალი სიედმა** შეიძინა. მან მიცემული არც ერთი პირობა არ შეასრულა, რადგან პრობლემები თავად მას შეექმნა.

აუდიტორთა დასკვნით, სულ ესპანური კლუბების საერთო ვალი 3,43 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს მათ შემოსავლებს.

ენსხედეს ბრაგედიის მიზეზი ირკვევა

ჰოლანდიაში ქალაქ ენსხედეს ცენტრალურ სტადიონზე გუშინწინ რომ სახურავი ჩამოვარდა, ამის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე გამცნობდათ. "ტვენტეს" ხელმძღვანელობა ტრიბუნების კეთილმოწყობასა და სტადიონის ტევადობის გაზრდას უმიზნებდა. შედეგად მოხდა ტრაგედია: ჩამოვარდნილმა სახურავმა 1 ადამიანი იმსხვერპლა, 15 კი დაშავებულია (მათ შორის 2 მძიმედ). პოლიციას ხელთ ჩაუვარდა სამოყვარულო ვიდეო, სადაც ჩამოვარდნის მომენტია დაფიქსირებული. სამართალდამცავების თქმით, ამ ფირს შეუძლია გამოძიებას უზარმაზარი დახმარება გაუწიოს. უეფამ უკვე შესთავაზა ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონს, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩები არნემში ან გელზენკირხენში ჩაატაროს. ორივე ეს ქალაქი ენსხედედან 100 კმ-შია.

პელეგრინიმ ვადა გააგრძელა

"მალაგას" ჩილელი მთავარი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** კლუბთან თანამშრომლობას კიდევ რამდენიმე წლით გეგმავს. მან ხელშეკრულება 2 წლით გააგრძელა. ამრიგად, სამხრეთამერიკელი ანდალუსიელთა თავკაცი 2015 წლამდე იქნება. მისი მოთხოვნით, კლუბმა ხელშეკრულება სწორედ აღნიშნულ ვადამდე გაუგრძელა მისი სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრს.

გარდა მანუელ პელეგრინისთან ხელშეკრულების გაგრძელებისა, "მალაგაში" მომავალ წელს იმუშავებს... **ფერნანდო იეროც**. ლეგენდარული ესპანელი მცველი კლუბში სპორტული დირექტორი გახდება, ანუ შეასრულებს ზუსტად იმ ფუნქციებს, რასაც ის ესპანეთის ნაკრებში ასრულებდა.

მარსელო ბიელსა ბილბაოში

არგენტინისა და ჩილეს ნაკრებების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **მარსელო ბიელსა** გუშინ ოფიციალურად დაინიშნა ბილბაოს "ატლეტიკის" მთავარ მწვრთნელად. ამ პოსტზე მან **ხოაკინ კაპაროსი** შეცვალა, ვისთან ერთადაც "ბილბაომ" ლა ლიგაში მე-6 ადგილი დაიკავა. როგორც ჩანს, ბასკური კლუბის ხელმძღვანელობას ეს შედეგი არ აკმაყოფილებდა. მართალია, კაპაროსის მუშაობამ ბევრის აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ის მაინც შინ გაუშვეს. როგორც ჩანს, არგენტინელს მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაუსახავენ მიზნად, წინაალმდეგ შემთხვევაში ასეთი ნარმატებული მწვრთნელის მოულოდნელი გათავისუფლება გულშემატკივართა თვალში კიდევ უფრო აბსურდულ სახეს მიიღებს.

სულ უფრო ახლოს ბენფიკასთან

მადრიდის "რეალის" 24 წლის ცენტრალური მცველი **ესეკილ გარაი** ლისაბონის "ბენფიკას" სულ უფრო უახლოვდება, - ამის თაობაზე პორტუგალიური "ა ბოლა" იუწყება. წყარო ამტკიცებს, რომ მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია. თავად ფეხბურთელმა "ბენფიკასთან" პირად კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა. სატრანსფერო თანხა უმნიშვნელოა – 5,5 მილიონი ევრო.

პსჟ-ს მორიგი სამიზნე

"პარი სენ-ჟერმენი" არა და არ ცხრება. კლუბის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით შემტევ ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს. მათ სამიზნეში ამჯერად "არსენალის" თავდამსხმელი **მარუან შამახი** მოხვდა. მაროკოელი "ემირეიტსზე" შარშან თავისუფალი აგენტის სტატუსით "ბორდოდან" გადაბარგდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ლონდონური კარიერა ვერაფრით აეწყო, ფეხბურთელის თქმით, ის საფრანგეთში დაბრუნებას მაინც არ აპირებს.

აქვე ძალიან მოკლედ გეტყვით იმასაც, რომ სწორედ თავდამსხმელებისადმი გამოჩენილი ამხელა ინტერესის გამო პსჟ-ს "მანჩესტერ სიტი" დაუკავშირდა და ბრაზილიელი **ჟოს** ყიდვა შესთავაზა. "ქალაქელებმა" პსჟ-ს გარდა თავდამსხმელი "მარსელსა" და "ლიონსაც" შესთავაზეს, მაგრამ მათგან უარი მიიღეს. დედაქალაქელები ჯერ კიდევ ფიქრობენ.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

რედნაპი: ლუკას გარეშე დავიქცევით!

ჰარი რედნაპი შიშობს, რომ „ტოტენჰემიდან“ **ლუკა მოდრიჩის** წასვლა გუნდის დაშლას გამოიწვევს. მწვრთნელის თქმით, მას მერე, რაც „ჩელსიში“ გადასვლა აუკრძალეს, 25 წლის ხორვატს მოსვენება დაეკარგა. რედნაპმა თქვა:

„ბიჭი საკუთარ თავს აღარ ჰგავს. მისი შეძენა სხვა გუნდებს უნდათ, მაგრამ ჩვენ ის გვიყვარს და გვინდა მას ზე დაყრდნობით ძლიერი „ტოტენჰემი“ ავაშენოთ. მის გაშვებას და ნაწილებად დაშლას კი არ ვაპირებთ, გაძლიერება გვაქვს გეგმაში. მოკლედ, ლუკა „სფურზში“ დარჩება“.

მოგეხსენებათ, მოდრიჩში „ჩელსი“ 22 მილიონ ფუნტს იხდიდა, მაგრამ „დეზებმა“ თავიანთი გამორჩეული ვარსკვლავის გაყიდვა არ ისურვეს. თავად ფეხბურთელს კი, მიუხედავად იმისა, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ ექვსწლიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, წასვლა უნდა. ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილიდან დასავლეთით გადაბარგება მოდრიჩმა „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე **დენიელ ლივის** სთხოვა, მაგრამ მან კაბინეტიდან ცივი უარით გამოისტუმრა. ლივიმ თქვა, რომ არ არსებობს თანხა, რომელიც მას აცდუნებს და ხორვატს გააყიდვინებს. თავმჯდომარესთან დაძაბული და უსიამოვნო ლაპარაკის მეორე დღეს მოდრიჩი ვარჯიშზე მივიდა, სადაც რედნაპს შეხვდა. მოგვიანებით კი რედნაპმა ჟურნალისტებს ასე უთხრა:

„რომ გითხრათ, ლუკასთან შეხვედრით კმაყოფილი დავრჩი და გახარებული გელაპარაკებით-მეთქი, ტყუილი იქნება. ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ბიჭს დარჩენა უნდა. პირიქით, აღელვებულია. აშკარაა, რთული მომენტის წინაშე დგას. მოკლედ, ჩვენს გუნდში დაძაბული ვითარებაა და, მოდი, თავს ნუ მოვიტყუებთ, ყველამ კარგად ვიცით, ამ დაძაბულობის სათავე სადაც არის. მეორე მხრივ კი, მოდრიჩმა ჩვენთან კონტრაქტს ხელი მოაწერა, ჩვენ ის გვიყვარს და მასთან მუშაობა გვინდა“.

გუშინ მოგახსენეთ, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ არ შეიძლება არ გავიმეოროთ: ინგლისურმა პრესამ გაიგო, რომ „ჩელსი“ ხორვატს კვირაში 150 ათას ფუნტს ჰპირდება, ეს კი თითქმის ოთხჯერ მეტია იმაზე, რასაც „ტოტენჰემში“ უხდიან. გარდა ამისა, „ლურჯები“ სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში გამოვლენ.

„ტოტენჰემის“ კიდევ ერთი ვარსკვლავი, 28 წლის ჰოლანდიელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** კი ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ მოდრიჩი „უაით ჰართ ლეინზე“ დარჩება. ის ამბობს:

„მან გვითხრა, რომ ჩვენთან ერთად თამაში უყვარს და დანარჩენ „დეზებთან“ ყოფნა სიამოვნებას ანიჭებს“.

ლივერპული

ჩარლი თავს გაგიხეთქავთ

ჩარლი ადამი თავის ახალ გუნდში, „ლივერპულში“, გზას სულ მუშტი-კრივით გაიკვლევს - „ბლექპულიდან“ მერსისპირეთში გადაბარგებულმა 25 წლის შოტლანდიელმა, თურმე, ნახევარი ზაფხული ინგლისელ მოკრივე **ბრაიან როუზთან** გამუდმებულ სპარინგში გაატარა. მოკლედ, **კენი დალგლიშის** 9-მილიონიანი შენაძენი „წითლების“ ნახევარდაცვაში ფეხის მყარად მოკიდებას აპირებს.

დიახ, რაგინდ გასაოცარი იყოს, მაშინ, როდესაც სხვა ფეხბურთელები პლაჟზე მზეს ეფიცხებოდნენ, ადამი ქვესაშუალოწონოსან მოკრივესთან სხეულს იკაუბდა, ამ კვირაში კი „ენფილდ როუდზე“ გადაბარგდა და ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი - სქოთი კვირაში 50 ათას ფუნტს მიიღებს. ადამზე პრესა წერს, რომ ის „ბლექპულის“ პატარა აკვარიუმში დიდ თევზად ჩანდა, მაგრამ როგორ გამოჩნდება „ლივერპულის“ ვეება ოკეანეში? აქ ხომ ისეთი გიგანტების გვერდით უნდა დადგეს, როგორიცაა, მაგალითად, **სტივენ ჯერარდი**?

ადამი ამბობს: *„ბედნიერი ვარ, რომ იმ მოედანზე უნდა გავიდე, რომელზეც დიდი სახელის მქონე მოთამაშეები გადიოდნენ და დღესაც გადიან. „ლივერპული“ სავსეა უმაღლესი დონის ფეხბურთელებით, რომელთაგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლო. იმედი მაქვს, რომ „ლივერპულში“ როგორც პროფესიონალი გავიზრდები და თავადაც შევმატებ გუნდს რამეს“.*

ზღვისპირელთა გმირს მერსისაიდზე თანამემამულე მწვრთნელთან, ლეგენდარულ კენი დალგლიშთან მუშაობაც ხიბლავს. ის ამბობს:

„მე გადავედი უდიდეს კლუბში, რომელსაც, გარდა იმისა, რომ უდიდესი ფეხბურთელები ჰყავს, უდიდესი მწვრთნელი უდგას სათავეში. ხომ ნახეთ, რაც გუნდში დალგლიში მივიდა, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა. კენის მოთამაშეები და ზოგადად, ფეხბურთის სამყაროში მოტრიალე ადამიანები უდიდეს პატივს სცემენ. მე ძალიან ვამაყობ, მან რომ „ლივერპულში“ მიმიწვია. დიდი იმედი მაქვს, რომ ახლა ჩემს კარიერასა და მერსისაიდელთა ისტორიაში წარმატებების პერიოდი იწყება“.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულს“ ინგლისის ჩემპიონობა აგერ უკვე ოც წელიწადზე მეტია, არ მოუგია. გარდა ამისა, უკვე ხუთი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც „წითლებმა“ ბოლო ჯილდო მოიპოვეს. ადამი იმედოვნებს, რომ „ბლექპულთან“ ერთად პრემიერლიგაში დარჩენისთვის უშელავათო, მაგრამ წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ, ახლა მაინც ეწევა სიხარულს.

„ჯილდოების მოგებას დიდი ფეხბურთელების მხარდამხარ თამაშის ლოგიკურ გაგრძელებად აღვიქვამ, - განაგრძო ადამმა, - ტიტულები კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბოლოს ყველა ამის მიხედვით გაფასებს. „ლივერპული“ წლების განმავლობაში უდიდეს წარმატებებს აღწევდა და დროა იგივე განმეორდეს“.

ჩარლი ადამის ყიდვა „ტოტენჰემ ჰოთსპურსაც“ უნდოდა. იანვარში „დეზებმა“ კინაღამ აიხდინეს სანადელი, მაგრამ საქმე ბოლოწამს ჩაიშალა. შოტლანდიელი ფეხბურთელის გადაბირებაზე ფიქრობდა „ასტონ ვილაც“, თუმცა, როგორც ადამი ამბობს, მას მერე, რაც გაირკვა, რომ მისი ყიდვით „ლივერპული“ იყო დაინტერესებული, გულმა „ენფილდისკენ“ გაუწია.

„რაც შევიტყვე, რომ ჩემით „ლივერპული“ დაინტერესდა, ამ კლუბის ვებსაიტიდან არ გამოვსულვარ. შარშან, „ბლექპულის“ შემადგენლობაში „ენფილდზე“ რომ ვითამაშე, ვნახე, როგორი ატმოსფეროა ამ ლეგენდარულ სტადიონზე და მივხვდი, რომ ეს სწორედ ის არის, რაზეც ფეხბურთელი უნდა ოცნებობდეს. სხვათა შორის, შარშან აქ, „ლივერპულის“ კარში გოლი გავიტანე. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან „ლივერპულის“ მეტოქეების კარში გავიტან ბევრ გოლს“.

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ლივერპულის“ ნახევარდაცვაში მოხვედრა იოლი საქმე არ იქნება. დალგლიშს გვარიანი არჩევანი აქვს, რომელთა შორისაა ამ ზაფხულის კიდევ ერთი შენაძენი **ჯორდან ჰენდერსონიც**. სხვათა შორის, „ენფილდზე“ დაბრუნებას აპირებს 27 წლის იტალიელი **ალბერტო აკვილანიც**, რომელიც „წითლებს“ „იუვენტუსში“ ჰყავდათ გაქირავებული.

ვეტერანი

ჰარგრივზი მოისვენებს

ცნობილმაშვედმა მწვრთნელმა **სვენ გორან ერიქსონმა** YouTube-ს უყურა და, „ბაიერნში“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ინგლისის ნაკრებში თამაშით ცნობილი, ტრავმებით დატანჯული ვეტერანი ნახევარმცველის, 30 წლის ოუენ ჰარგრივზის აყვანა გადაწყვიტა. ერიქსონი „ლესტერ სიტის“ მწვრთნელი გახლავთ, „მელიებს“ კი ახალი მდიდარი პატრონი ჰყავთ, რომელსაც კლუბის აღორძინება სურს.

„ლესტერის“ პატრონი ბანგკოკში მდებარე კორპორაცია „კინგ პაუერი“ გახლავთ, რომელიც ჩემპიონშიპის მეათე გუნდს სატრანსფერო ბაზარზე კარგად აფინანსებს. ამის დასტური გახლავთ ის, რომ ამ დღეებში „ლესტერმა“ ფეხბურთელში იმდენი ფული გადაიხადა, რამდენიც ამ საქმისთვის ბოლო ათი წლის განმავლობაში ვერ გაემეტებინა - 5,2 მილიონ ფუნტად „რედინგისგან“ ცენტრალური მცველი **მეტ მილსი** იყიდა. აღსანიშნავია, რომ მილსის ყიდვა პრემიერლიგის „ვულვზსაც“ უნდოდა. შემდეგი, ვისაც ერიქსონი იყიდის, წესით ჰარგრივზი და „ბრისტოლ სიტის“ თავდამსხმელი **ნიკი მეინარდი** უნდა იყვნენ.

მოგეხსენებათ, ჰარგრივზი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 42 თამაში აქვს ჩატარებული, გასული სეზონის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გაათავისუფლა. ასე დარჩა ფეხბურთელი უგუნდოდ და გადაწყვიტა საკუთარი თავისთვის მიეხედა - თავისი ვარჯიშები გადაიღო და YouTube-ზე „დააგდო“. ამით ჰარგრივზმა სცადა მწვრთნელებისთვის ეჩვენებინა, რომ ის ჯანმრთელად არის. ერიქსონმა თქვა:

„მე მისი ვიდეოჩანაწერები ვნახე. თუ ოუენს ჩვენთან თამაში უნდა, „ლესტერის“ კარი მისთვის ღია იქნება“.

მანჩესტერ სიტი

მანუ იჩივლებს

27 წლის ტოგოელმა თავდამსხმელმა, **ემანუელ ადებაიორმა** ვექილებთან კონსულტაცია გაიარა. ის „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. ადებაიორის რისხვა **რობერტო მანჩინის** ქცევამ გამოიწვია. მან აღმოაჩინა, რომ ექვს ცნობილ ფეხბურთელთან ერთად ისტლენდელთა პირველ გუნდში არ არის. ოდესღაც 25 მილიონ ფუნტად დაფასებული ფორვარდი ამბობს, რომ ადვოკატებმა მას სასამართლოში გამარჯვების იმედი ჩაუსახეს.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას ტოგოელმა, რომელიც გასულ სეზონში „სიტის“ „რეალში“ ჰყავდა გაქირავებული, თქვა:

„ასეთი მოპყრობა შეურაცხმყოფელია და „მანჩესტერ სიტის“ კარგად ახასიათებს. ერთი მხრივ, ისინი ამბობენ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად აპირებენ გადაქცევას, მეორე მხრივ კი, ადამიანები, რომლებიც „სიტის“ სათავეში დგანან, საპირისპიროდ იქცევიან. ამხელა კლუბში ერთ კაცს არ ეყო კაცობა, მოსულიყო და ჩემთან პირისპირ ელაპარაკა. ერთადერთი, ბრაიან მერვიდის მდივანი ქალისგან მივიღე შეტყობინება, რომ 9 ივლისს ვარჯიშები იწყება და ბაზაზე უნდა გამოვცხადდე. ამ ქალის გვარიც კი არ ვიცი, „სიტიში“ მას ყველა კლარის ეძახის. შემდეგ ბიჭებს გადავურეკე და გავიგე, რომ პირველი გუნდი 8 ივლისს ამერიკაში მიემგზავრება. ამრიგად, გასაგებია, რომ „სიტიში“ არ ვუნდივართ, მაგრამ დარეკვას რა უშლიდა ხელს? წარმოგიდგენიათ, ბრაიან მერვუდმა მდივან ქალს ჩემთვის მეილის გამოგზავნა დაავალა“.

პირველ გუნდს მიღმა დატოვეს სხვა მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიც: **როკე სანტა კრუსი, კრეგ ბელამი, შეი გივენი, უეინ ბრიჯი, ნედუმ ონუოჰა** და **მაიკლ ჯონსონი**, თუმცა მათგან განსხვავებით ადებაიორი არ აპირებს ბედს შეეგუოს და მორჩილება გამოუცხადოს კლუბს, რომელმაც ორი წლის წინ მასში „არსენალს“ 25 მილიონი ფუნტი გადაუხადა. ტოგოელმა დასძინა:

„რა აზრი აქვს ჩემთვის ბაზაზე მისვლას, თუ მთელი გუნდი ამერიკაში იქნება? რაღა იქ მივიდე, სხვავან ვივარჯიშებ ჩემთვის“.

ემანუელ ადებაიორს, კონტრაქტის თანახმად, „მანჩესტერ სიტიში“ კიდევ სამი წელიწადი აქვს გასატარებელი, მაგრამ ისტლენდზე გაჩერება აღარ უნდა. ტოგოელის ყიდვაზე უარს „რეალი“ და „ტოტენჰემი“ არ იტყოდნენ, მაგრამ „სიტიმ“ მას 14 მილიონი ფუნტი დაადო და ამ კლუბებმა უკან დაიხიეს.

არსენალი

მაგას ნასრობა

„არსენალიდან“ 24 წლის ფრანგი **სამირ ნასრი** „მანჩესტერ სიტიში“ რომ მიდის, გასაგებია, მაგრამ „მეთოფეთა“ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** მის გაშვებამდე შემცვლელის შეგულება უნდა. ნასრის კონტრაქტის თანახმად „ემირეიტ სთედიუმზე“ ერთი წელიწადი აქვს დარჩენილი. სხვათა შორის, მისი შეძენის იმედი მთლად ბოლომდე ჯერ მანჩესტერის მეორე გუნდს, პრემიერლიგის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ არ გადასწურვია.

„დეილი მეილმა“ ჯერ კიდევ ივნისში გამოქექა, რომ ვენგერი ნასრის შემცვლელად „ვალენსიას“ ვარსკვლავ **ხუან მატას** მიიჩნევს და 23 წლის ესპანელში მზადაა 21 მილიონი ფუნტი ანუ 23,5 მილიონი ევრო გადაიხადოს. ვენგერის სიაშია „ლილის“ სხარტი თავდამსხმელი, 20 წლის ბელგიელი **ედენ ჰაზარდიც**.

მოგეხსენებათ, „არსენალს“ უკვე გაექცა **გაელ კლიში**, რომელმაც „მანჩესტერ სიტის“ შეაფარა თავი, კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** კი „ბარსელონაში“ გადასვლისთვის იბრძვის. საოცარია, რომ ვენგერის უიღბლობათა სერია ამით არ დასრულებულა - ამ დღეებში გაირკვა, რომ „მეთოფეებს“ აზიურ ტურნეში ვერ მიჰყვებათ კოტ დ'ივუარელი **ჟერვინიო**. პრესამ შეიტყო, რომ „არსენალს“ 24 წლის თავდამსხმელის ოფიციალურად გადაფორმება დღეს უნდოდათ, მაგრამ გაირკვა, რომ საბუთებში ყველაფერი წესრიგში არ აქვს და საქმე სულ მცირე ორშაბათამდე გადაიდო. „მეთოფეები“ ჟერვინიოში „ლილს“ დაახლოებით 12 მილიონ ევროს უხდიან. ლონდონში, სამედიცინო შემოწმებაზე ჩასულ ფეხბურთელს, საბუთების მოსაწესრიგებლად კვლავ საფრანგეთში მოუხდა დაბრუნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ის კვირას კუალა ლუმპურის თვითმფრინავში ჩაჯდომას ვეღარ ასწრებს.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ხუან მატა (შუაში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ჰასან სალიჰამიჯიჩი

დავბერდი, მაგრამ ისევ ის ბრაცო ვარ!

იტალია კარგი იყო, მაგრამ ჰასანი გუნდესლიგისთვისაა დაბადებული

გერმანიაში აღარავის ეგონა, რომ ბუნდესლიგას თავისი შვილი დაუბრუნდებოდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ჰასან სალიჰამიჯიჩი უკვე 34 წლისაა, მაგრამ ხომ იცით ფელიქს მაგათის ამბავი – სადაც მიდის, ყველგან ასეთ ტიპებს აგროვებს ხოლმე. ორწლიანი იტალიური ვოიაჟის შემდეგ, „ბრაცო" გერმანიაში დაბრუნდა და ახალი სეზონიდან „ვოლფსბურგის" ღირსებას დაიცავს. „იუვენტუსში" აფასებდნენ, მაგრამ უმეტესად არ ათამაშებდნენ, „ვოლფსბურგში" კი გაცილებით ხშირად ითამაშებს. „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში სალიჰამიჯიჩი ვოლფსბურგულ გეგმებზე, ტურინში გატარებულ ორ წელზე, პრობლემურ დიეგოსა და ფელიქს მაგათზე საუბრობს.

- ჰერ სალიჰამიჯიჩ, 34 წლის ასაკში ისეთ გუნდში გადასვლა, რომელსაც ფელიქს მაგათი წვრთნის და მით უმეტეს, ამ გუნდთან ერთად საზაფხულო შეკრებაზე წასვლა ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯია. იმედია ხვდებით, რასაც ვგულისხმობთ...

- რა თქმა უნდა ვხვდები და ეს ყველაფერი პირველივე ვარჯიშზე ვიგრძენი, როცა მაგათმა დღის განმავლობაში სამჯერ მავარჯიშა. ხომ იცით, შრომისმოყვარე ვარ და ზუსტად ვიცი, რომ მაგათის ვარჯიშებთან შეგუება არ გამიჭირდება. პირიქით, ვფიქრობ, რომ ახლა სწორედ ეს მჭირდება, რათა ახალ სეზონს კარგ ფიზიკურ კონდიციაში შევხვდე.

- ახლა როგორ ფორმაში ხართ? ბუნდესლიგის ახალი სეზონი ხვალ რომ იწყებოდეს, ითამაშებდით?

- თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, რადგან უკვე სამი კვირაა, რაც ვვარჯიშობ. სხვა დანარჩენზე კი მაგათი იზრუნებს და დარწმუნებული ვარ, რომ 5 აგვისტოს იდეალურ ფორმაში ვიქნები.

- როგორ გადაწყდა „ვოლფსბურგში" ტრანსფერი?

- დაახლოებით თვენახევრის წინ, მიუნხენში მაგათს შევხვდი – ერთად ვისაუზმეთ. მკითხა, ჯერ კიდევ გაქვს სურვილი, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშოო – რა თქმა უნდა, თავი დავუქნიე. მომდევნო ორშაბათს დამირეკა და პირდაპირ მკითხა, თუ სურვილი გექნება, ვოლფსბურგში ხვალვე გელოდებიო და მაშინვე დავთანხმდი. ვოლფსბურგში იმ საღამოსვე ჩამოვედი...

- ჰამბურგის, მიუნხენისა და ტურინის შემდეგ ვოლფსბურგში წასვლა ადვილი არ იქნებოდა. დიდხანს იფიქრეთ?

- მართალია, ვოლფსბურგი პატარა ქალაქია, მაგრამ ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს და ესეც რომ არ იყოს, ნებისმიერ გუნდში ნაღდად არ გადავიდოდი. ცხადია, გადაწყვეტილების მიღებისას უდიდესი როლი ითამაშა ფელიქს მაგათის ფაქტორმაც - თავის დროზე, „ჰამბურგშიც" სწორედ მან მიმიყვანა და თუ გახსოვთ, მაშინ მე არავინ მიცნობდა. აბსოლუტურად გულახდილად ვამბობ: ჩემთვის „ვოლფსბურგიც" დიდი გამოწვევაა.

- რატომ?

- ძალიან კარგი კლუბია და ორი წლის წინ გერმანიის ჩემპიონი იყო. დარწმუნებული ვარ, მაგათის დაბრუნების შემდეგ გუნდი ისევ ძალიან კარგად ათამაშდება და სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს.

- სხვა ვარიანტებიც გქონდათ?

- მქონდა. მაგალითად, ემირატებში მეპატიჟებოდნენ და ძალიან მაღალ ხელფასს მთავაზობდნენ, მაგრამ მე ისეთი ადამიანი ვარ, რომ ყოველთვის ვიცოდი, მხოლოდ ფულის გამო ცხრა მთას იქით არ წავიდოდი. ფეხბურთის თამაში მინდა, თანაც, სერიოზული ფეხბურთის, ბუნდესლიგა კი ჩემთვის უსაყვარლესი ლიგაა. იტალია ძალიან მაგარი იყო, მაგრამ მივხვდი, რომ მე ბუნდესლიგისთვის ვარ დაბადებული.

- „იუვენტუსში" ყოფნისას გერმანიის ჩემპიონატს უყურებდით?

- რომ ვთქვა, ყოველ ტურში ერთ თამაშს მაინც ვუყურებდი-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა შედეგებს ყოველთვის ვეცნობოდი, ტურის მიმოხილვებს ვუყურებდი და „კიკერსაც" ყოველთვის ვკითხულობდი.

- გერმანიის ექვსგზის ჩემპიონი ხართ, თასი კი ოთხჯერ მოიგეთ. „ბაიერნთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასიც მოგებული გაქვთ. მოტივაცია კიდევ შეგრჩათ?

- ჯერ მხოლოდ 4 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიაში დავბრუნდი და ჩემი მხრიდან ტიტულების მოგებაზე საუბარი მართებული არ იქნება. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ვოლფსბურგთან" ერთად ყველა თამაშის მოგება მინდა და თავს ერთი წამითაც არ დავზოგავ.

- ვოლფსბურგში უკვე ძალიან უხარიათ ის, რომ თქვენ ე.წ. „ბაიერნის გენები" გაქვთ...

- ...რასაც სიამოვნებით გადავაქცევ „ვოლფსბურგის გენად". ვიცი, ამაში რაც იგულისხმება: მონდომება და გამარჯვებულის მენტალიტეტი. თავის დროზე მათეუსის, ეფენბერგისა და ელბერის დარი ფეხბურთელებისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და მინდა, რომ ეს ყველაფერი ახლა „ვოლფსბურგისთვის" გამოვიყენო.

- იტალიაში ოდნავ მაინც თუ შეიცვალეთ?

- რა თქმა უნდა, შევიცვალე და თანაც, არა მარტო როგორც ფეხბურთელი, არამედ, როგორც ადამიანიც. იტალიაში ძვირფასი ორი წელი გავატარე და ვამაყობ იმით, რომ „იუვენტუსის" ფეხბურთელი ვიყავი.

- უფრო მშვიდი ხომ არ გახდით?

- არა, ტემპერამენტის მხრივ არაფერი შეცვლილა – ისევ ის „ბრაცო" ვარ!

- ანუ, ეგრეთ წოდებული „აგრესიული ლიდერი"?

- „აგრესიულ ლიდერში" ზოგი რას გულისხმობს და ზოგი რას... მე ის ვიცი, რომ ნებისმიერ თამაშში ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. საქმე ლაპარაკის ნაცვლად და ბრძოლა ბოლომდე – ეს არის ჩემი დევიზი.

- გამოდის, რომ მოწინააღმდეგეებს თქვენი ისევ უნდა ეშინოდეთ?

- ვნახოთ, რა და როგორ იქნება, ფაქტი კი ის არის, რომ გერმანიის ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ველოდები. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ თამაშს ჩავატარებ, როცა მოედანზე ვიქნები, თავს არ დავზოგავ.

- ტურინში ხშირად არ გათამაშებდნენ – გასულ სეზონში მხოლოდ ათ შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა...

- გასულ სეზონში „იუვენტუსში" სერიოზული პრობლემები იყო. მთავარი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი ყველაფერს ვერ წყვეტდა და სეზონის ბოლოს ბოდიში მომიხადა. „იუვესთან" კონტრაქტი რომ დამიმთავრდა, ვიცოდი, რომ ტურინულ კლუბს აღარ ვჭირდებოდი და გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეცადა ბედი.

- „ვოლფსბურგი" თქვენი კარიერის ბოლო საფეხური იქნება?

- დიდი ფეხბურთის თამაში ფელიქს მაგათის ხელში დავიწყე და ფაქტია, რომ მის ხელში დავამთავრებ. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ „ვოლფსბურგი" სავარაუდოდ მართლაც ბოლო გაჩერება იქნება.

- კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლით გააფორმეთ. უფრო დიდხანს დარჩებით?

- ჯერ ეს ერთი წელი გავიდეს. მომავალ ზაფხულს დავსხდებით, დავილაპარაკებთ, სეზონს შევაჯამებთ და მერე გადავწყვეტ, როგორ უნდა მოვიქცე. თუ ფორმაში ვიქნები, ალბათ ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებ.

- რომელ პოზიციაზე გსურთ თამაში - მარჯვენა მცველის?

- მთელი კარიერის განმავლობაში ჩემი მთავარი პლუსი ის იყო, რომ არაერთ პოზიციაზე შემეძლო თამაში. პრეტენზიები არ მაქვს, სადაც მაგათი გამამწესებს, იქ ვითამაშებ. ცხადია, დიდი შანსია, რომ ეს სწორედ მარჯვენა მცველის პოზიცია იყოს.

- გადაწყვეტილია, რომ დიეგო „ვოლფსბურგში" აღარ ითამაშებს. ამაზე რას ფიქრობთ?

- ტურინში ერთად ვთამაშობდით და მას ძალიან კარგად ვუგებდი. დიეგო მართლა ძალიან ნიჭიერი, კარგი ფეხბურთელია. მე მეტს ვერაფერს ვიტყვი.

- საკლუბი დონეზე ყველაფერი მოიგეთ, სანაკრებო დონეზე კი დიდი პერსპექტივები არც გქონიათ. საფეხბურთო ოცნება კიდევ გაქვთ?

- მოტივაციის მხრივ ახლაც ზუსტად ისე ვარ, როგორც მაშინ – ბუნდესლიგაში პირველი მატჩი რომ ჩავატარე...

ჰასან სალიჰამიჯიჩი

ბაიერნი

გადაცვა ალექსი ბაიერნისგ

მიუნხენში ალექსი დააკონკრეტეს

ბოატენგი არ გამოდის, ჰაინკესს კი ახალი მცველი ორ კვირაში სჭირდება

„ბაიერნსა" და „მანჩესტერ სიტის" შორის **ჟერომ ბოატენგის** თაობაზე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მიუნხენური კლუბი გერმანიის ნაკრების მცველთან ყველაფერზე შეთანხმებულია, ინგლისურ კლუბს კი სატრანსფერო თანხაზე ვერაფრით უთანხმდება. სწორედ ამიტომ, რეკორდმაისტერმა ახლა უკვე ოფიციალურად გადაიტანა ყურადღება ლონდონის „ჩელსის" უკანახაზელ **ალექსზე**, რომელიც მიუნხენელებისთვის უფრო ხელმისაწვდომია.

„ბილდის" ინფორმაციით, ალექსის ფასი მაქსიმუმ 10 მილიონი ევრო იქნება, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც „სიტიმ" „ბაიერნს" ბოატენგში მოსთხოვა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ალექსი სადღეისოდ „ბაიერნისთვის" გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ბოატენგის ალტერნატივა, რასაც თავისი მიზეზები აქვს. „ბილდი" იმასაც წერს, მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** რეკორდმაისტერის შეფებს სთხოვა, ახალი მცველი ორ კვირაში უნდა გვყავდესო და რაკი „სიტისგან" ბოატენგის თაობაზე ახალი არაფერი ისმის, მიუნხენელები ალექსის კუთხით გააქტიურდნენ.

ამასობაში, ბავარიელები ახალგაზრდა ინგლისელ **დეილ ჯენინგსთან** ერთად, რომელიც მიუნხენში „ტრანმერიდან" გადადის, კიდევ ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს ეპატიჟებიან. ჰოლანდიური პრესის ცნობით, „ბაიერნმა" თვალი **ტიმოთი ვან დერ მეულენს** დაადგა, რომელიც ახლა შოტლანდიურ „დანდი იუნაიტედში" თამაშობს. ეს უკანასკნელი 21 წლის ცენტრალური მცველია და ამსტერდამის „აიაქსის" სკოლის აღზრდილია. გერმანული პრესა კი იტყობინება, რომ ჯენინგსის დარად, „ბაიერნი" ვან დერ მეულენსაც მეორე გუნდისთვის ყიდულობს. თუმცა ეს სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ სულ მალე ჯენინგსიცა და ვან დერ მეულენიც ჰაინკესის განკარგულებაში ვიხილოთ.

ამბები

პერტა: ახალი კონტრაქტი რამოსს

პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებულმა „ჰერტამ" კოლუმბიელ თავდამსხმელ **ადრიან რამოსს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა 2015 წლის 30 ივნისამდე აქვს. ეს ინფორმაცია გუშინ ბერლინული კლუბის მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** დაადასტურა. რამოსის ძველ ხელშეკრულებას ვადა 2013 წლამდე ჰქონდა, მაგრამ ბერლინელებმა თავი დაიზღვიეს და მთავარ გოლეადორს, რომელიც ახლა კოპა ამერიკაზე თამაშობს, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი დაუდეს.

„მიხარია, რომ ადრიანთან შეთანხმებას მივაღწიეთ. ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება სწორედ ამიტომ დავაჩქარეთ," – აცხადებს პრეეტცი. შეგახსენებთ, რომ შარშან, როცა „ჰერტა" მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, **ლევან კობიაშვილის** გუნდმა რამოსი ძლივს შეინარჩუნა.

შალკემ ჰაოს მოიშორა

„შალკეს" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ფეხბურთელების გაშვებას აგრძელებს. ორიოდე დღის წინ გაცნობეთ, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ტრანსფერზე დაყენებულ მოთამაშეებს შორის ჩვენებური **ლევან ყენიაცაა**, თუმცა ლევანზე ჯერჯერობით არანაირი სიახლე არ არის. სამაგიეროდ, იმ ხუთი ფეხბურთელიდან, რომლებიც „ბილდის" ცნობით ტრანსფერზე არიან დაყენებულები და რომელთა შორის ყენიაც იყო მოხსენიებული, გელზენკირხენულმა კლუბმა ერთი უკვე მოიშორა. ჩინელი **ხუნჰნინ ჰაო** „შალკედან" უკვე წავიდა და კარიერას ჩინურ „ტაიშანში" გააგრძელებს. 24 წლის ნახევარმცველი გელზენკირხენში 2010 წლის იანვარში გადავიდა და მას მერე „შალკეს" ფორმა ბუნდესლიგაში 14-ჯერ, გერმანიის თასზე 3-ჯერ, ჩემპიონთა ლიგაში კი ორჯერ მოირგო.

როსტი ანრისთან?

მას მერე, რაც გაირკვა, რომ „ჰამბურგი" 38 წლის მეკარე **ფრანკ როსტს** ახალ კონტრაქტს არ უფორმებს, ვეტერანი კიპერი ფიქრობს და ვერ მოუფიქრებია, კარიერა დაამთავროს, თუ ახალი კლუბი მოძებნოს. „ბილდის" ცნობით, მას ნიუ იორკის „რედ ბული" ეპატიჟება. ეს ინფორმაცია კლუბის მენეჯერმა **ერიკ სოლერმაც** დაადასტურა. ამ უკანასკნელის თქმით, „რედ ბული", სადაც **ტიერი ანრიც** თამაშობს, მზადაა, როსტს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს.

მარიკას მოსკოვში უხმობენ

გადაწყვეტილია, რომ რუმინელი თავდამსხმელი **ჩიპრიან მარიკა** „შტუტგარტში" არ დარჩება. „შტუტგარტერ ცაიტუნგის" ინფორმაციით, მთავარ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** ეს ფეხბურთელი არაფერში სჭირდება. ამასობაში გაირკვა, რომ მარიკას მოსკოვის „ლოკომოტივი" ეპატიჟება. რუსები მზად არიან, რუმინელში 3 მილიონი ევრო გადაიხადონ და მარიკას სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმონ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ერროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი სიურპრიზი: კოსტა რიკა და კემპბელი

ვინ გააკეთა არგენტინის საქმე?

ბოლივია 0 – 2 კოსტა რიკა

ბოლივია: არიასი, ალვარესი, რალდესი, რივერო, გუტიერესი, ფლორესი, რობლესი (67. ჩავესი), კამპოსი (80. გარსია), რობასი (67. პენია), არსე, მორენო.

კოსტა რიკა: მორეირა, დუარტე, აკოსტა, კალვო, სალვატიერა, გუსმანი, ლეალი, მორა (82. კუბერო), მარტინესი (81. ელისონდო), მადრიგალი (46. გევარა), კემპბელი.

გოლები: 0:1 მარტინესი (59), 0:2 კემპბელი (78)

გაძევება: რივერო (70), ფლორესი (75)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:
ჯოელ კემპბელი (კოსტა რიკა)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. კოლუმბია	2	1	1	0	1-0	4
2. კოსტა რიკა	2	1	0	1	2-1	3
3. არგენტინა	2	0	2	0	1-1	2
4. ბოლივია	2	0	1	1	1-3	1

მომდევნო ტური

10 ივლისი

კოლუმბია-ბოლივია

11 ივლისი

არგენტინა-კოსტა რიკა

მსოფლიო ფეხბურთმა გუშინ ახალი ტალანტი გაიცნო - 19 წლის **ჯოელ კემპბელი** „კოსტა რიკის“ 37-გზის ჩემპიონ „დეპორტივო საპრისაში“ თამაშობს, მაგრამ დიდხანს აღარ ითამაშებს! მან იმდენად კარგად ითამაშა ბოლივიასთან მატჩში, რომ აუცილებლად დაინტერესებს რომელიმე ევროპულ ან სამხრეთამერიკულ კლუბს. ჯოელ კემპბელს კოსტა რიკის ნაკრებში 5 თამაში აქვს ჩატარებული და 2 გოლი გაიტანა. ბოლივიასთან მატჩში მან ხმების 45,5 პროცენტი მიიღო და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

კოსტა რიკამ ამ მოგებით A ჯგუფში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ერთადერთი გუნდი, რომელსაც 99 პროცენტით განაღდებული აქვს პლეი ოფში თამაში, 4-ქულიანი კოლუმბიაა. არგენტინისთვის კი 99%-ით დამლუპველი იქნება უკანასკნელ ტურში კოსტა რიკასთან ფრე.

23 ივნისს კოსტა რიკის ნაკრების მცველი **დენის მარშალი** სან ხოსეში ტრაილერს შეასკდა, დანიური „ოლბორგის“ ფეხბურთელი, რომელმაც კარიერაში პირველი სანაკრებო გოლი ამ შემთხვევამდე ხუთი დღით ადრე გაიტანა, ადგილზე დაიღუპა. გუშინ კოსტა რიკის ნაკრებმა გამარჯვება დენისის ხსოვნას მიუძღვნა და ყველა ის ეუსტი, რაც ცენტრალური ამერიკის ქვეყნის შვილებმა გოლების გატანისას გააკეთეს (რაც გარეშე თვალს უცნაურად მოეჩვენებოდა), მარშალის საპატივცემულოდ იყო.

ყველა მთავარი მოვლენა მეორე ტაიმში მოხდა, თუმცა მოსაწყენი არც პირველი ყოფილა. კოსტარიკელთა უფრო მწვავე შეტევები კი მართლა მოულოდნელობა იყო. ბოლივიელები თამაშის ტემპს კარნახობდნენ მეტოქეს, თუმცა **მორეირას** კართან ხიფათს ვერ ქმნიდნენ. მალე გამოჩნდა, რომ კოსტარიკელთა ბრძოლას შედეგი მოჰქონდა, ჯოელ კემპბელი კი ინდივიდუალურად სჯაბნიდა მეტოქე გუნდის მცველებს. ერთხელ მისი თავურის შემდეგ სამხრეთამერიკელები აშკარა გოლს გადაურჩნენ, როცა კარის ხაზიდან ბურთი (თავით) მცველმა გამოიტანა.

მეორე ტაიმში, როცა ბოლივიელები გადამწყვეტი იერიშებისთვის მოემზადნენ, ბურთი თავიანთ კარში მიიღეს - ყველაფერი ჯოელ კემპბელის პასით დაიწყო, **ჯოშუა მარტინესმა** კი დამატებაზე ივარგა. შემდეგ კი ხუთწუთიანი შუალედით ბოლივიას რონალდ რივერო და ვალტერ ფლორესი გაუძევეს. კემპბელმა შესანიშნავი გოლი უკვე 9-კაციან ბოლივიას გაუტანა.

რიკარდო ლა ვოლპე (კოსტა რიკის მწვრთნელი): *„ამ მოგებით არგენტინის ნაკრებს შესაშური საქმე გავუკეთეთ. მათემატიკურად მათ გაცილებით აწყობდათ ჩვენი მოგება, ვიდრე ბოლივიელთა გამარჯვება. მაგრამ ჩვენთვის ამ შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ასეც თუ ისეც, ბოლო ტურში ისე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც უკანასკნელ მატჩში. დღეს ყველამ ვნახეთ, რა შეუძლია კემპბელს. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ დიდი ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერ 20 წლისაც კი არაა“.*

მარსელო მორენო (ბოლივია): *„ცხვირები არ უნდა ჩამოვუშვათ, ყველაფერი წინაა და პლეი ოფში გასვლა კვლავ შეგვიძლია. დღეს კი ჩვენ მართლა ცუდად ვითამაშეთ, კოსტა რიკამ კი დამსახურებულად მოიგო“.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვარსკვლავი

მუტუ პირველ პირში

„ფიორენტინადან“ „ჩეზენაში“ გადასული ადრიან მუტუ თავს კარგად გრძნობს და ახალი სეზონისთვის დიდი ენთუზიაზმით ემზადება. 32 წლის რუმინელი ფორვარდი „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტს ესაუბრა და საინტერესო საკითხებზე გააკეთა კომენტარი...



ახალი ეტაპი

ბევრი მიიჩნევს, რომ „ჩეზენაში“ გადასვლა უკან გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მე ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. „ფიორენტინა“ დიდი გუნდია და ფლორენციაში ყოფნა ჩემთვის პატივი იყო, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც რაღაც უნდა შეიცვალოს. რამდენიმე ვარიანტს განვიხილავდი და საბოლოოდ, არჩევანი „ჩეზენაში“ შევაჩერე. გადამწყვეტი მომენტი კლუბის პრეზიდენტთან, იგრო კამპედელისთან შეხვედრა იყო, რომელმაც გამანდო გეგმები და დამარწმუნა, რომ მათთან გადასვლით სნორ ნაბიჯს გადავდამდი. გაგახსენებთ იმასაც, რომ თავის დროზე დაახლოებით ანალოგიური ნაბიჯი ჩემზე დიდმა ფეხბურთელებმა გადადგეს და ვფიქრობ, საკმარისია რობერტო ბაჯოს მაგალითი მოვიყვანო. მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულმა ლეგენდამ „ბრეშაში“ საუკეთესო წლები გაატარა და გულშემატკივრებს კიდევ უფრო შეაყვარა თავი. დიახ, ჩემი აზრით, ბაჯო სწორედ მოკრძალებულ "ბრეშაში" იყო საუკეთესო და მისი თამაშის ხილვა ერთ რამედ ღირდა. იგივე შეიძლება ითქვას ჯუზეპე სინიორიზე, რომელიც ერთ დროს „ბოლონიაში“ ბრწყინავდა. სხვა არაერთი ფეხბურთელის გახსენება შეიძლება, რომლებმაც იდენტური ნაბიჯი გადადგეს და მხოლოდ მოგებულნი დარჩნენ.

სკანდალური წარსული

იყო დრო, როდესაც მართლაც ბევრ შეცდომას ვუშვებდი და ამისთვის მკაცრადაც დავისაჯე. აი, შემდეგ კი განსაკუთრებული არაფერი მიქნია, თუმცა ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვექცეოდი. ამის ახსნა მარტივია - როდესაც ერთხელ გაიტეხავ სახელს, შემდეგ შენი წვრილმანი შეცდომაც კი სკანდალად აღიქმება. ის, რაც სხვა ფეხბურთელმა შეიძლება მშვიდად გააკეთოს, ჩემთვის კატეგორიულად აკრძალულია. მაგალითად, არაერთი მოთამაშე მინახავს ბარში ლუდის კათხით, ან კლუბში კოქტეილით ხელში, თუმცა ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. დარწმუნებული ვარ, მსგავს სიტუაციაში მე ლოთობაში დამდებდნენ ბრალს, შემდეგ კი ორგიის მოწყობასაც მომაწერდნენ, თანაც პირდაპირ ქუჩაში. მოკლედ, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს, მაგრამ წახდენილ საქმეს უკვე ვეღარ ვუშველი. მე ჩემს საქმეს ვაგრძელებ და ერთი მიზანი მაქვს, „ჩეზენას“ ნარმატების მიღწევაში დავეხმარო.

მიზანი

ზემოთაც აღვნიშნე, რომ ჩემი მთავარი ამოცანაა „ჩეზენას' წარმატების მიღწევაში დავეხმარო - წარმატებად კი ევროსაგზურის მოპოვება ჩაითვლება. დიახ, გადარჩენისთვის ბრძოლაზე ნამდვილად არ მსურს საუბარი, რადგან გუნდს უფრო მაღალი ადგილებისთვის შეუძლია ბრძოლა. სატრანსფერო კამპანია ჯერ არ დასრულებულა, ამ ზაფხულს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ და კიდევ უფრო გავძლიერდებით. კიდევ რამდენ ხანს დავრჩები ფეხბურთში? - მინიმუმ სამი წელი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ ვაპირებ, შემდეგ კი ვნახოთ...

ლაშა წიკლაური

სავარაუდო ტრანსფერი

რომა აღარ ხუმრობს

ლამელა უკვე ტრიგორიაზეა

იტალიური სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რივერ პლეიტის" 19 წლის ტალანტი **ერიკ ლამელა** უკვე იტალიის დედაქალაქშია და "რომას" მესვეურებთან მოლაპარაკების დასკვნით ფაზაშია ჩაბმული. პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ არგენტინელი გამთამაშებელი "ჯალოროსისთან" ხუთწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და წლიური ჯამაგირის სახით 2 მილიონ ევროს მიიღებს. ცნობილია ისიც, რომ იტალიური გუნდის მესვეურებს "რივერის" ბიუჯეტში 12 მილიონი ევროს გადარიცხვა მოუწევთ. მოკლედ, ყველაფერი შეთანხმებულია და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, ტრანსფერი უახლოეს დღეებში შედგება. აღნიშნულ ინფორმაციას "რომას' სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** ადასტურებს:

"დიახ, ლამელა რომშია და მოლაპარაკების დასკვნით ფაზაში ვართ გადასული. ერიკმა "ტრიგორიაც" მოინახულა და მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი დარჩა. ორმხრივი სურვილია, რომ ხელშეკრულება გაფორმდეს, ამიტომ, ძალზედ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩემი ინფორმაციით, მისი გაშვების წინააღმდეგი არც "რივერ პლეიტია" და ეს მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შანსებს კიდევ უფრო ზრდის. ლუის ენრიკეს სურვილია, რომ აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდეს, რასაც ვითვალისწინებთ კიდეც. ლამელა მხოლოდ 19 წლის არის და ყველაფერი წინ აქვს, შესაბამისად, ხელშეკრულება ხანგრძლივვადიანი იქნება".

ერთი სიტყვით, ლამელას საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რაც იმას ნიშნავს, რომ "რომამ" უკვე ორი ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა. როგორც იცით, ორიოდე კვირის წინ, "ჯალოროსის" რიგებში ესპანელი შემტევი **ბოიან კრკიჩი** ჩაეწერა.

აქვე ვთქვათ მათ შესახებ, ვისაც გუნდიდან წასვლა მოუწევს. გადაწყვეტილი ამბავია, რომ "რომა" ბრაზილიელ მეკარეებს: **ალეშანდრე დონის** და **ჟულიო სერჟიოს** შეელევა. პირველი მათგანი უკვე დიდი ხანია, რაც "ლივერპულთან" ანარმოებს მოლაპარაკებებს და ალბათ წარმარტებითაც დასრულებს. მართალია, ერთხელ უკვე უარი შეუთვალა მერსისაიდელებს, აქაოდა დაბალი ხელფასი შემომთავაზეთო, მაგრამ შემდეგ მისივე ინიციატივით აღადგინა მოლაპარაკებები და ამჯერად, წესით ყველაფერი კარგად უნდა დასრულდეს. რაც შეეხება ჟულიო სერჟიოს, მისით ესპანური "მალაგაა" დაინტერესებული და როგორც იტალიელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, შეთანხმება უკვე მიღნეულია. ამ ცნობას თავად კიპერი ნანილობრივ ადასტურებს:

"ჩემი სურვილი "რომაში" დარჩენაა და ჯერ კიდევ არ გადამინურავს იმის იმედი, რომ ლუის ენრიკეს გეგმებში ჩავჯდები. თუმცა, უფრო რეალურია, რომ დავტოვო "ჯალოროსი" და კარიერა ესპანეთის პრიმერადივიზიონში გავაგრძელოთ. ჩემი გადაბირებით ორი გუნდია დაინტერესებული, რომელთა შორის უფრო აქტიური "მალაგაა". პირნეებზე ძალების მოსინჯვის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან ესპანელებს ერთ-ერთი საუკეთესო, თუ საუკეთესო არა, ჩემპიონატი აქვთ მსოფლიოში. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".

ლაშა წიკლაური

ერიკ ლამელა

● ფეხბურთელების ცოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდარული კაპიტნის მეორე ნახევარი

ადრიანა ელენა ფოსა დო ბლანკო

დაბადების თარიღი: 1968 წლის 8 ივნისი
დაბადების ადგილი: კარაკასი, ვენესუელა
სიმაღლე: 1.76 სმ
თმის ფერი: მუქი ქერა
თვალის ფერი: მწვანე
არის: საფეხბურთო კლუბ "მილანის" ყოფილი ფეხბურთელის პაოლო მალდინის მეუღლე

ადრიანამ სამოდელო კარიერა მაიამიში დაიწყო. პოდიუმზე პირველად პარიზში 1987 წელს ავიდა, ხოლო სამოდელო საქმიანობა მოგვიანებით მილანში გააგრძელა, სადაც საფეხბურთო კლუბ "მილანის" ამომავალ ვარსკვლავს პაოლო მალდინის შეხვდა.

ტრევიზო-ვენესუელა

ადრიანა ფოსას მამა, სტეფანო, წარმოშობით იტალიის ქალაქ ტრევიზოდანაა. ვენესუელაში ბედის საძიებლად ჩასულმა სტეფანომ ოქროს წარმოებას მიჰყო ხელი, თუმცა 1982 წელს ფაბრიკის დახურვა გადაწყვიტა. ადრიანას დედას, დიანორა ბლანკოს, სამხრეთ ამერიკული ფესვები აქვს. ფოსების ოჯახში ქალიშვილის გარდა, ვაჟი, ლუის ფელიპე აღიზარდა. 17 წლის ადრიანამ მამის მსგავსად ბედის საძიებლად ევროპას მიაშურა.

სამი უარი კაპიტანს

ერთ-ერთ მილანურ წვეულებაზე გასართობად მისულმა ადრიანამ ახალგაზრდა, რომელიც მისით დანახვისთანავე მოიხიბლა, იმედგაცრუებული დატოვა.

"იცეკვებთ ჩემთან?", "ხომ არ დალევდით რამეს?, "ხომ არ გვესაუბრა? – არა, არა და არა – ამ სიტყვებით გაისტუმრა ადრიანამ პაოლო მალდინი.

ადრიანა ფოსა: "ნამდვილად არ ვიცოდი, რომ პაოლო ფეხბურთელი იყო. იმ პერიოდში წვეულებებს თითქმის ყოველდღე ვესწრებოდი. იმ საღამოს მეგობარ სუზისთან ერთად წვეულებაზე ვიყავი, როდესაც მეგობარმა უცნობი ახალგაზრდის გაცნობად მიხმო. გაიცანი ეს პაოლო მალდინია.

- ვინ? ვიკითხე გაოცებულმა.

- მალდინი, "მილანიდან" - მიპასუხეს მეგობრებმა.

პაოლომ საუბარი სუზისთან გააგრძელა. მოგვიანებით მან მითხრა, რომ პაოლომ ჩემს შესახებ არაერთხელ ჰკითხა.

პაოლოს საცოლე ჰყავდა ფლორენციაში, მე საქმრო კარაკასში, რომელიც უკვე ქორწილზეც ლაპარაკობდა. ორივემ მივატოვეთ რჩეულნი".

1988 წელს სრულიად შემთხვევით წვეულებაზე გაცნობილი მომხიბლელი ვენესუელელი გოგონასა და იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის ურთიერთობა 1994 წლის 14 დეკემბერს მილანის ახლო პროვინცია კასანო დ'ადაში, უმშვენიერეს ვილა ბორომეოში ქორწინებით დაგვირგვინდა. 1996 წლის 14 ივნისს კრისტიანი, ხოლო 2001 წლის 11 ოქტომბერს დანიელი შეეძინათ. ბავშვის დაბადების შემდეგ ადრიანამ სამოდელო კარიერა შეწყვიტა, მაგრამ საზოგადოებას ბიზნესმენის როლში მოევლინა. შექმნა ტანსაცმლის ხაზი და საიუველირო მწარმოებლადაც იქცა.

სასამართლო

2010 წლის აპრილში მალდინების ოჯახი ცუდ ამბავში გაეხვია. ადრიანა და პაოლო კორუფციასა და ჯაშუშობაში იყვნენ ბრალდებულნი. სამართალდამცველები მათ სატელეფონო საუბრებს ინტენსიურად უსმენდნენ. შედეგად ცოლ-ქმარს სახელმწიფო ხაზინაში ფულის შეუტანლობა ბრალდებოდათ. დამნაშავეთა შორის დაახლოებით 41 ადამიანი, მათ შორის საზოგადოებისთვის ცნობილი არაერთი მნიშვნელოვანი პიროვნება მოიხსენიებოდა. ეჭვმიტანილთა თვალთვალი კარაბინიერებმა კარგა ხნის წინ დაიწყეს.

იტალიურ სასამართლოში ამ საქმის განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. სასამართლოს მორიგი სხდომა ბოლოს 2011 წლის აპრილში გაიმართა.

მესამე თაობა

2009 წლის მაისში პაოლო მალდინიმ "რომას" წინააღმდეგ სანსიროზე შინაურ შეხვედრაში გამოსამშვიდობებელ მატჩში მიიღო მონაწილეობა. გადავსებულ სანსიროზე ემოციური და სიამაყით სავსე გულშემატკივრები დიდი ფეხბურთიდან ლეგენდის გაცილებას უმზერდნენ. სიამაყით იყვნენ სავსენი კრისტიანი და მისი უმცროსი ძმა დანიელი.

ზამის მსგავსად კრისტიანმაც მცველის პოზიციაზე თამაში არჩია. 2005 წელს "მილანის" მაისურით დებიუტიც ჰქონდა. პატარა კრისტიანის თამაშს ადრიანა და ბებია დიანორა ესწრებოდნენ. მილანელოზე ვარჯიშის გამო პაოლო ვაჟის თამაშს ვერ დაესწრო.

ადრიანა ფოსა: "არ მსიამოვნებს, როდესაც ჟურნალისტები ბავშვის მიმართ ამდენ ყურადღებას ავლენთ. ეს არის უბრალო, სახალისო მატჩი ბავშვების მონაწილეობით. ვარ თუ არა ემოციური? ეს მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთია და მეტი არაფერი"

იმ შეხვედრაში პატარა კრისტიანს მწვრთნელმა **ანჯელო კოლომბომ** 10-ნომრიანი მაისური მოარგო.

ანჯელო კოლომბო: " კარგად მახსოვს. მამამისი როგორ იწყებდა. კრისტიანი ამ შეხვედრაში უკლებლივ ყველა ბურთისთვის იბრძოდა. კრისტიანს გუნდურობა ახასიათებს, ყოჩაღი ახალგაზრდაა და უფრო მეტის კეთებაც შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ კრისტიანი დაცვის ხაზის მარჯვენა ფლანგზე იყო გამწესებული, მამის მიბაძვის სურვილით შეტევის ხაზშიც აქტიურია."

ბედნიერი წარსული

ადრიანა: „ბავშვობიდან მოყოლებული ფეხბურთი საერთოდ არ მაინტერესებდა, სპორტის სხვა სახეობა, კრივი უფრო მიზიდავდა. პირველად, როდესაც პაოლოს მატჩის საყურებლად მოედანზე მეგობართან ერთად მივედი, მოდელისთვის დამახასიათებლად ვიყავით გამოპრანჭულები. მახსოვს პაოლომ გამიღიმა, ხალხი კი მე მიყურებდა. ამ დღის შემდეგ პაოლოს ცხოვრებით ვცხოვრობ. როდესაც პრობლემები აქვს, მეც ისე ვიტანჯები, როგორც ის. არ ჭამს პაოლო, არც მე ვჭამ.

ჩვენი ქორწინებიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მაშინ ბედნიერები ვიყავით. პაოლო ძალიან კარგი მამაა, მზრუნველი და ცდილობს ბავშვებს ბევრი დადებითი რამ ასწავლოს".

სალომე ხარატიშვილი



ქართული სპორტი

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ქრისტინე ესებუა (მარჯვნივ)

არის მეორე ლიცენზია

ქართული სიურპრიზი კორეული აქცენტით

საქართველოს ოლიმპიური გუნდის მონაგარში მორიგი ლიცენზიაა, რომელიც მშვილდოსნებმა მოიპოვეს ტურინში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც მერვედფინალში ერთბაშად ორი ქართველი გავიდა - **ქრისტინე ესებუა** და **ხათუნა ნარიმანიძე**. ამით საქართველო უსაგზაროდ დარჩენილ რვა გუნდს შორის მოხვდა, ოღონდ ამ ეტაპზე თურმე ქვეყანას მხოლოდ ერთი ლიცენზია ეძლევა. თანაც, საგზურს ფედერაცია იღებს და ამიტომ ჯერჯერობით გადაჭრით ვერ დავასახელებთ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეს, თუმცა ახლა ეს არცაა მთავარი. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ლიცენზია მოპოვებულია, ოღონდ ეს კიდევ არაა ყველაფერი - გუნდურ პირველობაში იტალიელებთან წართმეული მოგების შემდეგ ჩვენი ქალები წარმატებულ გამოსვლას პირად პირველობაში აგრძელებენ და ქრისტინე ესებუა უკვე ნახევარფინალშია, სადაც ხვალ ჩინელ **იუტინგ ფანს** შეხვდება.

გუნდურ შეჯიბრებაში მომხდარი ლაფსუსი ლაქად დარჩება მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციას, ჩვენი გოგოები კი ტურინში თავიანთ მაღალ კლასს ამტკიცებენ. ეტყობა, კორეელი **ან იუნ სანის** ხელიც დაეტყო გუნდს და უკვე მიღწეულიც კი გამორჩეული შედეგია - დამოუკიდებლად არსებობის ისტორიაში არც მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გვყოლია ორი მონაწილე და არც - ნახევარფინალამდე მიგვიღწევია ოდესმე. თუმცა ერთხელ კი გვქონდა ნათელი წერტილი - ნარიმანიძე მეხუთეზე გავიდა, ოღონდ ახლა უფრო დიდი წარმატების მოლოდინში ვართ. მით უფრო, კორეელი სრული დატვირთვით ავარჯიშებს ესებუას. გუშინ შეჯიბრება ნახევარი საათის დამთავრებული არ იყო, როცა ტურინში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილს** დავურეკეთ, რომელმაც გვითხრა, კორეელმა ესებუა სასროლეთიდან პირდაპირ სათადარიგო მოედანზე წაიყვანა და ახლა იქ ავარჯიშებს, რამდენიმე საათი კიდევ უნდა იმუშაონო.

ეტყობა, კორეელმა ჩვენებურს მართლაც ასწავლა ხეზე ასვლა - პლეიოფში 39-ე ადგილით შესულმა ესებუამ მეოთხედფინალში სამხრეთკორეელი **დასომი იუნი** დაამარცხა, ვინაც საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე იყო. ეს კორეელებთან მისი პირველი შეხვედრა არ ყოფილა - მანამდეც გაეჯიბრა, ოღონდ შესარჩევში მეშვიდეზე გასულ ჩრდილოკორეელ **უნ სილ კვომს,** 1/16-ფინალში. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ესებუამ ბელარუსი **ალენა კუზნიატცოვა** და ინდოელი **ჩეკროვოლუ სვურო** გაადგო, გუშინ კი შანსი არც ძლიერ ჩრდილოკორეელს დაუტოვა და სამ სეტში მოუგო. არადა, კვომი განთესილი იყო. კორეელზე უფრო დიდი ბრძოლა მას ბრიტანელმა **ამი ოლივერმა** გაუმართა, რომელიც პლეი ოფში მე-10 შედეგით შევიდა, თუმცა ქართველმა სეტებში 3:2 იმარჯვა. აქ გადამწყვეტი, მეხუთე პერიოდის წინ ანგარიში საყაიმო იყო, მაგრამ მებრძოლი და ჟინიანი ხასიათით გამორჩეულმა ესებუამ ბოლოში 27:25 იმარჯვა.

ამით ის მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ზემოხსენებულ დასომი იუნგის შეხვდა. ეს ორთაბრძოლაც 5 სეტად გაიწელა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ორი ფრედ დასრულდა, ორში ქართველმა იმარჯვა, მხოლოდ ერთში დამარცხდა და ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. როგორც გითხარით, იქ მისი მეტოქე ჩინელი იუტინგ ფანგია, ვინც საკვალიფიკაციოში მესამე იყო.

არაჩინური წარმომავლობის ჩინელთან - **დენისე ასტრიდ ვან ლამოენთან** დამარცხდა ნარიმანიძე, რომელმაც მანამდე იტალიელებზე იყარა ჯავრი - **ჯესიკა ტომასი** მინიმალური უპირატესობით დაამარცხა, მერე კი საყურადღებო გამარჯვება მიითვალა - იაპონელი **რენ ჰაიკავა** ასევე 5-სეტიან დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულით დაჯაბნა. იყო შანსი, რომ ნარიმანიძე მეოთხედფინალში ამერიკის სახელით მოასპარეზე თანამემამულე **ხათუნა ლორიგს (ქვრივიშვილი)** შეხვედროდა, მაგრამ ის ვერაფერს გახდა ჩინელ ვან ლამოენთან. სამწუხაროდ, მასთან ვერც ნარიმანიძემ გაანყო რამე და სამ სეტში წააგო.

ოკლედ, დაველოდოთ 10 ივლისს, როცა ჩემპიონატი ფინალური შეხვედრებით დასრულდება. ვინძლო, პირველ მედალსაც გამოვკრათ ხელი. ტურინში პირადი პირველობაც ისევე უცნაურად წარიმართა, როგორც - გუნდური, მთავარი მოულოდნელობა კი აქაც სამხრეთ კორეელთა მარცხია - სამივე წევრი უკვე გავარდა და ბრინჯაოსთვისაც ვერ იბრძოლებენ. სამაგიეროდ, კაცებში სამივე ნახევარფინალში ჰყავთ. ქალებში კვლავაც სიურპრიზი შემოგვთავაზეს დანიელებმა, რომლებმაც, ყველასთვის გასაკვირად, ლიცენზიები მოიპოვეს. ამჯერად ყურადღების ცენტრში მათი **მაია ბისკბიეგ ჯაგერი** აღმოჩნდა, რომელმაც 1/16-ფინალში საკვალიფიკაციო ტურნირის დიდი უპირატესობით მომგები კორეელი **ბო ბაე კი** დაამარცხა. არადა, კორეელი წლეულს მშვენიერ სეზონს ატარებდა... ჯაგერს გამარჯვებით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა - მომდევნო წრეში ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბერენჟერე შუსთან** 5-სეტიანი შეხვედრა წააგო და გავარდა. შუ ხვალ ჩინელ ლამოენს შეხვდება ნახევარფინალში, კორეელთა ბოლო მონაწილე კი ასევე ჩინელმა ფანგმა შეიწირა. კორეელთა მარცხის ფონზე აღსანიშნავია ჩინელთა წარმატება - ნახევარფინალში ოთხიდან ორი მონაწილე ჰყავთ, თითო-თითო კი საქართველოს და საფრანგეთის წარმომადგენელია.

ბოლოს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ გაისადაც გაიმართება სალიცენზიო ტურნირები და ჩვენებს იქაც შეეძლებათ მათი მოპოვება. იქნება ევროპული ფედერაციის მიერ ორგანიზებულიც, მაგრამ უმთავრესი მაინც აშშ-ში გასამართი შეჯიბრებაა, სადაც გუნდურშიც შეიძლება სრული კვოტის მოპოვება. ოღონდ ეს ძალზე ძნელი იქნება, ამჯერად უსაგზაროდ დარჩნენ თავად აშშ, პოლონეთი, იაპონია, გერმანია, ესპანეთი, კოლუმბია, საფრანგეთი...

ირაკლი თავაძე

● ტაეკვონდო

მეორე დღე - ვერცხლით

საქართველოს ჭაბუკმა სპორტსმენებმა ტაეკვონდოში ორი წლის წინათ ევროპის პირველობაზე ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თბილისის სპორტის სასახლეში კი ჩვენებმა მსგავს წარმატებას ასპარეზობის პირველ დღეს მიაღწიეს — როგორც გაუწყეთ, მესამე ადგილი **ბექა ქავთარაძემ** დაიკავა. გუშინ კი ჩვენი ნაკრების წევრმა **არშაკ კირაკოსიანმა** კვარცხლბეკზე ერთი საფეხურით აინაცვლა. 41 კილოგრამი წონითი კატეგორიის პირველ წრეში არშაკმა ერევნელ **სურენ ენგიბარიანს** სძლია დამაჯერებლად — 17:5, მერე ბულგარელი **ალექსანდრ გეორგიევი** დაამარცხა, ნახევარფინალში ფრანგ **ალექსანდრ ფჰამს** აჯობა და გადამწყვეტ პაექრობაში რუსეთის გუნდის წევრ **მიხეილ ცქიმანაურს** დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში ესპანელი **ადრიან ხიმენეს დოს სანტოსი** დაჯაბნა. ოქროსთვის პაექრობაშიც იგი უძლეველი აღმოჩნდა და თბილისელი კირაკოსიანი ვერცხლის მედალს დააჯერა.

ახლოს იყო მედალთან **სოსო ქვარცხავაც** (45 კგ), რომელმაც ზედიზედ ორი ორთაბრძოლა მოიგო: ჯერ გერმანელ **მეჰმეთ იორულმაზს** დააყრევინა ფარ-ხმალი, მეორე წრეში სომეხ **ჰენრიკ ბადალიანს** აჯობა. ნახევარფინალში გადასასვლელი დაძაბული პაექრობა კი დათმო პოლონელ **ალბერტ მილერთან,** რომელმაც შემდეგ ფინალშიც გაიმარჯვა ბულგარელ **დანიელ ტურნოვთან** და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

გუშინ სპორტის სასახლის ტატამი გოგონებმაც მოსინჯეს ორ წონით კატეგორიაში. 37 კილოში საქართველოს სპორტულ ღირსებას **ლიკა ტორონჯაძე** იცავდა. მისი პირველი წრის სამრაუნდიანი პაექრობა ბელგიელ **ინდრა გრიინთან,** ფაქტობრივად, სახელბურთთო ანგარიშით დამთავრდა: 21:19. გაიმარჯვა გრიინმა, რომელმაც შემდეგ ყველა მეტოქე იოლად დაჯაბნა და ოქროს მედალი დაიმსახურა. 41 კილოში **ხატია მეჩითიშვილი** სტარტზევე დამარცხდა ფინელ **ლოთა ლინასთან** და შეჯიბრებას გამოეთიშა. ამ წონაში უძლიერესი იყო პოლონელი **პატრიცია ადამკიევიჩი.** ფინალში მან ხორვატ **ანამარია პეტროვიჩს** მოუგო.

კვარცხლბეკი

37 კგ (გოგონები)

1. ინდრა გრიინი (ბელგია)
2. ჩერალდ ლუნგერშაუსენი (გერმანია)
3. ოლგა კოშელიოვა (რუსეთი)
3. გიგდემ სისეკი (თურქეთი)

41 კგ (გოგონები)

1. პატრიცია ადამკიევიჩი (პოლონეთი)
2. ანამარია პეტროვიჩი (ხორვატია)
3. ემილი ვატსონი (დიდიბრიტანეთი)
3. იუდით ასენსიო როდრიგესი (ესპანეთი)

41 კგ (ბიჭები)

1. მიხეილ ცქიმანაური (რუსეთი)
2. არშაკ კირაკოსიანი (საქართველო)
3. ადრიან ხიმენეს დოს სანტოსი (ესპანეთი)
3. ალექსანდრ ჰჩამი (საფრანგეთი)

45 კგ (ბიჭები)

1. ალბერტ მილერი (პოლონეთი)
2. დანიელ ტურნოვი (გულგარეთი)
3. ხავიერ ვისენტე რამოსი (ესპანეთი)
3. სერგეი ლუპეტა (რუსეთი)

ვაჟა დანელია

მარცხნივ არშაკ კირაკოსიანი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● ჩოგბურთი

SOS! ვაჟთა ჩოგბურთი აღარ გვაქვს

ივნისის შუაში ერთ-ერთ კალიფორნიულ ტურნირზე წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ 19 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (672) არსად ჩანდა, ჩვენ ამის მიზეზი ტრავმა გვეგონა, თურმე რაში ყოფილა საქმე...

ახლახან სომხეთის დედაქალაქში 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო და საქართველოს სახელით იქ მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი გამოდიოდა, **გიორგი ცივაძე,** რაც შეეხება საქართველოს პირველ ჩოგანს (ამიერიდან, შეგვიძლია ვთქვათ - ყოფილი პირველი ჩოგანი), **ნიკა ბასილაშვილს,** მისი გვარის გასწვრივ შავით თეთრზე ენერა - რუსეთი. შეცდომა გამორიცხულია, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის საიტის გარდა მოქალაქეობა ბასილაშვილს ATP-ის საიტზეც შეეცვალა. გამოდის, რომ ნიკა ამ ნახევარი თვის განმავლობაში რუსული პასპორტით იყო დაკავებული. აქვე დავძენთ, რომ ერევანში ქართველმა ცივაძემ მეოთხედფინალამდე გააღწია, უკვე რუსმა ბასილაშვილმა კი - მხოლოდ მერვედფინალამდე.

ნიკა ახლა მსოფლიოს 672-ე ჩოგანია, ყველაზე მაღლა რეიტინგში ის შარშან მარტში იყო, როცა 506-ე ჩოგანი იყო. ახლა რეიტინგში ერთადერთი ქართველია - **ლადო ჩიხლაძე,** ისიც სიმბოლურად - ლადო მსოფლიოს 836-ე ჩოგანია და თვეებია არსად უთამაშია, ძალიან მძიმე ტრავმის შემდეგ მან ორჯერ სცადა დაბრუნება, როგორც ჩანს, წარუმატებლად.

და, რა გამოდის? საქართველოს ვაჟთა ჩოგბურთი აღარ დარჩა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ქადრაკი

მიხეილ მჭედლიშვილი (მარცხნივ) და ლუკა პაიჭაძე

ბოლო ბურის წინ

კონიაში დასასრულს უახლოვდება მოქადრაკეთა თურქეთის საკლუბო ჩემპიონატი 14 გუნდის მონაწილეობით. გუშინ მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა.

„გაზი უნივერსიტესი“-„იარი კრედი სფორი“ 4:6 (ჩინარ ჩორლულუ-ბელა ხოტენაშვილი 0:1), **„მერსინ ეზგი სატრანჩი“-„დენის გენჩლიკი“** 4,5:5,5 (უქართველებოდ), **„ტარსუს ზეკა სატრანჩი“-„ისეკ აქუამატჩი“** 3:7 (მიხეილ მჭედლიშვილი-რუსტამ კასიმჟანოვი 0,5:0,5, ლუკა პაიჭაძე-ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ 0,5:0,5, კან არდუმანი-ლევან ფანცულაია 0:1), **„ბეშიქთაში“-„ჩელიკოლი“** 6:4 (კუბრა ოზთურქი-სოფიკო გურამიშვილი 0:1), **„ბურსა“-„ინსტაბული“** (სოფიო გვეტაძე-მარტა ფიერო 0,5:0,5), **„ვეშალკოვ სფორი“-„ადანა“** 3,5:6,5 (დავით არუთინიანი-ევგენი მიროშნიჩენკო 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-ბარიშ ესენი 0,5:0,5, მარინა ბრუნელო-ნანა ძაგნიძე 0:1).

12 ტურის შემდეგ 21 ქულით ერთპიროვნულად ისევ „ისეკი“ (ქულათა საერთო რაოდენობა-74,5) მეწინავეობს. უახლოეს მდევრებს ორი-ორი ქულით უსწრებს და ბოლო ტურში ფრეც ხელს აძლევს ჩემპიონობისთვის, თუმცა ლევან ფანცულაიას გუნდს ეს თვითდამშვიდების საშუალებას არ აძლევს, რადგან წაგების შემთხვევაში მას ბელა ხოტენაშვილის კლუბმა შეიძლება გაასწროს. „იარი კრედი სფორსა“ (73) და თურქეთის 2008-2009 წლების ჩემპიონ „ადანას“ (68,5) 19-19 ქულა აქვთ. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ დღეს ბოლო ტურში „ისეკმა“ 5-ქულიან „თურქ ჰავა იოლარისთან“ წააგოს. „იარი“ „მერსინ ეზგი სატრანჩს“, ხოლო „ადანა“ „იგაზი უნივერსიტესის“ დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება

მე-4 ტურში **ლევან არაშიძემ** ბრაზილიელ ჰერმან ვანს სძლია, **ანა მათნაძემ** კი მასპინძელი კოლონი გარსია დაამარცხა — ესპანურ ბარბერა დელ ვალესში გრძელდება მოქადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის A ტურნირში ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს. უდანაკარგოდ ლიდერობს კუბელი ჰოლდენ ჰერნანდესი, რომელმაც თანამემამულე ჰექტორ რამოსი დაამარცხა. ლიდერთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა)-მაიკლ ლეჩი (ესპანეთი) 1:0, ფერნანდო პერალტა (არგენტინა)-ორელვის პერესი (ესპანეთი) 1:0, მარკ ნარკისო (ესპანეთი)-მაურისიო ბაროჩე (ესპანეთი) 1:0.

4 ტურის შემდეგ ლიდერ ჰერნანდესს ნახევარ-ნახევრი ქულით ჩამორჩებიან არაშიძე, იტურისაგა, ნარკისო და პერალდა. მათნაძეს 3 ქულა აქვს.

ვაჟა დანელია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს თბილისის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურ მდივნს დავით კალმახელიძეს **დედის** გარდაცვალების გამო

● ეროვნული vs ახალგაზრდული

პირველი ნაკრების პირველი საკონტროლო გასრულა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 14 ივლისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება. ამ შეჯიბრებისთვის **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა გენერალური რეპეტიცია გუშინ, 8 ივლისს ვაკეში გაიარეს - ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდნენ.

ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობა არაერთხელ ჩამოგითვალეთ, შესარჩევ ტურნირზე (ბოსნიაში) მიმავალთა გვარებს 13 ივლისს კიდევ ერთხელ გაგაცნობთ. ამიტომ, ჩვენს მკითხველს გვარების გამეორებით თავს არ შევაწყენთ. სამაგიეროდ, ბევრმა არ იცის, საქართველოს ნაკრებში ფიზმომზადების მწვრთნელ **ავთო ბერიძის** ხელმძღვანელობით ვინ ვარჯიშობს.

გუშინ ახალგაზრდულის თავკაცი დავით უსტიაშვილი ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი თანაშემწე **არჩილ ჟღენტი** - 20-წლამდელებს. ეროვნული გუნდი ორ ხუთეულად იყო დაყოფილი. პირველში თამაშობდნენ **ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, ანატოლი ბოისა, ვიქტორ სანნიკიძე** და **ნიკა ცქიტიშვილი**. მათ ერთბაშად ცვლიდა მეორე ხუთეული: **ლაშა ფარალავა, ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი შარაბიძე** და **ნიკა მეტრეველი**. სათადარიგოთა სკამიდან მატჩს ეროვნულის კიდევ ერთი წევრი **გიორგი შერმადინი** ადევნებდა თვალს.

მატჩი საქართველოს პირველმა ნაკრებმა მოიგო, მაგრამ მის წევრებს აშკარად ეტყობოდათ, რომ ჯერ ფიზმომზადებაზე ვარჯიშობენ... ახალგაზრდები უფრო ხალასიანად გამოიყურებოდნენ. შესაბამისად, ლოგიკური იყო, რომ მთელი თამაშის განმავლობაში წინ 20-წლამდელები იყვნენ. თუმცა ეროვნულის კალათბურთელები უმცროსებს დიდი სხვაობით დაწინაურების უფლებას არ აძლევდნენ. ჰოდა, გადამწყვეტი მომენტი რომ დადგა, უფრო გამოცდილებმა ახალგაზრდებს შეცდომაშეცდომაზე დააშვებინეს, ბოლო ორ წუთში 11:1 დაწინაურდნენ და მატჩი ეროვნული ნაკრების გამარჯვებით დასრულდა - 85:77.

- ვფიქრობ, 20-წლამდელთა ნაკრებს კარგი სპარინგი გავუმართეთ. ისინი საპასუხისმგებლო მისიით ბოსნიაში მიემგზავრებიან და ამ საქმეში წარმატებას ვუსურვებ, - განაცხადა ნამატჩევს **ანატოლი ბოისამ**. დავით უსტიაშვილმა დასძინა:

- მოსამზადებელი ციკლის ერთ-ერთი ბოლო აკორდი ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩი იყო. ვფიქრობ, ახალგაზრდული გუნდი სათანადო კონდიციებშია და საბრძოლველად მზადაა.

ვაჟა სიმონიშვილი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



● ჩაშლილი ტრანსფერი

არა ბეშიქთაშს

ზაზა ფაჩულია "ბეშიქთაშს" შეუთანხმდაო - დაიწერა თურქულ საიტებზე. ცხადია, ეს ამბავი ჩვენც გადმოვაქართულეთ და გუშინდელი დღის ერთ-ერთ მთავარ თემადაც იქცა. საინტერესო იყო მოვლენების შემდგომი განვითარება, გვეგონა, კონტრაქტის გაფორმებას წინ აღარაფერი ედგა, მით უმეტეს, რომ ზაზასთან ერთად საუბარი იყო **დერონ უილიამსის** "ბეშიქთაშში" გადასვლაზეც... გუნდის მწვრთნელი **ენგინ ატამანიც** ამბობდა, ყველაფერი შეთანხმებულია და მალე დერონი და ზაზა კონტრაქტებს გააფორმებენო. უილიამსი, ალბათ, მართლაც ითამაშებს თურქეთში. ფაჩულია კი...

...ზაზა კარიერას "ბეშიქთაშში" არ გააგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქების თქმით ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, შეთანხმება არ შედგა. - ამის შესახებ გვითხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** და დასძინა:

- ფაჩულიას ამ ღამეს ველაპარაკე. მასსა და "ბეშიქთაშის" წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა, თურქები ოთხწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდნენ. რაზედაც ზაზამ უარი უთხრა.

ჩვენი მხრიდან ვიტყვით, რომ ქართველი ცენტრის ევროპაში დაბრუნება მაინც არ არის გამორიცხული - თუ ზაზამ რომელიმე წამყვანი ევროპული კლუბიდან სარფიანი წინადადება მიიღო, შესაძლოა უარი არ თქვას, ოღონდ კონტრაქტი მოკლევადიანი უნდა იყოს, თუმცა ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ NBA-ში ლოკაუტი შედგა. გაფიცვის დასრულების შემდეგ ქართველი ცენტრი ამერიკას დაუბრუნდება.

მანამდე ზაზას არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე აქვს - საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოს. იყო საშიშროება, რომ მის დაზღვევასთან დაკავშირებით პრობლემა შექმნილიყო, მაგრამ როგორც ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, ყველაფერი მოგვარებადია:

- NBA-ში მოთამაშე ევროპელ კალათბურთელებს ფიბა-ევროპა დაზღვევს. ამისთვის საჭიროა თავად სპორტსმენის თანხმობა. ვისაც ნაკრებში თამაში სურს, ცხადია, დაზღვევაზე უარს არ იტყვის.

ვაჟა სიმონიშვილი

● სპორტული ინფრასტრუქტურა

ახალი ფარები, დარბაზი, აკადემია

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი** ეწვივნენ ვაკეში მდებარე "აკადემიას" დარბაზს, რომლის რემონტი ახლახან დასრულდა.

ეს სპორტული ობიექტი ნამდვილი საკალათბურთო კომპლექსია: ორი ახლგარემონტებული დარბაზით, საშხაპეებითა და სატრენაჟორო დიდი ოთახით.

გავესაუბრეთ ბესიკ ლიპარტელიანს.

- გარემონტდა ორი დარბაზი, შესაბამისად, თუ აქამდე "საკალათბურთო აკადემიაში" 100 ბავშვი ვარჯიშობდა, ამიერიდან 200-ს დაიტევს, ეს კი კალათბურთის განვითარების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია. შეიქმნა კომპლექსი, რაც ნებისმიერი სპორტსმენისთვის აუცილებელია: ორი დარბაზის გარდა კეთილმოეწყო სატრენაჟორო ოთახი, გასახდელები, საშხაპეები. დამონტაჟდა ახალთახალი ფარები და გათბობის სისტემა. ასე რომ, ახალგაზრდებს ზამთარში გაყინულ დარბაზში აღარ მოუწევთ ვარჯიში.

- სარემონტო სამუშაოები ვინ შეასრულა?

- კომპანია "აკადემიამ" დარბაზის იჯარით აღებისას იკისრა ვალდებულება, რომ სამუშაოებისთვის გაიღებდა 150 ათას ლარს. როგორც ხედავთ, ყველაფერი წესრიგშია.

- რადგან სპორტის სასახლეს კიდევ ერთი სრულყოფილი დარბაზი მიემატა, შეგვიძლია ახალგაზრდულ ასაკში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ვუმასპინძლოთ?

- სამწუხაროდ, ჯერ მასპინძლობის განაცხადს ვერ შევიტანთ, რადგან "აკადემიას" დარბაზი ტევადობით საჭირო სტანდარტებს არ შეესაბამება. ვიდრე ვერის ბაღის არენა არ შეკეთდება, საერთაშორისო შეჯიბრების მასპინძლობაზე განაცხადს ვერ შევიტანთ.

- ვერის ბაღის დარბაზის რემონტთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?

- ვერაფერს ვიტყვი. თუმცა, სასიხარულოა, რომ "სოხუმი" აპირებს კარგი დარბაზის აშენებას, რომელიც 5 ათას გულშემატკივარზე უნდა იყოს გათვლილი.

ვაჟა სიმონიშვილი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● საქართველოს კადეტთა ნაკრები

მაკედონია-ინგლისისთვის ფინეთ-ესტონეთში

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა შეკრება საკალათბურთო აკადემიის დარბაზში დაიწყო. კადეტთა გუნდს 28 ივლისიდან 7 აგვისტომდე მაკედონიის ქალაქ შტრუმიცაში ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მოუწევს თამაში. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან: მაკედონიის, ინგლისის, ლუქსემბურგისა და რუმინეთის ნაკრებები.

გია კაზანჯიანის ხელმძღვანელობით ნაკრების 19 კანდიდატი ვარჯიშობს. კადეტები 10 ივლისს ესტონურ-ფინურ შეკრებაზე მიემგზავრებიან. ტალინში კაზანჯიანის გუნდი ესტონეთთან 2 საკონტროლო მატჩს გამართავს, ხოლო შემდეგ ჰელსინკიში გადავა, სადაც ფინელ თანატოლებს ასევე ორჯერ გაეჯიბრება. 16-წლამდელთა ნაკრები დღესდღეობით ამ შემადგენლობით ემზადება:

უკანა ხაზი: **გიორგი დვალი** (რუსთავი), **ზეზვა ლილუაშვილი** (აკადემია), **ნუგზარ აბულაძე** (ენერჯი), **ლევან გორდულაძე** (ზაზა), **გიორგი გუგეშაშვილი**

ფორვარდები: **ნიკა ამირხანაშვილი** (აკადემია), **საბა ჯაყელი** (აკადემია), **თორნიკე ქიტოშვილი** (რუსთავი), **ედუარდ ლომთაძე** (ავერსი), **ბექა დარახველიძე** (აკადემია), **სანდრო ბოლქვაძე** (ჰიუნდაი), **კახა ტომარაძე** (ჰიუნდაი), **ნიკა ცქიტიშვილი** (აკადემია), **ლევან ანთაძე** (სსაუ), **ბექა წილოსანი** (სსაუ), **სოსო მაჭავარიანი, უჩა გამრეკლიძე**

ცენტრები: **აჩიკო პულუზაშვილი** (ზაზა), **ბადრი ჭიხვარია** (სსაუ)

გავესაუბრეთ 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ გია კაზანჯიანს.

- შეკრება 6 ივლისს დავიწყეთ, ისე კი 16-წლამდელთა ნაკრები გასული სეზონის დასაწყისში შეიკრიბა. მოგეხსენებათ, კადეტთა გუნდი 18-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობდა. სეზონის განმავლობაში მრავალი კანდიდატი გამოიცადა. რაც შეეხება წინასაჩემპიონატო შეკრებას, იგი 6 ივლისს დავიწყეთ, რადგან 16-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულებას ველოდებოდით.

- ევროპის ჩემპიონატამდე შეკრებას ესტონეთსა და ფინეთში გაივლით...

- ეს იქნება ძალიან საჭირო და დროული გასვლა. ამ თამაშებში ბევრი რამე გამოჩნდება. გუნდის წევრები შეთამაშდებიან, კარგად დავინახავ თითოეულის პლუს-მინუსებს. საქმეში გამოვცდით იმ კომბინაციებს, რომლებსაც შეკრებაზე ვამუშავებდით.

- ესტონეთში რამდენ კანდიდატს იახლებთ?

- უცხოურ შეკრებაზე 14 კალათბურთელს წავიყვანთ. შემადგენლობას გამგზავრებამდე 1 დღით ადრე დავასახელებ.

www.gbf.ge

ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზი

ოთხი ფინალისტი და ერთი ჩემპიონი

ბაქოში დაწყებულ მოჭიდავეთა „ოქროს დიდი პრიზის“ სუპერფინალში წარმატებით ჩაებნენ ქართველი „თავისუფალი“ სტილით მოჭიდავეები - 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს. ტურნირის ჩემპიონი **დავით ხუციშვილი** (74) გახდა და ჯილდოდ 10 000 დოლარიც დაიმსახურა, მისმა მწვრთნელმა - 2 000. ასეთივე საპრემიო თანხის მიღება შეეძლოთ **გიორგი ედიშერაშვილს** (55), **შალვა მუზიაშვილსა** (66) და **ელიზბარ ოდიკაძეს** (96), მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრებში დამარცხდნენ და 5 000-ს დასჯერდნენ. ბრინჯაოს მედლისა და 2000-2000 დოლარის მფლობელები **დავით ქერაშვილი** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) გახდნენ. ბრინჯაოსთვის კიდევ სამმა ქართველმა იჭიდავა, მაგრამ წააგეს და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე დარჩნენ.

სამწუხაროდ, ამ რანგის ტურნირს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია სათანადო ყურადღებას არ უთმობს და ინტერნეტში ცნობებს ტყუილად დაუწყებთ მოძიებას. სამაგიეროდ, ერთ-ერთი აზერბაიჯანული არხი პირდაპირ ეთერში აჩვენებს და გიჩნდება სურვილი, ყველა შეჯიბრებას აზერბაიჯანმა უმასპინძლოს - კულუარულ მაქინაციებზე თუ მიდგება საქმე, ამას უცხოეთშიც მშვენივრად ახერხებენ, საშინაო შეჯიბრებებში კი ყოველთვის პირდაპირ რეპორტაჟია, რითაც ქომაგებს მართლაც დიდ სამსახურს უწევენ.

დავით ხუციშვილმა ფინალში მასპინძელი **აშრაფ ალიევი** დაამარცხა, ვინაც პირველ წრეში **გოჩა ლომთათიძეს** მოუგო. ხუციშვილma მისთვის ჩვეულ კონტრშეტევებზე იჭიდავა, თუმცა პირველ პერიოდში ყურადღების კონცენტრაცია გაუჭირდა, ჭიდაობა როგორღაც ვერ ააწყო და ზედიზედ დაკარგა ორი ქულა. სამაგიეროდ, მომდევნოში მეტოქე ჩინებულ კონტრილეთზე დაიჭირა. ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ილეთის მშვენიერი გრძნობა აქვს - საფრთხესაც თითქოს წინასწარ გრძნობს და თითქმის ყოველთვის ასწრებს თადარიგის დაჭერას. ეს თვისებები დამატებით პერიოდშიც გამოავლინა, სადაც 3:0 იმარჯვა.

ედიშერაშვილმა წლეულს თბილისში ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდი პრიზი“ მოიგო და ახლაც ზედიზედ მეორე ფინალში გავიდა, მაგრამ თითქოს დაკმაყოფილდა ვერცხლით. იქნებ იმიტომაც, რომ ძლიერი მეტოქე ჰყავდა - ევროპის ექსჩემპიონი და წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი, მასპინძელი **მაჰმუდ მაგომედოვი**. ჩვენებურმა პირველი პერიოდი 0:3 ნააგო. მეორეში 3:1 დაწინაურდა, მაგრამ ანგარიში ვერ შეინარჩუნა და მოსაგებად არც მესამეში გაუკეთებია რამე ღირებული. ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე** ბევრს კი უყვიროდა, იმუშავე და მოინდომეო, მაგრამ ამაოდ... მაგომედოვი ძალზე იოლად შედიოდა ფეხშიც და გადაჰყავდა ჩოქჯენში, ჩვენებური კი თითქოს არც ცდილობდა თუ არც იცოდა, როგორ დაეცვა თავი... უთანასწორო იყო ორთაბრძოლა მუზიაშვილსა და **ჯაბრაილ ჰასანოვს** შორისაც, ოღონდ ამჯერად ჩვენებური ბევრად უფრო აქტიური იყო და ბევრად მეტ წინააღდეგობასაც უწევდა მეტოქეს. უბრალოდ, კლასში განსხვავება აშკარად იგრძნობოდა. ჰასანოვი შარშან გადმოვიდა ახალგაზრდული ნაკრებიდან და პირველივე წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი ბრინჯაო მოიპოვა. უბრალოდ, მუზიაშვილმა რა ვითარებაშიც დაკარგა პირველი ქულა, ისეთ მარტივ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს - ხალიჩაზე ჩამჯდარი თვითონ ემზადებოდა ფეხში შესასვლელად, მაგრამ მეტოქემ დაასწრო და თავისუფლად აიყვანა ფეხიდან... ჩვენი მესამე ფავორიტი - ოდიკაძე ფინალში მასპინძელთა ლიდერს ხვდებოდა, თუმცა ის არა მხოლოდ აზერბაიჯანელთა, თანამედროვე ჭიდაობაში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანია - ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ხეტაგ გოზიუმოვი**. მოლოდინისამებრ, მეტოქეს არც გასჭირვებია მოგება.

ამავე წონაში - 96-ში ბრინჯაოსთვის ჩვენი გუნდის წევრებმა - ქერაშვილმა და **ლევან სეთურიძემ** იჭიდავეს, გამარჯვება კი ქერაშვილს დარჩა. მოძმანაშვილმა ნახევარფინალში თურქ ევროპის ჩემპიონ **ფატიჰ ჩაკიროღლუსთან** ნააგო, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი მასპინძელი **ალი ისაევი** დაამარცხა.

ბრინჯაოს მედლისთვის **გიორგი ცუცქირიძემ** (66), **არჩილ ქიტიაშვილმა** (84) და გიორგი საკანდელიძემ (120) იჭიდავეს, მაგრამ წააგეს. დღეს ბაქოში ქალები იასპარეზებენ, ხვალ კი ბერძენ-რომაელთა ჯერია.

ირაკლი თავაძე

● სუმო

ჭოჩინოშინი დიდი ჩემპიონის წინააღმდეგ

10 ივლისს ნაგოიაში, აიჩის პრეფექტურის გიმნაზიუმში ივლისის ბაშო იწყება. ტრადიციულად, პარასკევს გაირკვა პირველი ორი დღის წყვილების ვინაობა. დასავლეთის კომუსები **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** პირდაპირ ურთულეს ამოცანას შეეჭიდება - დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** დაეჭიდება. ტოჩინოშინი მეცხრედ ხვდება იოკოძუნას, ჯერჯერობით ყველა წინა ცდა წარუმატებლად დასრულდა, გამარჯვება ყოველთვის დიდ მონღოლს რჩებოდა.

დასავლეთის მე-7 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯულელი)** პირველ დღეს აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირა **ტოკიტენკუს** ხვდება. გაგამარუს ტოკიტენკუსთან 1:2 აქვს ურთიერთშეხვედრებში. ძურიოს დივიზიონის პირველ დღეს დივიზიონის მე-4 ნომერი **კოკაი (ლევან ცაგურია) აოიამას** ხვდება. უმაღლესი დივიზიონის მეორე დღის ბრძოლებში ქართველთა შეხვედრები: ტოჩინოშინი-**ჰარუმაფუჯი**, გაგამარუ-**არანი**.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ტაიმ-აუტი ლეონოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

1984 წელი. სარაევო, იუგოსლავია. ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი

● თარიღი 9-15 ივლისი

09. 2000 წ. ჰარარეში (ზიმბაბვე) ამ ქვეყნისა და სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრებების შეხვედრის დროს ჭყლეტაში 13 ადამიანი დაიღუპა.

09. 2006 წ. უიმბლდონის ტურნირი ზედიზედ მეოთხედ მოიგო **როჯერ ფედერერმა.** ამჯერად მან ფინალში **რაფაელ ნადალი** დაამარცხა (6:0, 7:6, 6:7, 6:3).

09. 1964 წ. დაიბადა **ჯანლუკა ვიალი** — ფეხბურთი (იტალია).

10. 1960 წ. ფეხბურთში ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალი. სსრკ-იუგოსლავია 2:1 (დამატებითი დრო).

10. 1943 წ. დაიბადა **არტურ ეში** — ჩოგბურთი (აშშ).

● ვიქტორინა

1. რომელი წლიდან ტარდება უიმბლდონის ტურნირი?

ა — 18610 წლიდან
ბ — 1872 წლიდან
გ — 1877 წლიდან

2. მსოფლიოში პირველმა ვინ გაცურა 100 მ დისტანცია წუთზე ნაკლებ დროში?

ა — იასუძი მიაძაკიმ (იაპონია)
ბ — ჯონი ვაისმიულერმა (აშშ)
გ — იონ ჰენრიქსმა (ავსტრალი)

3. რომელი ქვეყანაა რაგბიში მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელი?

ა — სამხრეთ აფრიკა
ბ — ახალი ზელანდია
გ — სამჯერ ჯერ არავის მოუგია

4. ვინ იყო ფეხბურთში ყველაზე ხანდაზმული მსოფლიოს ჩემპიონი?

ა — ემერსონ ლეაო (ბრაზილია)
ბ — დინო ძოფი (იტალი)
გ — ფაბიან ბარტეზი (საფრანგეთი)

5. ვინ გაიტანა პირველი გოლი 1930 წელს ფეხბურთში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში?

ა — ლუსიენ ლორანმა (საფრანგეთი)
ბ — მარიო ევარისტომ (არგენტინა)
გ — ჯიმ ბრაუნმა (აშშ)

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა

● იყო ასეთი ბემთხვევა

ურუგვაიში მიმდინარე მსოფლიოს პირველ საფეხბურთო ჩემპიონატზე სამსაჯო კაზუსი მოხდა. არგენტინა-საფრანგეთის მატჩის ბრაზილიელმა არბიტრმა ალმეიდა რეგომ თამაში სასტვენიდან 84 წუთის გასვლის შემდეგ დაასრულა. ამის მიზეზი მსაჯის საათის გაფუჭება გახლდათ. ფრანგებმა მატჩის შწყვეტა გააპროტესტეს. ისინი 0:1-ს აგებდნენ და შეხვედრის გაგრძელებას ითხოვდნენ. მატჩი მართლაც გაგრძელდა, თუმცა, ფრანგებმა ანგარიშის გაყაიმება ვერ მოახერხეს და 0:1 დამარცხდნენ. იმავე დღეს არგენტინელებს 27 წლისა და 267 დღის ასაკის სპეციალისტი ხუან ხოსე ტრამუტოლე (იგი არგენტინელთა ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი იყო) ედგა სათავეში. მას შემდეგ მოყოლებული მუნდიალის არც ერთ გუნდს ასეთი ახალგაზრდა დამრიგებელი არ ჰყოლია.

● იყო ასეთი თამაშები

ჩრდილოეთის თამაშები

პირველი საერთაშორისო კომპლექსური შეჯიბრება (უმთავრესად ზამთრის სახეობებში). ტარდებოდა 1901-1926 წლებში სპორტის ხელშეწყობის შვედეთის ცენტრალური ასოციაციის, კერძოდ, ამ ასოციაციისა და, იმავდროულად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრის, გენერალ ვიქტორ ბალკის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. გარკვეული თვალსაზრისით, თანამედროვე ზამთრის ოლიმპიური თამაშების წინამორბედი იყო. მართალია, თამაშებს ნომინალურად საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობას შვედები შეადგენდნენ, სულ ჩატარებული ცხრა ასპარეზობიდან კი მხოლოდ ერთი გაიმართა შვედეთის საზღვრებს გარეთ. თამაშების პროგრამაში, გარდა ზამთრის სახეობებისა, შეტანილი იყო ცურვა და ფარიკაობა. ბალკის გარდაცვალების შემდეგ (1928) თამაშები აღარ გამართულა.

ჩრდილოეთის თამაშების ჩატარების წლები და ადგილი:

1901 სტოკჰოლმი, შვედეთი
1903 ოსლო (კრისტიანია), ნორვეგია
1905 სტოკჰოლმი, შვედეთი
1909 სტოკჰოლმი, შვედეთი
1913 სტოკჰოლმი, შვედეთი
1917 სტოკჰოლმი, შვედეთი
1922 სტოკჰოლმი, შვედეთი
1926 სტოკჰოლმი, შვედეთი

● საინტერესო ამბები

■ ■ ■

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში იშვიათად შეხვდებით სპორტსმენს, რომელიც ატარებდა ორ უმაღლეს ტიტულს — მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონისას. ურუგვაელებმა **ს. ნაზაციმ, ხ. ლ. ანდრადემ** და **ე. სკარონემ** 1924 და 1928 წლებში ოლიმპიური ოქრო მოიპოვეს. 1930 წელს ისინი მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ. ამავე გუნდის წევრებმა **ლ. ფერნანდესმა, ა. გესტიდომ** და **პ. სეამ** 1928 წელს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულებს 1930 წელს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც დაუმატეს.

■ ■ ■

ფეხბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში ყველაზე გამანადგურებელი ანგარიში 1908 წლის თამაშებში აღინიშნა, როცა დანიის ნაკრებმა დაამარცხა საფრანგეთის გუნდი — 17:1.

■ ■ ■

უნგრელმა წყალბურთელმა **დ. დიარმატიმ** მონაწილეობა მიიღო ხუთ ოლიმპიადაში (1948-1964 წწ.) და დაიმსახურა ოქროს სამი, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი. ეს წყალბურთელთა ოლიმპიური ტურნირების თავისებური რეკორდია.

● პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი ეტლი, შუმერებმა მესოპოტამიაში შექმნეს ძვ. წ. 3000-2000 წლების პერიოდში, იმავე ხანაში შეიქმნა ეტლი ოთხი ცხენისთვის.

პირველმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული „ფორმულა 1“-ში მოიპოვა ავსტრიელმა **ნიკი ლაუდამ.**

პირველად ბილიარდის წესდება შეიქმნა პარიზში 1777 წელს.

ჯროსვორდი



თარაზულად: 3. ყოფილი ხორვატი ფეხბურთელი ... შუკერი; 6. „მფრინავ ტორპედოდ“ წოდებული ქართველი ტრამპლინიდან მხტომელი; 7. წარსულში ცნობილი ნიგერიელი ფეხბურთელი; 9. კოვბოის ქამანდი; 10. ვეტერანი ხელბურთელი ... ტაბიძე; 11. ვეტერანი ფეხბურთელი ... ბლოხინი; 14. შეჯიბრების ბოლო ეტაპი; 15. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 17. "შტუტგარტის" მექსიკელი მცველი; 18. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი; 19. მძლეოსნობის ათი სახეობის კომპლექსი; 21. მეხიკოს საფეხბურთო სტადიონი; 25. ჩეხი ჩოგბურთელი ... ნოვაკი; 26. თერმომეტმეტრიანი საჯარიმო; 28. "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი; 31. თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი 1944-54 წლებში, გიორგი...; 32. წარსულში ცნობილი მხატვრული ტანმოვარჯიშე ლალი ...; 33. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი ტრინიდადი და ტობაგოდან დუაიტ ...

შვეულად: 1. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი; 2. "გალათასარაის" ყოფილი რუმინელი მწვრთნელი; 3. იხ. სურათი: საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე; 4. სპორტული ნაწარმის ფირმა; 5. განელი ნახევარმცველი; 6. კბილებიანი საჭიდი, რომელსაც ალპინისტები ფეხზე იკრავენ; 8. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ერთ-ერთი მეკარე; 12. ისრის სასროლი; 13. ერევნის საფეხბურთო კლუბი; 14. ლეგენდარული ბრაზილიელი საფეხბურთო მწვრთნელი; 16. სპორტული სარბიელი; 20. ქართული ცხენოსნური თამაში; 22. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა; 23. მწვრთნელი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში; 24. საჭადრაკო კომპოზიტორის ნაწარმოები; 27. ცხენის მოსამართავი; 29. ჩილელი ფეხბურთელი ... სამორანო; 30. ბილიარდის სახეობა.

● მსოფლიოს თასი

მამუკა გორგოძე ქართული სპორტის რაინდია

ვარჯიშის დაწყების წინ

გერეთ ადამსონი ვარჯიშს ატარებს

მარცხნიდან გერეთ ადამსონი, ირაკლი ჩხიკვაძე, გოდერძი შველიძე და მერაბ კვირიკაშვილი

დავით ზირაქაშვილი და გივი ბერიშვილი

მორაგბეთა ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებას 4 ივლისიდან შეუდგა. „ბორჯღალოსნები“ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ცხოვრობენ და წვრთნებს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გადიან.

გუშინ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ღია ვარჯიში გამართა. თუმცა, სანამ აუტანელ სიცხეში, მორაგბეები წვრთნას შეუდგებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** სპორტის რაინდის წოდების მოწმობა და ორდენი გადასცა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მესამეხაზელ **მამუკა გორგოძეს.**

ვარჯიშს საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების ავსტრალიელი მწვრთნელი **გერეთ ადამსონი** ხელმძღვანელობდა, რომელსაც რამდენიმე ქართული სიტყვის სწავლა უკვე მოუსწრია. ბუქარესტში გამართული IRB-ს ერთა თასის შემდეგ, „ბორჯღალოსანთა“ დაცვის მწვრთნელმა, ასევე ავსტრალიელმა **ჯონ მაგლტონმა** ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ გადაწყვიტა ქართული ენა შეისწავლოს. გამორიცხული არ არის, ადამსონმა თანამემამულეს მიჰბაძოს.

ტრადიციული მოკლევადიანი მოთელვის შემდეგ ადამსონმა გუნდი სამ ნაწილად გაყო. ისინი, ვისაც მიკრო- ტრავმები აწუხებდა და დასვენებას საჭიროებდა, ძალოსნობის დარბაზში დაასაქმა. ერთ ნაწილს ბურთი მისცა და მოედნის ცენტრში, მოკლე მონაკვეთში დაცვასა და შეტევის ორგანიზებაში ავარჯიშა. ამასობაში, მესამე ნაწილი, წყვილ-წყვილად მოედნის ბოლოდან ცენტრამდე სიმძიმეებს ეზიდებოდა. მერე მოედანზე მოვარჯიშეებმა ადგილები გაცვალეს.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ „ბორჯღალოსნებს“ კიდის ერთი ხაზიდან მეორისკენ უზარმაზარი ბორბლები გადაჰქონდათ. ერთი სიტყვით, საშინელი სიცხის მიუხედავად, ვარჯიში საკმაოდ ხალისიანი და ცოცხალი გამოვიდა. სიმძიმეების ზიდვას სათამაშო ელემენტების დამუშავება ცვლიდა, რამაც, ვფიქრობთ, ვარჯიში საინტერსო და, რაც მთავარია, სასარგებლო გახადა.

აღსანიშნავია, რომ ფულ ბეკმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა** პირველივე წვრთნაზე კუნთი დაიჭიმა და ექიმის მეთვალყურეობით სპეციალური ვარჯიშები შეასრულა. ჯერჯერობით ნაკრებთან ერთად არ არიან შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** და მგეზავი **ლაშა მალაღურაძე,** მათ გუნდებს სეზონი ახლახან დაუმთავრდათ და მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).**

N:9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)**

N:10: **მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)**

N:12-13: **დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)**

N:11-14: **ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

N:15: **მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).**

მსოფლიოს თასი

B ჯგუფი

14 სექტემბერი

საქართველო-შოტლანდია

18 სექტემბერი

საქართველო-ინგლისი

28 სექტემბერი

საქართველო-რუმინეთი

2 ოქტომბერი

საქართველო-არგენტინა

● შვიდკაცვარტალი ევროპის გრან პრი

მესამე ეტაპი ბარსელონაში

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ევროპის გრან პრის სერიის მესამე ეტაპზე ბარსელონაში იასპარეზებს. ჩვენმა ნაკრებმა პირველ ეტაპზე, ფრანგულ ლიონში წარუმატებელი სტარტის შემდეგ, მოსკოვში გამართულ რიგით მეორე შეჯიბრებაში უკეთესად ითამაშა, ოთხეულში შეაღწია და საერთო ჩათვლაში ლიდერებს მიუახლოვდა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნებს“ მესამე ეტაპის წინ 22 ქულა აქვთ და მე-5 ადგილზე არიან.

ბარსელონაში შეჯიბრება დღეს დაიწყება. საქართველოს ნაკრები აქ A ჯგუფში მოხვდა, სადაც მას მეტოქეობას გაუწევენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთისა და ჰოლანდიის ნაკრებები. ჯგუფი საკმაოდ ძლიერია, ინგლისელებმა ზედიზედ ორი ეტაპი მოიგეს და გათამაშების ლიდერები არიან. საფრანგეთი საერთო ჩათვლაში ხუთი ქულით გვისწრებს და მეოთხე ადგილზეა. დანარჩენები, მართალია, საქართველოს ნაკრებს ჩამორჩებიან, მაგრამ საკმაოდ ძლიერი, ამბიციური გუნდებია.

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებში ერთი დებიუტანტია, ფრანგული „კლერმონის“ შუამარბი **გიორგი ჯიმშელაძე.** ამასთან, ის გუნდში ერთადერთი ლეგიონერია.

საქართველოს ნაკრები

გიორგი კალმახელიძე, ბექა ბინაძე (ორივე-არმია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი (სამივე-ყოჩები), დავით ჩიტიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია (სამივე-ლოკომოტივი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი XV), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი).

A ჯგუფი: საქართველო, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი, ჰოლანდია.

B ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, უელსი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა.

საერთო ჩათვლა

1. ინგლისი - 36 ქულა, 2. ესპანეთი - 31, 3. პორტუგალია - 30, 4. საფრანგეთი - 27, 5. საქართველო - 22, 6. რუსეთი - 20, 7. უელსი - 20, 8. იტალია - 10, 9. ჰოლანდია - 7, 10. უკრაიანა - 6, 11. რუმინეთი - 6, 12. მოლდოვა - 3.

● ტრანსფერი

ბაკის ბოთა: მე არ შევიცვლები

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეორეხაზელის **ბაკის ბოთას** „ტულონში“ გადასვლის თაობაზე ინფორმაცია ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გავრცელდა. „ბოკეს“ ლეგენდარულმა მორაგბემ, რომელიც 2007 წლის მსოფლიო თასზე ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, „ტულონთან“ კონტრაქტს ხელი ოფიციალურად მოაწერა და სამი წელიწადი საქართველოს ნაკრების პირველხაზელის, **დავით ქუბრიაშვილის** მხარდამხარ ითამაშებს. ახლახან „ტულონის“ კაფეში ბოთა ჟურნალისტებსა და ქომაგებს წარუდგინეს.

„ტულონში, სანამ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი, ორჯერ ვიმყოფებოდი. დავრწმუნდი, რომ ეს ის ადგილია, სადაც მე და ჩემი ოჯახი შესანიშნავად ვიგრძნობთ თავს. დავათვალიერე კლუბის ინფრასტრუქტურა, საკმაოდ საინტერესო საუბარი მქონდა „ტულონის“ პრეზიდენტ მურად ბურჯელალთან. მიმაჩნია, ეს ის კლუბია, სადაც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეიძლება.

რამდენიმე წლის წინათ „ტულონში“ ჩემი მეწყვილე ვიქტორ მეტფილდი თამაშობდა. მაშინ გუნდი აღმასვლას იწყებდა და ბევრი პრობლემის წინაშე იდგა. ახლა ვითარება რადიკალურად განსხვავებულია.

აქამდე ხშირად ვუყურებდი საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური დივიზიონის მატჩებს. მიმაჩნია, რომ სათამაშო დონე აქ საკმაოდ მაღალია და თითოეულ მატჩში მაქსიმალურად გარჯა იქნება საჭირო...

... კრიტიკის არ მეშინია, რაც რაგბის ვთამაშობ, სულ მაკრიტიკებენ. არც არბიტრებს ვუფრთხი. რადგან აქ თამაში გადავწყვიტე, გპირდებით, ბოთა, რომელსაც „ტულონში“ ნახავთ, ისეთივე იქნება, როგორიც აქამდე იყო.“ - თქვა ბაკის ბოთამ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

ჩემპიონობამდე ჯერ შორია



„რედ ბულის“ პილოტი სებასტიან ფეტელი სოლიდური უპირატესობით ლიდერობს მსოფლიოს ჩემპიონატს - განვლილ რვა გრანპრიზე მან ექვსჯერ მოიგო და ორჯერ მეორე მივიდა ფინიშთან. მაგრამ გერმანელი არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას და დარჩენილ რბოლებში ფრთხილ ტაქტიკაზე გადასვლას - ის კვლავ რბოლების მოგებისკენ იქნება მომართული.

- როგორია თქვენი მოლოდინი ბრიტანეთის გრანპრისგან?

- სეზონი კარგად დავიწყეთ, რამდენიმე წარმატებული რბოლა ჩავატარეთ და ქულათა დიდი მარაგიც დავაგროვეთ - სწორედ ამაში მდგომარეობა გუნდის მიზანი.

მაგრამ რთულია განსაზღვრო მოლოდინი თითოეული რბოლისგან, რადგან კვირას შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ვფიქრობ, გასულ სეზონებთან შედარებით, შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ და ბევრი ახალი ვისწავლეთ. ამიტომაც ვითარდება ასე წარმატებით ჩვენთვის 2011 წელი.

- რას ნიშნავს თქვენთვის ის უზარმაზარი ჰანდიკაპი, რომლითაც ჩემპიონატს ლიდერობთ? აირჩევთ თუ არა უფრო ფრთხილ ტაქტიკას - რბოლების მოგება ხომ აუცილებელი აღარ არის?

- სიმართლე გითხრათ, ჩემს უპირატესობაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ხშირად მისვამენ ამ შეკითხვას, მე კი არასოდეს არ ვიცი რამდენ ქულას შეადგენს ჰანდიკაპი. ჯერჯერობით ეს არ არის აქტუალური. ამაში შარშანაც დავრწმუნდით.

ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა დარჩენილი და უამრავი ქულაა გასათამაშებელი. ასეთი დიდი სხვაობა ქულათა დარიცხვის დღევანდელი სისტემითაც არის გამოწვეული და უსაფრთხოების მცდარ შეგრძნებას ტოვებს. გავაგრძელებ ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლას. ასეთია ჩემი ტაქტიკა.

- 2010 წელსაც არ იცოდით თქვენი და მეტოქეების ქულათა მარაგი?

- ვიცოდი. ალბათ იმიტომ, რომ მდევრის როლში ვიყავი.

- დღეს თქვენ სრულად აკონტროლებთ სიტუაციას ჩემპიონატში. ახალი წესების მიუხედავად, სიტუაცია მოსაწყენი ხდება, რადგან არავის უტოვებთ შანსს...

- ვფიქრობ, წელს ბევრი კარგი რბოლა ვიხილეთ. ეტაპებს ჩანაწერში ვუყურებ და შარშანდელ რბოლებს ვადარებ. გაცილებით დიდი სხვაობაა სანახაობრიობის მხრივ.

ინტრიგა ბოლომდე ცოცხლობს, ტრასაზე ყოველთვის რაღაც ხდება, რბოლის ბედი არ წყდება პირველი წრის პირველ მოსახვევში. გარდა ამისა, ბევრი რამ არის დამოკიდებული საბურავზე - ფინიშამდე არ არის ცნობილი, როგორ დასრულდება ყველაფერი.

ჩემპიონატის ორგანიზატორები ძალიან დაგვეხმარნენ, როცა გასწრება გაიოლეს და ამით სანახაობრივ მხარეზე იზრუნეს.

- სავარაუდოდ, თქვენი თანაგუნდელი მარკ უებერი აგრესიული იქნება სილვერსტოუნზე. უნდა ელოდოთ თუ არა მისგან ხიფათს ბრიტანეთში და სეზონის დარჩენილ რბოლებში?

- წინა რბოლებში ყოველთვის გვქონდა ერთმანეთთან ბრძოლის საშუალება და სილვერტოუნშიც ასე იქნება.

აქ საინტერესო ტრასაა, მიყვარს ბრიტანეთში გამოსვლა. შესაძლოა, მარკს ის უფრო მეტად მოსწონს. მან სილვერსტოუნში 2010 წელს მოიგო, მე - 2009 წელს. თუ სწორად მახსოვს, შარშან საბურავმა მიმტყუნა.

„რედ ბულისთვის“ ეს საშინაო ტრასაა, რადგან ჩვენი ბაზა აქვე ახლოსაა განთავსებული, ასე რომ, მაქსიმალურად კარგად გამოსვლას ვგეგმავთ.

- იქნება თუ არა პრობლემა იმის გამო, რომ სასტარტო ბილიკი ტრასის სხვა ადგილას გადაიტანეს?

- ამას მხოლოდ კვირას გეტყვით. ვფიქრობ, პირველ მოსახვევში სრული სიჩქარით შეტევის საშუალება არსებობს და მესამე მოსახვევამდე ყველაფერი სპრინტზე იქნება დამოკიდებული. ვნახოთ. მომწონს, როცა სწრაფ და უბრალო მოსახვევებს მოსდევს ინტენსიური დამუხრუჭების პირველი წერტილი. მაგრამ პრობლემაც არსებობს: ძალიან ბევრი მანქანა იბრძოლებს ერთი და იმავე პოზიციისთვის.

- რამდენად მნიშვნელოვანი იქნება სტარტიდანვე ლიდერობის ხელში ჩაგდება?

- ძალიან მნიშვნელოვანი. ადრე სიტუაცია მარტივდებოდა თუ მოახერხებდი პირველი ორი სწრაფი მოსახვევის შემდეგ წინ გასვლას. ახლა სიტუაცია შეიცვალა - ჩვენ პრაქტიკულად სტარტიდანვე გვიწევს ნელი მოსახვევის გავლა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად კარგად ჩაივლის სტარტი, კონკრეტულად ვინ იქნებიან მეტოქეები... მთავარია, კარგი პოზიციიდან აიღო სტარტი, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

- ხომ არ მოგეჩვენათ, რომ ახალ ბოქსებსა და პიტ-ლეინზე არასაკმარისი ადგილია?

- პიტ-ლეინზე შესასვლელი უფრო ვიწროა, ვიდრე გამოსასვლელი. მაგრამ ყველაფერი შესანიშნავად არის გაკეთებული. ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მაყურებელს არ ექნება პიტსტოპების ხილვის საშუალება.

ნებისმიერ შემთხვევაში პროგრესი სახეზეა. ყველაფერი თანამედროვე და ახალია. ცოტათი უჩვეულოა პიტ-ლეინზე შესასვლელი - ის ყველგან სწორია, აქ კი რკალის ფორმა აქვს. იმედია, მალე მივეჩვევით...



მარკ უებერი

სილვერსტოუნში წვიმს

ბრიტანეთის გრანპრი ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო

პირველი თავისუფალი სესიის წინ სილვერსტოუნში გაწვიმდა, ამიტომაც პილოტები იძულებულნი იყვნენ ვარჯიში სველ ტრასაზე დაეწყოთ. მათ აქტიურობა სადღაც სესიის შუაში დაიწყეს. თავიდან სწრაფი წრე **როსბერგმა** გაიარა, თუმცა შემდეგ **ალონსომ**, **უებერმა** და **ბატონმა** გააუმჯობესეს მისი დრო. მოგვიანებით ტრასაზე ყველა ფავორიტი გავიდა და წრის დრო თანდათან მცირდებოდა.

სველ ტრასაზე საკმაოდ რთული იყო მანქანის დამორჩილება. პილოტები საშუალედო საბურავებით მოძრაობდნენ და პერიოდულად „კარგავდნენ“ საკუთარ ბოლიდებს. ასე დაემართათ ალონსოს, **კობაიასის**, **ფეტელსა** და **პერესს**. ყველაზე სერიოზულად **კობაიასი** დაზარალდა - ვარჯიშის დასრულებამდე 16 წუთით ადრე ის ცუდად შევიდა მოსახვევში და ბარიერს შეეჯახა, რითაც „ზაუბერის“ მექანიკოსებს დიდი სამუშაო გაუწინა.

პირველმა წრე წუთსა და 49 წამზე ადრე ფეტელმა გაიარა, მაგრამ შემდეგ წვიმის რეჟიმში რბოლის ოსტატობა დაადასტურა **შუმახერმა**, რომელმაც ნახევარი წამით გაუსწრო ჩემპიონატის ლიდერს.

ჰემილტონმა გარისკა და საშუალედო საბურავი დააყენა. ბრიტანელი ძალიან აკურატულად მოძრაობდა, მაგრამ მაინც მოცურდა და უსაფრთხოების ზონაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ ლუისი ბოქსებში წვიმის საბურავებისთვის შევიდა.

წვიმა სესიის დასრულებამდე 15 წუთით ადრე შეწყდა და პილოტებიც გააქტიურდნენ. საინტერესო მანევრი გააკეთა ფეტელმა - ის სწრაფ წრეს გადიოდა და ალონსოს გრაფიკსაც უსწრებდა, მაგრამ მოულოდნელად ბოქსებში შეუხვია. სამაგიეროდ, ალონსოს უებერმა გაუსწრო, ცოტა ხანში კი ავსტრალიელმა წუთსა და 47 წამზე ნაკლები დრო აჩვენა (ერთადერთმა პირველი ვარჯიშის დრო). შუმახერმა მასთან 0,66 წამი წააგო და მეორე იყო.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რის ხარჯზე შეძლო სესიის მოგება უებერმა. მის ბოლიდში საწვავი თითქმის არ იყო. ამის გამო მან ბოქსებამდეც ვერ მიაღწია და პიტ-ლეინზე გაჩერდა.

I პრაქტიკა

1. მარკ უებერი (რედ ბული) - 1:46.603 (19 წრე)
2. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +0.660 (20)
3. რუბენს ბარიჩელო (უილიამსი) - +0.744 (23)
4. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +0.819 (22)
5. ფელიპე მასა (ფერარი) - +0.959 (13)
6. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +1.155 (23)
7. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +1.558 (16)
8. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +1.946 (21)
9. ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) - +1.995 (19)
10. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +2.075 (22)
11. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +2.127 (18)
12. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +2.175 (18)
13. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +2.191 (21)
14. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +2.206 (17)
15. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +2.238 (23)
16. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +2.338 (20)
17. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +3.000 (15)
18. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +3.530 (17)
19. იარნო ტრული (ლოტუსი) - +3.619 (14)
20. კარუნ ჩანდჰოკი (ლოტუსი) - +4.516 (17)
21. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5.867 (17)
22. ვიტანტონიო ლიუზი (HRT) - +6.540 (20)
23. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +6.866 (26)
24. დენიელ რიკარდო (HRT) - +7.731 (24)

■ ■ ■

მეორე თავისუფალი პრაქტიკაც წვიმის აკომპანემენტის ქვეშ დაიწყო და პირველი 50 წუთი პილოტები ბოქსებში იმყოფებდნენ. მხოლოდ **ალგერსუარი** გავიდა ტრასაზე და ამ ვარჯიშის პირველი დრო დააფიქსირა. ცოტა ხანში მას მიბაძეს **ბუემი**, **სუტილმა**, როსბერგმა, შუმახერმა და კობაიასიმ. „ზაუბერის“ მექანიკოსებმა მოასწრეს იაპონელის ბოლიდის შეკეთება.

პირველ წუთებში რბოლისთვის საშინელი პირობები იყო - ბოლიდები პრაქტიკულად ცურავდნენ ტრასაზე. წყალი ძალიან ბევრი იყო და ამის გამო კინაღამ დაზარალდა როსბერგი, რომელმაც დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა ბოლიდი ტრასაზე.

სესიის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ასფალტი ცოტათი გაშრა და პილოტებმა სწრაფი წრეების გავლა სცადეს. ბრძოლა გამართეს უებერმა და შუმახერმა - ისინი რიგრიგობით აუმჯობესებდნენ ერთმანეთის დროებს. მოგვიანებით ამ წყვილს შორის „მოთავსდა“ ალონსო, რომელმაც მეორე დრო აჩვენა.

სესიის ბოლო წუთებისთვის კი მზემ გამოანათა და ტრასა უკვე საკმარისად მშრალი იყო. ტემპერატურამაც აიწია და მრბოლელებმა საშუალედო საბურავებით სცადეს ბედი, რითაც შედეგებმა მკვეთრად იმატა. ვარჯიშის დასრულებამდე წუთით ადრე პრაქტიკულად ყოველ წამს ფიქსირდებოდა საუკეთესო დროები. თავდაპირველად როსბერგმა ჩამოაკლო წამ-ნახევარი სუტილის დროს, იქვე გერმანელს გაუსწრეს ჰემილტონმა, კობაიასიმ, **მასა** კი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც წრის გავლას წუთსა და 50 წამზე ნაკლები მოანდომა. ნიკომ სესიის დასრულებამდე კიდევ ერთი წრის გასვლა მოასწრო და მეორე დრო აჩვენა.

II პრაქტიკა

1. ფელიპე მასა (ფერარი) - 1:49.967 (9 წრე)
2. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +0.777 (16)
3. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +1.428 (16)
4. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +1.471 (6)
5. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) -+1.551 (6)
6. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1.771 (18)
7. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +1.814 (7)
8. რუბენს ბარიჩელო (უილიამსი) - +2.025 (13)
9. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2.202 (12)
10. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +2.222 (21)
11. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2.231 (9)
12. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +2.358 (12)
13. ჯეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +2.611 (16)
14. მარკ უებერი (რედ ბული) - +2.620 (6)
15. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +2.902 (8)
16. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +4.056 (8)
17. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +4.307 (16)
18. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +4"578 (4)
19. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +4.747 (13)
20. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +5.188 (8)
21. იარნო ტრული (ლოტუსი) - +5.188 (12)
22. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5.582 (10)
23. დანიელ რიკარდო (HRT) - +5.861 (10)
24. ვიტანტონიო ლიუზი (HRT) - +6.070 (6)

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

შუმი აღასტურებს: არ მივდივარ!

ევროპის გრანპრის უქმეებისას „მერსედესის“ შეფმა **როს ბრაუნმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **მიხაელ შუმახერის** მოქმედი კონტრაქტი, პილოტის სურვილისამებრ ურთიერთობის ნაადრევად შეწყვეტას ითვალისწინებს. ამ განცხადების შემდეგ გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ ლეგენდარულმა გერმანელმა, შესაძლოა, სამწლიანი კონტრაქტის ამოწურვამდე დატოვოს გერმანული საჯინიბო. სილვერსტოუნში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ეს ჭორი უარყო.

სება და შუმი

„მართლაც მაქვს ნებისმიერ მომენტში წასვლის შესაძლებლობა, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ მაღალი შედეგების მიღწევას ვცდილობ და მინდა კონტრაქტი ბოლომდე გამოვიმუშავო. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მუდმივად პროგრესს განვიცდი - ამას მთელი კარიერის განმავლობაში ვგრძნობდი. შესაძლოა, წინსვლის ტემპი ახლა უფრო დაბალია, მაგრამ ის დღესაც გრძელდება.

გარკვეული დრო დამჭირდა ნორმალურ სამუშაო რიტმში შესასვლელად, ახლა გაცილებით მიადვილდება ყველაფერი, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ დღემდე ვსწავლობ გუნდთან მუშაობას და მანქანის ჩემს სტილში ანყობას. ეს მუდმივი განვითარებაა და ჯერ არ ვარ ასი პროცენტით მზად, თუ საერთოდ შესაძლებელია ასეთი დონის მიღწევა.

შედეგების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ მანქანით, რომელიც იმ მომენტში თქვენს განკარგულებაშია, მაგრამ ადრეც და ახლაც მე მისგან მაქსიმუმის მიღებას ვცდილობ. თუ ვახერხებ ამას - კმაყოფილი ვარ, თუ არა - იმედგაცრუებული, მაგრამ ვაგრძელებ მუშაობას, რადგან მხოლოდ ასეთი მიდგომით თუ შეძლებ მწვერვალზე დაბრუნებას.

შარშან უკვე გავიარე ეს ყველაფერი. აქ არანაირი ჯადოქრობა არ არსებობს - ყველაფერს წყვეტს სამუშაო, მოტივაცია და სტაბილური პროგრესი“, - განაცხადა „ბილდისთვის“ ინტერვიუში შუმახერმა.

გარდა ამისა, შუმიმ კომენტარი გაუკეთა ჩემპიონატში **სებასტიან ფეტელის** დომინირებას. „წითელი ბარონის“ აზრით, „რედ ბულის“ პილოტს შეუძლია მიხაელის ყველა მნიშვნელოვანი რეკორდის მოხსნა: *„ჩემი რეკორდების დამხობა ნებისმიერს შეუძლია და ფეტელი სწორედ ამ გზას ადგას. სებასტიანი ჩემი კარგი მეგობარია და სულაც არ მეწყინება, თუ ერთ დღეს ის ჩემზე წინ აღმოჩნდება. ვფიქრობ, მისი დაძაბული მუშაობა შესაბამისად უნდა იყოს დაფასებული. მთავარია, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს, თორემ ჩემპიონატში ლიდერობა, შეიძლება, ძალიან მალე გაქრეს. დღეს სება მაქსიმალურად ცდილობს სიტუაციის გამოყენებას, ამიტომაც მისი დომინირების პერიოდი გაგრძელდება“.*

● კალათბურთი. ახალი ამბები

ბეშიქთაში დერონ უილიამსის აღასტურებს და კობიც მოუნდა

მერრონი პოკერის მაგიდასთან

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ინფორმაციამ „ბეშიქთაშში“ **დერონ უილიამსის** სავარაუდო გადასვლის შესახებ. თურქული პრესის შემდეგ ეს ცნობა ამერიკულმა გაზეთებმაც დაადასტურეს, ხოლო სტამბოლელთა მთავარი მწვრთნელი **ერგინ ათამანი** ოფიციალური კომენტარით გამოვიდა.

მან ESPN-თან ინტერვიუში ამ გარიგებას შარშან **ალენ აივერსონთან** დადებულ კონტრაქტზე მნიშვნელოვანი უწოდა, ბოლოს კი უფრო შორს წავიდა და თვით **კობი ბრაიანტის** პიროვნებით დაინტერესება გაახმოვანა.

ასე რომ, საინტერესო გუნდი იქმნება თურქეთის ჩემპიონატში. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „ბეშიქთაში“ ევროლიგაზე არ თამაშობს.

■ ■ ■

ბერძნული ვებგვერდი Superbasket.gr იუწყება, რომ „ოლიმპიაკოსის“ ყოფილი ცენტრი **იანის ბურუსისი** (რამდენიმე დღის წინ „მილანში“ გადავიდა) სუფთაა ანტისადოპინგო კანონის წინაშე. კალათბურთელმა დოპინგტესტი გაიარა და დაამტკიცა, რომ არ მიუღია აკრძალული პრეპარატი. თანაც, ანალიზი თავად ბურუსისის მოთხოვნით ჩატარდა.

■ ■ ■

პოლონეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **მაჩეი ლიამპე** ესპანეთის „კახა ლაბორალში“ გააგრძელებს კარიერას. როგორც ACB.com იუწყება, პოლონელმა ბასკონურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა ხელშეკრულების ფინანსური დეტალები. ცნობისთვის, რუსული კლუბები ლიამპეს წლიურ 2.5 მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

■ ■ ■

ევროპაში თამაშის სურვილი გამოთქვა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის არშემდგარმა ვარსკვლავმა **ადამ მორისონმა**. ჯერჯერობით არ დასახელებულა ის კლუბები, რომლებიც დაინტერესებული არიან NBA-ის ორგზის ჩემპიონის („ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ შემადგენლობაში) პიროვნებით. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ასეთი კლუბი საერთოდ არ გამოჩნდეს, რადგან მორისონის დღევანდელი სათამაშო დონე ძალიან დაეცა.

■ ■ ■

მორისონს მიბაძავს „დეტროიტ პისტონზის“ შვედი ლეგიონერი **იონას იერებკო**, რომელიც თავდაპირველად არ აპირებდა ევროპაში დაბრუნებას, მაგრამ ახლა გადაწყვეტილება შეცვალა. მართალია, შვედმა შარშანდელი სეზონი ტრავმის გამო სრულად გამოტოვა, მაგრამ ის კლუბი, რომელიც მას გაიფორმებს, მნიშვნელოვნად გაძლიერდება.

■ ■ ■

ესპანელი გამთამაშებელი **რაულ ლოპესი** რუსეთის „ხიმკიში“ გატარებული კარგი სეზონის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება. მომდევნო ორ წელს ლოპესი ესპანეთის ვიცე-ჩემპიონის „ბილბაოს“ შემადგენლობაში გაატარებს.

■ ■ ■

„დალას მავერიქსის“ რიგებში NBA-ის ახალი ჩემპიონი **შონ მერრონი** მხოლოდ კალათბურთში არ ყოფილა ნიჭიერი. ასოციაციის საჩემპიონო ბეჭდის მოგების შემდეგ შონი ახალ საიუველირო ნაწარმს უმიზნებს - ეს არის WSOP-ის (ტურნირების ყველაზე პრესტიჟული სერია პოკერში) პოკერის ტურნირის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი სამაჯური. ამ გეგმის შესახებ „მატრიცამ“ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოაცხადა.

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ნორვეგიული დუბლი

წლევანდელი ტურის ყველაზე გრძელი ეტაპი ნორვეგიელმა **ედვალდ ბოასონ ჰაგენმა** მოიგო, მისმა თანამემამულე **ტორ ჰუშოვდმა** კი შეინარჩუნა ლიდერის ყვითელი მაისურა.

მიმდინარე ტურ დე ფრანსზე სუფთა სპრინტერული ეტაპები არც ისე ბევრია და **მარკ კევენდიშსა** და სხვა სპრინტერებს თავის გამოჩენის შანსი ნაკლებად აქვთ. ასე იყო ამჯერადაც. ეს ეტაპიც უფრო უნივერსალებს აწყობდათ ან ისეთი ტიპის ველომრბოლებს, როგორიცაა ტორ ჰუშოვდი ან **მეტიუ ჰოსი**.

ამინდის მხრივ ველომრბოლებს არ გაუმართლათ - ყველაზე გრძელ ეტაპზე მთელი დისტანციის განმავლობაში წვიმდა...

გაქცევა ამჯერადაც ხუთმა ველომრბოლმა განახორციელა: ორმა ჰოლანდიელმა - **ჯონი ჰოოგერლანდმა** და **ლიუვე ვესტრამ**, ფრანგმა **ანტონი რუამ**, კოლუმბიელმა **ლეონარდო დიუკემ** და იტალიელმა **ადრიანო მალორიმ**. დისტანციის სიგრძის გათვალისწინებით, პელოტონმა 12-წუთიანი უპირატესობა მისცა გაქცეულებს, თუმცა არც მოგების ჩაბარებას აპირებდა მათთვის.

ორი ველომრბოლი - რუა და ჰოოგერლანდი დისტანციის მსვლელობისას სამთო ბონუსების შეგროვებით იყვნენ დაკავებული - ისინი „ძთის მეფის“ მაისურისთვის იბრძვიან. ამ მხრივ ჰოლანდიელს გაუმართლა და ამოცანის შესრულების შემდეგ ის და რუა პელოტონს დაუბრუნდნენ. ლეონარდო დიუკემ კი უბრალოდ ტემპს ვერ გაუძლო.

მალორი და ვესტრა მარტონი დარჩნენ, თუმცა მათი ურთიერთობის გარკვევაც დიდი ხანი არ გაგრძელებულა. მალორიმ შესანიშნავად შეუტია და მარტო წავიდა ფინიშისკენ - იქამდე სამი კილომეტრი რჩებოდა. მაგრამ იტალიელს ძალები არ ეყო ბოლო აღმართის დასაძლევად.

ამ მთაზე აღსანიშნავია **ტომას ფეკლერის** შეტევა, თუმცა ამას შედეგი არ მოუტანია. იდეალურად იმუშავა Team Sky-მ და შეტევისთვის ძალიან კარგი პოზიცია მიიღო ედვალდ ბოასონ ჰაგენმა. ნორვეგიელმა ზედ ფინიშის ხაზთან გაუსწრო ავსტრალიელ მეტიუ ჰოსსა და თავის თანამემამულე ტორ ჰუშოვდს. მოკლედ, ტურ დე ფრანსზე ჯერჯერობით ნამდვილი ნორვეგიული ფესტივალია.

აღსანიშნავია, რომ Team Sky-თვისა და ბოასონ ჰაგენისთვის ეს პირველი გამარჯვებაა ტურ დე ფრანსის ეტაპზე.

მეექვსე ეტაპის ფინიში

VI ეტაპი. 226 კმ

1. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, SKY) - 5.13,37; 2. **მეტიუ ჰოსი** (ავსტრა, THR) - იგივე დრო; 3. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - იგივე დრო; 4. **რომან ფეიუ** (საფ, VCD) - იგივე დრო; 5. **ხოსე ხოაკინ როხასი** (ესპ, MOV) - იგივე დრო; 6. **არტურ ვიშო** (საფ, FDJ) - იგივე დრო...

საერთო ჩათვლა

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 22.50,34; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,01; 3. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,04; 4. **დევიდ მილარი** (ბრიტ, GRM) - +0,08; 5. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +0,10; 6. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო... 10. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,12; 11. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +0,13... 15. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, AST) - +0,32; 20. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +1,03... 24. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +1,12; 31. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +1,23... 34. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +1,42... 47. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, AST) - +2,29; 48. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +2,36...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაგჩები

ვეილე-ოლბორგი	1:3
ოდენსე-სილკებორგი	3:1
გენკი-რაპიდი (ბ)	1:2
დინამო (დრ)-კიოგე	5:1
ლეგია-დუისბურგი	1:3
მატერსბურგი-ცრვენა ზვეზდა	0:2
არმინია-პადერბორნი	0:0
ზალცბურგი-ლიონი	1:0
სტ. პაული-ბრონდბიუ	2:0
გრიოდიგი-მაინცი	2:0
მიდტიულანდი-ვერდერი	5:4
ოსტენდე-სერკლი	0:0
ძსამაძსი-არლი	1:0
ვანი-მარსელი	0:1
ბირუიკი-ჰემილტონი	0:2
იანგ ბოიზი-ჰერტა	4:2
ფლორა-ვისლა	2:2

ფინეთი

ჰიკ-ინტერი	4:2

ირლანდია

დერი-შემროკი	1:0
ბოჰემიანსი-გალვეი	2:0
უნივერსიტი-ბრეი	1:2

II დივიზიონი

კორკი-სოლტჰილი	1:0
მერვუ-ეთლონი	1:2
შელბურნი-უოტერფორდი	2:1
უეძსფორდი-მონეგანი	1:2
ვორსკლა-ოლეძსანდრია	0:1

სლოვენია

სუპერთასი

მარიბორი-დომჟალე	1:2

უნგრეთი

სუპერთასი

კეჩმეკეტი-ვიდეოტონი	0:1

ბულგარეთი

ტორპედო-ბატე	0:3

ჩოგბურთი

ATP. ნიუპორტი

ო, როხუსი-ებდენი	7:6, 6:3
კუდლა-იანი	3:6, 7:6, 5:7

WTA. ბაშტადი

ლარსონი-არვიდსონი	6:3, 6:1

WTA. ბუდაპეშტი

ერანი-მედინა გარიგესი	6:4, 5:7, 0:6
ბეგუ-კაბესა	6:0, 6:3
ვინჩი-კუკოვა	4:6, 7:6, 6:3
ზაკოპალოვა-კ. ბონდარენკო	6:0, 6:4

დევისის თასი

ფ. მაიერი-გასკე	6:4, 6:4, 5:7, 3:6, 3:6
კოლშრაიბერი-მონფილსი	6:7, 6:7, 4:6
რიდერსტედტი-ტროიცკი	3:6, 1:6, 7:6, 5:7
ფიში-ფ. ლოპესი	4:6, 6:3, 3:6, 7:6, 6:8

● TV პროგრამა

9 ივლისი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პერუ-მექსიკა. არგენტინა.
12:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-ჩილე. არგენტინა.
14:00 სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
16:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-მილანი.
18:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პერუ-მექსიკა. არგენტინა.
20:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-ჩილე. არგენტინა.
22:50 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა (LIVE).
01:20 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ეკვადორი. არგენტინა (LIVE).

GMG-სპორტი

09:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
11:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეექვსე მატჩი.
14:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
16:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
18:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-კუბა. შვეიცარია.
19:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
22:15 ყოველკვირეული გადაცემა - გზა ლონდონისკენ.
22:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეექვსე მატჩი.
01:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-კრუზეირო (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:50 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა (LIVE).
01:20 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ეკვადორი. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

21:30 მძლეოსნობა. World Challenge League. ესპანეთი (LIVE).
05:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ბრენდონ როისი-ურბანო ანტილონია. აშშ (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-კრუზეირო (LIVE).
05:30 მაგიდის ჩოგბურთი. პრო-ტური. 1/2 ფინალი. იაპონია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:50 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. გერმანია-საფრანგეთი (LIVE).
22:50 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. აშშ-ესპანეთი (LIVE).

SPORT+

14:50 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. გერმანია-საფრანგეთი (LIVE).
19:10 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ინგლისი (LIVE).

EUROSPORT

11:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი სტუდენტებს შორის. ჩინეთი (LIVE).
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ინგლისი-საფრანგეთი. გერმანია (LIVE).
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. გერმანია-იაპონია. გერმანია (LIVE).

EUROSPORT-2

09:00 სნუკერი. საჩვენებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XVI ტური. ეესენდონი-რიჩმონდი (LIVE).
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჩეხეთი-ანდორა. ბერლინი. გერმანია (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. პორტუგალია-რუმინეთი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. რუსეთი-თურქეთი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
21:00 კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ლატვია (LIVE).

10 ივლისი. კვირა

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
12:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-კუბა. შვეიცარია.
13:30 K1. ბრძოლა წესების გარეშე.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. პეტრა კვიტოვა-მარია შარაპოვა. ლონდონი. ბრიტანეთი
18:45 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ლონდონი. ბრიტანეთი
22:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. III და IV ტურების მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ფლუმინენსე (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:50 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-ბოლივია. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

21:00 მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. X ეტაპი. ბრიტანეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

09:30 მაგიდის ჩოგბურთი. პრო-ტური. ფინალი. იაპონია (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. გერმანია-საფრანგეთი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. აშშ-ესპანეთი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

22:10 კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. ლატვია (LIVE).
00:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორი-ჩიკაგო (LIVE).
02:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-ტულსა (LIVE).

SPORT+

14:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. გერმანია-საფრანგეთი (LIVE).
18:05 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ინგლისი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინესე-ფლამენგო (LIVE).

EUROSPORT

12:30 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. ლუცერნი. შვეიცარია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. შვედეთი-ავსტრალია. გერმანია (LIVE).
16:55 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. მექსიკა (LIVE).
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ფინალი. მექსიკა (LIVE).

EUROSPORT-2

09:00 სნუკერი. საჩვენებელი ტურნირი. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
13:45 ავტოსპორტი. „პორშეს“ სუპერთასი. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. პორტუგალია-რუსეთი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. თურქეთი-რუმინეთი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
21:00 კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. ლატვია (LIVE).
23:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვინდამი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირის ბოლოს

როცა ფეხბურთელები პაიკები არიან — ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ჩოგბურთი

ამერიკის ღია რაონიჩის გარეშე

მილოშ რაონიჩი

წლევანდელი სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ **მილოშ რაონიჩმა** გუშინ ტრავმირებულ ბარძაყზე ოპერაცია გაიკეთა. როგორც ექიმები ვარაუდობენ, 20 წლის ჩოგბურთელის აღდგენითმა პროცესმა, შესაძლოა, ექვსი კვირა დაიკავოს.

ასე რომ, მსოფლიოს 26-ე ნომერი დანამდვილებით გამოტოვებს საშინაო მასტერსს მონრეალში და ასევე ვერ ითამაშებს ცინცინატის მასტერსში. არც ის არის გამორიცხული, რაონიჩმა ვერ ითამაშოს სეზონში „დიდი სლემის“ ბოლო ტურნირზე - აშშ-ის ღია პირველობაზე, რომელიც 29 აგვისტოს „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ კანადელმა ტრავმა უიმბლდონის მეორე წრეში ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერთან** მატჩში მიიღო. როგორც კანადის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელი აცხადებს, მილოშმა უკვე დაიწყო მსუბუქი ვარჯიშები.

■ ■ ■

სერიოზული არ აღმოჩნდა მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკის** ტრავმა, რომელიც მან ამ კვირას მიმდინარე ბაშტადის ტურნირზე მიიღო. როგორც იცით, დანიელმა ჩოგბურთელმა შვედ **სოფია არვიდსონთან** მატჩში მხარი დაიზიანა და მეორე სეტიდან მიატოვა შეხვედრა. სხვათა შორის, ანალოგიური ტრავმა კაროლინმა 2008 წელს საფრანგეთის ღია პირველობაზეც მიიღო.

„ვიგრძენი, რომ მარჯვენა მხარი წესრიგში არ მქონდა, ამიტომაც რისკს მოვერიდე და მატჩი შევწყვიტე“, - განაცხადა ვოზნიაცკიმ.

არგენტინა ნახევარფინალშია, ჯოკოვიჩი თამაშგარეშე

გუშინ, დევისის თასის მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. შვედეთის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა მამაკაცებს შორის მსოფლიოს ახალ პირველ ნომერს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, მაგრამ მან ბოლო ვარჯიშზე მუხლის ტრავმა მიიღო და სერბების მწვრთნელმა ნოვაკის თადარიგში დატოვება ამჯობინა.

უიმბლდონის ჩემპიონი **ერვინ ელესკოვითან** მატჩში **იანკო ტიპსარევიჩმა** შეცვალა. ჯერჯერობით უცნობია, მოასწრებს თუ არა ნოვაკი კვირის მატჩისთვის აღდგენას.

■ ■ ■

დევისის თასზე ერთი ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია. როგორც იცით, არგენტინისა და ყაზახეთის ნაკრებთა მატჩი ერთი დღით ადრე დაიწყო, რადგან კვირას არგენტინაში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

მასპინძელთა გუნდს არ დასტყობია ტრავმირებული **დავიდ ნალბანდიანის** არყოფნა და ორ დღეში მოამთავრა საქმე. სამ შეხვედრაში ყაზახებმა ერთი სეტის აღებაც ვერ მოახერხეს.

ანგარიში **ხუან მონაკომ** გახსნა, რომელმაც 2 საათსა და ერთ წუთში გაანადგურა **ანდრეი გოლუბევი** - 6:3, 6:0, 6:4. ამის შემდეგ კორტზე **ხუან მარტინ დელ პოტრო** და **მიხაილ კუკუშკინი** გავიდნენ. არგენტინელმა კიდევ უფრო ნაკლები - ხუთი გეიმი დაუთმო მეტოქეს - 6:2, 6:1, 6:2. თამაში 2 საათსა და 7 წუთს გაგრძელდა.

გუშინ კი გაიმართა წყვილების შეხვედრა და აქაც ყველაფერი სამ სეტში დასრულდა. **ხუან იგნასიო ჩელასა** და **ედუარდო შვანკის** დუეტმა ორი საათი და ხუთი წუთი მოანდომა **ევგენი კიროლიოვისა** და **იური შჩუკინის** დუეტის დამარცხებას - 6:3, 6:2, 7:5.

არგენტინა ნახევარფინალშია და იქ სერბეთისა და შვედეთის წყვილში გამარჯვებულს ელოდება.

● ჩოგბურთი. ტურნირები

ისნერი ეისებს ისპრის

ჯონ ისნერი

მორიგი მიმოხილვა დავიწყოთ ბუდაპეშტის ტურნირით, სადაც ყველა მატჩმა სენსაციის გარეშე ჩაიარა. თუმცა ტურნირის პირველ ნომერს **რობერტა ვინჩის** სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა უაილდ ქარდის მფლობელ **ტიმეა ბაბოშისგან**. 18 წლის უნგრელმა, რომელიც 10 წლით უმცროსია თავის მეტოქეზე, პირველი სეტი მოიგო, რომელშიც ვინჩიზე ერთით მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. სხვათა შორის, მოწინააღმდეგეებმა ყველა ბრეიკ-პოინტის გამოყენება შეძლეს.

ამის შემდეგ ახალგაზრდა ჩოგბურთელი ანერვიულდა და მეორე პარტიაში რვიდან შვიდი ბრეიკ-პოინტი გაანიავა. შედეგად, პრაქტიკულად მოგებული მატჩი ბაბოშმა ნააგო, თუმცა ბევრს დაამახსოვრა თავი და თან ტურნირის შედეგების მიხედვით, რეიტინგის პირველ ორასეულში შევიდა.

სამაგიეროდ, დამაჯერებლად მოიგო ტურნირის მეორე ნომერმა, კიდევ ერთმა იტალიელმა **სარა ერანიმ**. მან **სტეფანი ფოგელს** რვიდან მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტის გამოყენების საშუალება მისცა. ასევე უნდა აღვნიშნოთ შემდეგ ეტაპზე **ესტრელა კაბესა კანდელას** გასვლა - ამ ჩოგბურთელმა ჯერ კვალიფიკაცია გაიარა, შემდეგ კი გამოცდილი **ევა ბირნეროვა** დაამარცხა.

■ ■ ■

შვედეთის ბაშტადში ადგილობრივი ჩოგბურთელების ზეიმი ვიხილეთ, რადგან ოთხი ნახევარფინალისტიდან ორი შვედი მოთამაშეა.

სოფია არვიდსონმა უმძიმესი ბრძოლა მოუგო **მარია ხოსე მარტინეს სანჩესს**. ორი ტაი-ბრეიკისგან შემდგარი მატჩი სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ესპანელმა 21 ბრეიკ-პოინტი მიიღო და აქედან მხოლოდ ოთხი გამოიყენა. მისმა მეტოქემ უფრო ნაკლები შანსი მიიღო, თუმცა გამოყენებისას გაცილებით ეფექტური იყო. საერთო ჯამში, არვიდსონმა ქულების საერთო რაოდენობით ნააგო სანჩესთან, თუმცა პირველი წაგებული სეტის მიუხედავად, ნახევარფინალში სწორედ ის გავიდა.

კიდევ ერთი შვედურ-ესპანური დაპირისპირება მოიგო ადგილობრივმა ჩოგბურთელმა. **იოჰანა ლარსონმა** ასევე თანაბარ მატჩში დაამარცხა **ლურდეს დომინგეს ლინო**. მას ამისთვის ორსაათნახევარი დასჭირდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ შვედმა საერთო ჯამში 101 ქულა მოიპოვა, ესპანელმა - 102. ასე რომ, აქაც იმ ჩოგბურთელმა გაიმარჯვა, რომელიც მნიშვნელოვანი ქულების გათამაშებისას უკეთ და სტაბილურად თამაშობდა.

არვიდსონი და ლარსონი ნახევარფინალში შვედურ დერბის შემოგვთავაზებენ. მესამე ნახევარფინალისტი გახდა **პოლონა ჰერცოგი**, რომელმაც იოლად მოუგო რუს **ვესნა დოლონცს**. ასევე შემდეგ ეტაპზე ითამაშებს **ბარბორა ზახვალოვა** - მან კიდევ ერთ სამსეტიან მატჩში მოუგო **ფლავია პენეტას**. ეს დღის მთავარი მოულოდნელობა იყო, რადგან პენეტა ბაშტადის ტურნირის მეორე ნომერი გახლდათ.

■ ■ ■

ნიუპორტში კი ორი მეოთხედფინალი ჩატარდა და ორივე შედეგს მოულოდნელს ვერ ვუწოდებთ.

პირველ შეხვედრაში ATP-ის შარშანდელმა საუკეთესო დებიუტანტმა **ტობიას კამკემ ედუარდ როჟე-ვასელენთან** პირველი სეტის ნაგების მიუხედავად, მოახერხა მოგება და წელს პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში. საინტერესოა, რომ ამ სეზონში გერმანელს არც ერთი ტურნირის ძირითად ბადეში ზედიზედ ორი შეხვედრა არ ჰქონდა მოგებული.

მეორე ნახევარფინალი ამერიკული დერბი იყო. მოლოდინისამებრ, **ჯონ ისნერმა** დაამარცხა **ალექს ბოგომოლოვი**. ამაში მას 21 ეისი დაეხმარა, იმ დროს, როცა მის მეტოქეს ასეთი მოწოდება არ ჰქონია. საათსა და 34 წუთში ისნერმა ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა ბოგომოლოვს, თავად კი სამჯერ გააკეთა ბრეიკი. ისნერი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა კარიერაში მეორე ტიტულს.

დღეს აგასის აღიარებაა



ანდრე აგასი

„დიდი სლემის“ ტურნირების რვაგზის ჩემპიონს, ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელს **ანდრე აგასის** დღეს შეიყვანენ ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში, - წერს სააგენტო AFP.

41 წლის აგასი ერთ-ერთია იმ შვიდი ჩოგბურთელიდან, რომლებსაც „კარიერული სლემი“ აქვთ მოპოვებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა წელს მან „დიდი სლემის“ ყველა ტურნირში გაიმარჯვა. 20-წლიანი კარიერის განმავლობაში ანდრე ჯამში 101 კვირა ედგა სათავეში ATP-ის კლასიფიკაციას.

აგასი კიდევ ერთი ლეგენდარული ჩოგბურთელის, „დიდი სლემის“ ტურნირების 22-გზის ჩემპიონის **შტეფი გრაფის** მეუღლეა. გერმანელი ჩოგბურთის დიდების დარბაზში 2004 წელს შეიყვანეს.

„ჩემთვის უდიდესი პატივია დიადი ჩოგბურთელების გვერდით ყოფნა. ეს კარიერაში ყველაზე დიდი აღიარებაა. ჩოგბურთმა ყველაფერი მომცა, მაჩუქა შესანიშნავი მეუღლე. ჩემმა კარიერამ სხვა ადამიანების ბედზეც ჰპოვა ასახვა“, - აღნიშნა ანდრემ.

დიდების დარბაზში შეყვანის საზეიმო ცერემონია ნიუპორტის ტურნირის ნახევარფინალური მატჩების დროს გაიმართება.

„შესანიშნავი უქმეები მელის, რადგან ერთად ვიზეიმებთ დიდების დარბაზში ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელის შეყვანას“, - განაცხადა ნიუპორტის ტურნირისა და დიდების დარბაზის აღმასრულებელმა დირექტორმა **მარკ სტენინგმა**.

ანდრეს კარიერაში 60 ტურნირი აქვს მოგებული, მათ შორის ავსტრალიის ღია პირველობა (1995, 2000, 2011, 2003), როლან გაროსი (1999), უიმბლდონი (1992) და ამერიკის ღია პირველობა (1994, 1999). მანვე 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე ერთეულებში ოქროს მედალი მოიპოვა. 1990 და 1992 წლებში ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასის მფლობელი გახდა.

აგასიმ პროფესიული კარიერა 1986 წელს, 16 წლის ასაკში დაიწყო. თამაში ოფიციალურად 2006 წელს მიატოვა, როცა ამერიკის ღია პირველობის მესამე წრეში გერმანელ **ბენჯამინ ბეკერთან** დამარცხდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ აგასის გარდა „კარიერული სლემი“ მოპოვებული აქვთ: **ფრედ პერის, როდ ლეივერს, როი ემერსონს, დონალდ ბაჯს, როჯერ ფედერერსა** და **რაფაელ ნადალს**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა